პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- მოსკოვში ჩავიდა პრუსიის ეკონომიური დელეგაცია.
- ჩემბერლენის განცხადება იტალიასთან დამოკიდებულების შესახებ.
- საფრანგეთის კ. პ. ყრილობის მოწოდება ელზას-ლოტარინგიის მშრომელებისადმი.
- განაჩენი კომუნისტ დეპუტატ ბარინსკის საქმეზე.
- საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმი.
- საბჭ. კავშირის ნავთის მრეწველობის შეკვეთები ამერიკაში
- გაიხსნა სომხეთის საბჭოთა ყრილობა.

სამშაბათი, 9 აპრილი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 79 (2425)

ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ „ამჟამად საკავშირო კომპარტიაში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე, აშკარა ოპორტუნისტული გადახრა, რაც გამომდინარეობს როგორც თანამედროვე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობიდან, ისე იმ ფაქტიდან, რომ ტროცკისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში პარტიამ უკვე მოიპოვა მთელი რიგი გადამწყვეტი გამარჯვებანი". ნოემბრის პლენუმმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „ეხლანდელ მომენტში საჭიროა, უმთავრესად, **იდეოლოგიური** ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან". მაგრამ თუ იმ მომენტისათვის გადახრა კიდევ არ იყო მკაფიოთ ჩამოყალიბებული, უკანასკნელ დროს იგი უკვე ყალიბდება, როგორც ოპორტუნისტული მიმდინარეობა, რომლის რაობაც პარტიულ მასებს ჯერ კიდევ საკმაოდ არა აქვთ შეგნებული. ყოველი გადახრის ლოღიკა ისეთია, რომ იგი იწყება თითქოს მცირე უთანხმოებიდან პარტიასთან ამა თუ იმ საკითხებში, შემდეგ კი ეს გადახრა ყალიბდება მთლიან პლატფორმად. ანტი-ლენინურ შეხედულებათა „მწყობრ" სისტემად. ასევე დაემართა მემარჯვენე გადახრას: ჯერ კიდევ ცეკას ივლისის პლენუმის წინ მემარჯვენე უკლონისტები ლაპარაკობდნენ, თითქოს იწყებოდა კავშირის გაწყვეტა საშუალო გლეხობასთან, ხოლო შემდეგ იმაზე გადავიდნენ, რომ უყენებენ პარტიას გაუგონარ ბრალდებებს, თითქოს იგი აწარმოებს „გლეხობის სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციას" და შინაპარტიული „შევიწროვების" პოლიტიკას და „ხრწნის" კომინტერნს. აი საით იზრდება მემარჯვენე გადახრა, რომელიც თანდათანობით იწყებს კაპიტულიაციას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე. ამიტომაც მართალი იყო ამხ. სტალინი, რომელმაც მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე შემდეგნაირად განსაზღვრა მემარჯვენე გადახრა: „მემარჯვენე გადახრა კომუნიზმში **საბჭოთა განვითარების პირობებში,** როდესაც კაპიტალიზმი უკვე დამხობილია, მაგრამ მისი ფესვები ჯერ კიდევ არ არის ამოფხვრილი, მოასწავებს კომუნისტების ერთი ნაწილის ტენდენციას, მიდრეკილებას, მართალია ჩამოუყალიბებელ, და, შესაძლებელია, ჯერ კიდევ შეუგნებელ მიდრეკილებას, რომ გადაუხვიონ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ. სწორედ ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ იზრდება ამჟამად მემარჯვენე გადახრა, რომელიც შორდება თანდათან ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს, შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში, როდესაც საქმე გვაქვს განსაკუთრებულ ფრაქციულ პლატფორმასთან, რომელიც პირდაპირ ცილისწამების ხასიათის ბრალდებებს უყენებს პარტიას. საჭიროა გავარჩიოთ ეს ბრალდებანი, რათა დავინახოთ, რომ მემარჯვენე უკლონისტებს პარტიასთან უთანხმოება აქვთ პარტიის პოლიტიკის ძირითად და უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

პარტიის გენერალური ხაზია **ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.** ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს გვიკარნახებს მთელი ჩვენი მდგომარეობა, შინაური და საგარეო პირობები. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს პარტიის, მუშათა კლასისა და გლეხობის მთელი ძალღონის მოკრეფას, მოითხოვს შიგნი დაზოგვილი ჩვენი თანხების მობილიზაციას. ჩვენთვის სხვა გზები დაკეტილია: ჩვენ არ შეგვიძლია სხვა ქვეყნების ძარცვა, ხოლო კაპიტალისტებისაგან სესხების მიღების იმედი არ უნდა გვქონდეს, სესხებს არ გვაძლევენ. მაშასადამე, როგორც სთქვა ამხ. სტალინმა ივლისის პლენუმზე, ჩვენ ორი წყარო გვაქვს სახსრების დაგროვებისა და ინდუსტრიის განვითარებისათვის: „მაგრამ სადაა ამ დაგროვების მთავარი წყაროები? ასეთი წყარო ორია: ჯერ-ერთი, მუშათა კლასი, რომელიც ჰქმნის ღირებულებებს და ანვითარებს მრეწველობას; მეორე — გლეხობა". აქედან გამოდის, რომ გლეხობასაც შეაქვს ერთგვარი სახსრები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კერძოდ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის: იგი (ე. ი. გლეხობა) რამდენადმე ზედმეტს იხდის სამრეწველო საქონლის შედარებით მაღალი ფასების გამო და რამდენამდე **ნაკლებს ღებულობს** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში. სხვანაირად რომ ვსთქვათ—თუ მოსპობთ სახელმწიფო შემოსავლის ამ ერთერთ წყაროთაგანს, ამჟამად შეუძლებელი იქნება ინდუსტრიალიზაციის ეხლანდელი ტემპის შენარჩუნება. თითქოს ეს დებულება ნათელი და უდავოა, მაგრამ მემარჯვენე უკლონისტები მას უწოდებენ „გლეხობის სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციას", ბრალს სდებენ პარტიას, თითქოს მან „ხარკის ლოზუნგი" გადმოისროლა, და თითქოს მას სურს გადააქციოს გლეხები ჩვენი **სახელმწიფოს მეხარკეებად** (ეს ხომ აღმაშფოთებელი უაზრობა და უდიდესი გაუგებრობაა!), ისინი ბრალს სდებენ პარტიას, თითქოს იგი პრეობრაჟენსკის თეორიამდე დაქვეითდა. პარტიის ყოველი შეგნებული წევრისათვის სავსებით აშკარაა, რომ ყველა ამ ბრალდებით მემარჯვენეები ცილს სწამებენ პარტიას. ვინაიდან პარტია იბრძოდა და იბრძვის, როდესაც პრეობრაჟენსკი გამოდის თეორიით იმის შესახებ, რომ გლეხობა **კოლონიას** წარმოადგენს მრეწველობისათვისო. პარტია ებრძოდა და ებრძვის პრეობრაჟენსკის იმ დებულებას, რომ გლეხობისაგან ავიღოთ ყველაფერი, რაც კი **ტეხნიკურად** შესაძლებელია და ავიღოთ იმაზე „მეტი, რასაც კაპიტალისტი იღებდა". რა შეიძლება იყოს საერთო პრეობრაჟენსკის ამ „კოლონიალურ" პოლიტიკასა და იმ მუშაობას შორის, რომელსაც აწარმოებს პარტია ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განსავითარებლად, მოსავლიანობის გასადიდებლად, საშუალო გლეხობისათვის საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლად (ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 1929—30 წლისათვის), საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა განსავითარებლად? რაღა საჭიროა ამ შემთხვევაში ყვირილი „გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის" შესახებ? მემარჯვენე უკლონისტების ამ ყვირილის აზრი ნათელია: ამ ხმაურობით მათ სურთ დაფარონ თავიანთი სურვილი (რადგანაც ამის აშკარად გამოთქმას ვერ ბედავენ) რომ შეანელონ და შეზღუდონ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ეხლანდელი ტემპი.

ამრიგად მემარჯვენე უკლონისტები სცდილობენ გადასინჯონ პარტიის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლად წარმოებული პოლიტიკის შესახებ და თითონვე აცხადებენ—პარტია არ ატარებს მე-XV ყრილობისა და ცეკას შემდგომი პლენუმების დადგენილებებსო. აქ მემარჯვენე უკლონისტები სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ტროცკისტების განცხადებებს—პარტიაში არსებობს და „ფეხს იკიდებს" ბიუროკრატიზმი, არ არის შინაპარტიული დემოკრატია, მაგრამ სამაგიეროდ ადგილი აქვს „დუმილსო" და სხვ. და სხვ. ყოველგვარი ფრაქციული ბრძოლის ლოღიკა ასეთია: უკლონისტები თავს უყრიან ყველა „უკმაყოფილოს", აგროვებენ ჭორებსა და ხმებს, ჰქმნიან უპრინციპო ბლოკებს, რაც ძალი და ღონე აქვთ, იერიშები მიაქვთ პარტიის წინააღმდეგ და ცილისწამებასაც არ ერიდებიან. განა ცილისწამება არ არის ის, რომ მაშინ, როდესაც პარტიის მთელი ძალებია ამუშავებული, ამ მდგომარეობას „შევიწროება" უწოდო?! განა ცილისწამება არ არის ის, რომ მაშინ, როდესაც არაჩვეულიბრივი გაცხოველებით ჩატარდა მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა კონფერენციები (კერძოდ ჩვენი—თბილისის კონფერენციაც), ამას „დუმილი" უწოდო?! იმიტომ ხომ არ მიმართავენ მემარჯვენენი ასეთ ცილისწამებას, რომ პარტიულმა მასებმა ყველგან განაცხადეს, რომ სრულებით არ ეთანხმებიან მემარჯვენე უკლონისტების ხაზს? იმიტომ ხომ არა, რომ პარტია ყველას „პიროვნების განურჩევლად", მოუწოდებს წესრიგისაკენ და მოითხოვს პარტიის ყველა წევრისაგან, თვით ცეკას წევრებამდე, უსასტიკესი რკინისებური დისციპლინის დაცვას? მართალი იყო მოსკოვის მე-17 საგუბერნიო პარტკონფერენცია, როდესაც თავის რეზოლიუციაში განაცხადა: „კონფერენციას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიაჩნია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ეხლანდელ ძნელ მომენტში უზრუნველყოს რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინის აუცილებლად დაცვა პარტიის ყოველი წევრისაგან, რა პოსტიც არ უნდა ეჭიროს მას. ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ პარტიის ყოველი წევრი, მათ შორის ცეკას წევრებიც, აუცილებლად ასრულებდეს მისთვის დაკისრებულ სამუშაოს პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და კონტროლით." იბადება კითხვა, რაღა საჭიროა მემარჯვენე უკლონისტების ყვირილი, თითქოს ადგილი აქვს პარტიის შიგნით „შევიწროვებას" და არ არის შინაპარტიული დემოკრატიაო? ამ ყვირილის აზრი აშკარაა: მემარჯვენე უკლონისტები, აცხადებენ რა პროტესტს „შევიწროვების" წინააღმდეგ, მოითხოვენ მათი და ყოველგვარი მათი მსგავსი აზრების დაკანონებას ჩვენს პარტიაში, ე. ი. იდეურ დაჯგუფებათა თავისუფლებას, რაც შეთავსებულია ლენინური პარტიის პრინციპებთან.

მაგრამ მემარჯვენე უკლონისტები უკმაყოფილონი არიან არა მარტო საკავშირო კომპარტიაში (ბ) არსებული წესებით,—ისინი უკმაყოფილონი არიან კომინტერნში არსებული წესებითაც. ხოლო კომინტერნი უკანასკნელ დროს სრული თანამიმდევრობით ატარებს კომინტერნის მე-VI მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებას კომინტერნის სექციების—ცალკე პარტიების წმენდის შესახებ ყველა ოპორტუნისტული ელემენტებისაგან, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ თვალსაზრისზე გადადიან. ასეთი წმენდის გარეშე შეუძლებელია. კომინტერნის ძალთა შეკავშირება, შეუძლებელია, რომ სექციებმა ცხოვრებაში გაატარონ ნამდვილი ლენინური ხაზი. მემარჯვენე უკლონისტები აშკარად ვერ ბედავენ სთქვან რაიმე კომინტერნის მე-VI კონგრესის დადგენილებების წინააღმდეგ, სიტყვიერად ისინი ვითომ მხარსაც კი უჭერენ ამ დადგენილებებს, მაგრამ სინამდვილეში მთელი მათი პოლიტიკა არის მემარჯვენეთა (ბრანდლერი, ტალჰეიმერი) დიპლომატიური დაცვისა, მათთვის მფარველობის გაწევისა და შემარიგებლებისათვის (ემბერ-დრო, ევერტი) მხარის დაჭერის პოლიტიკა.

ასეთია ამჟამად მემარჯვენე უკლონისტების უთანხმოება პარტიასთან პარტიის პოლიტიკის ზოგიერთ ძირითად საკითხებში. საით წავლენ კიდევ მემარჯვენე უკლონისტები, ეს ჯერ არ ვიცით, მაგრამ პარტიამ ეხლავე ტროცკიზმის იდეოლოგიის ნაშთებთან ბრძოლის შეუსუსტებლად, უნდა იმოშვლოს მახვილი მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ პარტიაში, აშკარა ოპორტუნისტების გარდა, არიან ფარული, მხდალი ოპორტუნისტებიც ე. ი. შემარიგებელნი. შემარიგებლებს სურთ „ქრისტიანულად" მიჩქმალონ უთანხმოებანი, ისინი ყველაფერს ობივატელურად ხსნიან პირადი შუღლითა და უთანხმებით, ყველას ურჩევენ „არ გაცხარდნენ", „უკმეხობა არ გამოიჩინონ", არამედ „როგორმე" ყველანი მოარიგონ. ასეთ შემარიგებლებზე ლენინი ამბობდა, რომ მათ აქვთ „სათნო გამომეტყველება და ტკბილი სახე, მთლად ისე, როგორც იესო ქრისტესო"... „ისინი სცდილობენ მიჩქმალონ უთანხმოებანი და არა გამოარკვიონ მათი ფესვები, მათი მნიშვნელობა, მათი ობიექტიური პირობები. პიროვნებისა და ჯგუფების „მორიგება"—ეს არის მთავარი. თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან საერთო ხაზის გატარებაში, ეს ხაზი განმარტებულ უნდა იქნას, ისე, რომ იგი ყველასთვის მისაღები გახდეს. იცხოვრე და სხვასაც აცხოვრე. ეს არის ობივატელური „შემარიგებლობა", რომელიც აუცილებლად იწვევს ჯგუფურ დიპლომატიას. „მიჩქმალონ" უთანხმოებათა წყაროები, მიაფუჩეჩონ ისინი, „მოაგვარონ", რათაც არ უნდა დაჯდეს, „კონფლიქტები", მოარიგონ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი მიმართულებანი—აი რას აქცევს მთავარ ყურადღებას ასეთი „შემარიგებლობა"-ო. (**ლენინი, ტ. XI, ნაწ. II, გვ. 51—52**):

აქედან აშკარაა, რომ იმ ქრისტიანულ-სათნო შემარიგებელთა სურვილის წინააღმდეგ, რომელნიც „მაჭანკლის" როლს თამაშობენ და რომელთაც სურთ ყველაფერი „მოაგვარონ" რაღაც „საშუალო" ხაზის გამონახვით, ჩვენ ვალდებულნი ვართ კი არ „მივჩქმალოთ" და მივაფუჩეჩოთ, არამედ ბოლშევიკურად გამოვააშკარავოთ, გავატიტვლოთ მემარჯვენე გადახრის მთელი ოპორტუნისტული რაობა და შევაიარაღოთ პარტიული მასები ულმობელი ბრძოლის საწარმოებლად როგორც ამ მემარჯვენე გადახრასთან, ისე მისდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან.

ამიტომაც ჩვენ მტკიცედ უნდა ვთქვათ: „არც ერთი ნაბიჯი უკან მე-XV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან! არავითარი გადახვევა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან! არავითარი პანიკა და არავითარი მერყეობა იმ სიძნელეთა პერიოდში, რომლებსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა და ჩვენი პარტია! არავითარი შერიგება იმათთან, ვინც ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ურიგდება!".

მ. კახიანი.

საქართველოს
ეროვნული

გერმანიის პრესა ამხ. პიატაკოვის სიტყვის შესახებ

პრესას შესაძლებლად მიაჩნია ურთიერთობის აღდგენა საბჭ. კავშირსა და ინგლის შორის

ჩჟან-სიუე-ლიანის მოლაპარაკება ჯან-ძუნ-ჩანთან

ინგლისის მრეწველთა დელეგაცია მოსკოვში

დელეგაციის შეხვედრა მთავრობის კომისიასთან

მოსკოვი, 8 აპრილი. 5 აპრილს ინგლისის მრეწველთა დელეგაცია მიიღო მთავრობის კომისიამ ამხ. პიატაკოვის მეთაურობით. ამხ. პიატაკოვი მიესალმა დელეგაციას და გააცნო იგი მთავრობის კომისიის შემადგენლობას, რომელსაც მინდობილი აქვს მოლაპარაკების წარმოება. შემდეგ დელეგაციის სახელით რემნანტმა განაცხადა:

„აქ შეიკრიბნენ ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლები, რომელთა სურვილს შეადგენს აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით პირადი კონტაქტის დამყარება საბჭოთა მრეწველობასა და ვაჭრობასთან, გამორკვევა იმისა, თუ რა არის განსაკუთრებით სასურველი საბჭოთა კავშირისათვის და რა შეუწყობს ხელს ამ ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. სამწუხაროდ ეს ურთიერთობა რამდენიმე ხნის განმავლობაში შეწყვეტილია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ აზრთა ეს გაცვლა-გამოცვლა მეტად სასარგებლო იქნება ჩვენი კომერციული ურთიერთობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის".

შემდეგ რემნანტმა მთავრობის კომისიას წარუდგინა ინგლისის დელეგაციის წევრები.

ამის შემდეგ გამოსულმა **იშერვუდმა** აღნიშნა, მეტად სასურველია, რომ დელეგაციის ყოველმა წევრმა გამოსთქვას თავისი მოსაზრებანი იმ მრეწველობის შესახებ, რომლის წარმომადგენლადაც ის არისო. დელეგაციის სხვა წევრებმა გამოსთქვეს თავიანთი მოსაზრებანი საბჭოთა ბაზარზე მუშაობის პერსპექტივების შესახებ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. **პიატაკოვი.** ამხ. პიატაკოვის სიტყვას პასუხი გასცა რემნანტმა, რომელმაც განაცხადა:

„ნება მომეცით დელეგაციის სახელით გამოგიცხადოთ მადლობა იმ უაღრესად სამართლიანი განცხადებისათვის, რომელიც თქვენ გაგვიკეთეთ. ამ განცხადებით მეტად მკაფიოდ დაისვა ის პრობლემები, რომელთა შესასწავლადაც ჩვენ აქ მოვედით. ჩვენ დიდის ხალისით და ენერგიით შევუდგებით ამ პრობლემების შესწავლას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ გაიგეთ ჩვენი თვალსაზრისი და ის, თუ როგორ ვაყენებთ ჩვენ საკითხს. რადგან იმედი გვაქვს, რომ შევუდგებით საკითხების უფრო დეტალურად განხილვას, ამიტომ ამ ეხლა ჩემს სიტყვას განვსაზღვრავ და მხოლოდ მადლობას გამოგიცხადებთ იმისათვის, რომ საშუალება მოგვეცით გვეჩვენებინა თქვენთვის ინგლისის მრეწველობის მცირეოდენი ნიმუშები". (ადს).

ამხ. ფრუმკინთან

მოსკოვი, 8 აპრილი. ინგლისის დელეგაციის ორმა წევრმა, ნიკელის კომპანიის წარმომადგენლებმა, ინახულა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ფრუმკინი,** რომელთანაც მათ ითათბირეს პლატინის რეალიზაციის საკითხების შესახებ. (ადს).

ამხ. ბარანოვთან

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსმა, სამოქალაქო ავიაციის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბარანოვმა მიიღო ინგლისის მრეწველთა დელეგაციის წევრი, უდიდესი თვითმფრინავ-ძრავის საამშენებლო ფირმის „არმსტრონგმოტორ კომპანი"-ს მთავარი ინჟენერი გრინი, რომელსაც იგი ხანგრძლივად ესაუბრა. გრინმა გააცნო ამხ. ბარანოვს ფირმის პროდუქცია. მან დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად საინტერესოა საბჭოთა კავშირისათვის ინგლისის საავიაციო მრეწველობა და შეუძლია თუ არა ამ მრეწველობას მომავალში რაიმე შეკვეთის იმედი იქონიოს.

ამხ. ბარანოვმა აღნიშნა ინგლისის საავიაციო პროდუქციის, განსაკუთრებით ძრავების, მაღალი ღირსება, და მწუხარება გამოსთქვა, რომ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, რამაც მეტად ცუდი გავლენა მოახდინა იმ კრედიტების რაოდენობაზე, რომელსაც ინგლისის საავიაციო ფირმები იძლეოდნენ, საავიაციო საგნების შესყიდვა ინგლისურ ბაზარზე მეტად შემცირდა. 1923 წელს შესყიდულ იქნა რამდენიმე მილიონის საგნები, 1927—28 და 1929 წლებში ეს ციფრი რამდენიმე ათას მანეთამდე დაეცა.

შემდეგ ამხ. ბარანოვმა გააცნო **გრინს** ის, თუ რის შემოტანაა საჭირო საავიაციო დარგში საბჭოთა საჰაერო ფლოტის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

შემდეგ გრინმა განაცხადა: „დელეგაციის მიზანს შეადგენს გამორკვევა იმისა, თუ რა დასჭირდება საბჭოთა კავშირს ინგლისის პროდუქციიდან, რომ დასმულ იქნას ინგლისის საბანკო წრეების წინაშე და შეიძლება დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინაშეც **კრედიტების** გაფართოების საკითხი. გრინმა სთხოვა ამხ. ბარანოვს, გადასცის საბჭოთა სამეცნიერო-საავიაციო ცენტრებს —მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო საავიაციო გამოფენაში, რომლის მოწვევაც განზრახულია ლონდონში ამ ზაფხულს. (ადს).

ჩინეთში

სიუე-ლიანის ბლოკი ჯან ძუნ-ჩანთან

ხარბინი, 7 აპრილი. როგორც იაპონიის გაზეთები იუწყებიან, ბოლო დროს მუკდენში იყო ჯან ძუნ-ჩინის რამდენიმე წარმომადგენელი, რომელთაც ჯან ძუნ-ჩანის დავალებით წინადადება მისცეს ჯან სიუ-ლიანს დასდოს მასთან ბლოკი. ჯანძუნ-ჩანი ჰპირდება დაემორჩილოს მუკდენის ბრძანებას.

პოლიტიკურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ცნობები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ შანხაი-გუანის რაიონში მუკდენის 100.000 კაცისაგან შემდგარი ჯარის კონცენტრაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის გამო, რომ ჯან სიუე-ლიანი აშკარად არ ასრულებს ნაციონალური მთავრობის ბრძანებას ჯან ძუნ-ჩანის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ (ადს).

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 7 აპრილი. კონსერვატიული „ობსერვერ"-ის კორესპონდენტი ესაუბრა ჩემბერლენს, რომელიც ამჟამად იტალიაშია. კორესპონდენტი შეეკითხა ჩემბერლენს, რაზე იყო ლაპარაკი მისი საუბარში მუსოლინთან და ეხებოდა თუ არა ეს საუბარი სარეპარაციო საკითხს და მოკავშირეების მიმართ იტალიის ვალის შესაძლებელ შემცირებას იმ შემთხვევაში, თუ შემცირებულ იქნა გერმანიის ვალდებულებათა სიდიდე.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ასეთი წინადადებები აღძრული არ ყოფილა. კორესპონდენტმა მიუთითა ჩემბერლენს, რომ იტალიის უმაღლეს წრეებში საგრძნობ ნერვიულობას აქვს ადგილი ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის გამო. ამაზე ჩემბერლენმა უპასუხა:— შესაძლებლობა იმისა, რომ ორი ერის შორის კეთილი განწყობილება მიჩნეულ იქნას საფრთხედ მესამე ერის ინტერესებისათვის, ეწინააღმდეგება მთელ ჩემ წარმოდგენას საერთაშორისო პოლიტიკის შესახებო. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ ჩემბერლენი მეტის მეტად შეგობრულად ეპყრობა საფრანგეთს, მისი სიტყვით, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება წარმოადგენდა იმ საძირკველს, რომელზედაც აგებულ იქნა საერთო შერიგება გერმანიასთან. (ადს).

გამოძახილი ამხ. პიატაკოვის სიტყვაზე

ბერლინი, 7 აპრილი. გერმანიის საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პიატაკოვის სიტყვას ინგლისის დელეგაციის დარბაზობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გაზეთი ეჭვს გამოსთქვამს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესახებ, კომენტარიებში გამოხატულია დიდი შთაბეჭდილება, რომელიც პიატაკოვის სიტყვამ მოახდინა გერმანიაში.

ცენტრის ორგანო „გერმანია" აღნიშნავს, რომ ინგლისის ოფიციალური წრეებიც კი საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას ეხლა აღარ უყურებენ ისეთის უარყოფით, როგორც წინად. გაზეთის აზრით, ადვილად შეიძლება, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ კონსერვატორები დაუბრუნდნენ ხელისუფლებას, **ინგლისის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი გადასინჯულ იქნას საგარეო საქმეთა ახალი სამინისტროს ხელმძღვანელობით და გამოსწორებულ იქნება უდიდესი სისულელე, რომელიც ჩემბერლენმა ჩაიდინა.**

„პიატაკოვის განცხადება გვიჩვენებს, — სწერს გაზეთი,— თუ როგორი რეალური ეკონომიური ზიანი მიაყენა თავის თავს ინგლისმა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით".

„ბერლინერ ბერზენ კურიერ"-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის განხორციელება, აგრეთვე ინგლისისათვის შეკვეთების მიცემის შესაძლებლობა დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირს მიეცეს დიდი კრედიტი უცხოეთიდან. (ადს)

ბრძოლა ნავთის გარშემო

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. ამერიკის ნავთის საზოგადოებები აცხადებენ, რომ ისინი, ამერიკის შეერთებული შტატების გაფრთხილების მიუხედავად, შეეცდებიან შეამცირონ შეერთებულ შტატებში ნავთის ამოღება.

წინად ამერიკის პრესა ამტკიცებდა, რომ დეტერდინგმა მიიღო ამერიკელების წინადადება ლათინურ ამერიკაში ნავთის ამოღების გადიდების შესახებ. ამ ჟამად საქმის მცოდნე წრეებში აცხადებენ, რომ დეტერდინგი არ თანხმდება შეამციროს ნავთის ამოღება ვენეცუელაში, სადაც ამერიკის და ინგლისის ფირმებს შორის გაფთრებული მეტოქეობა.

როგორც პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, ჰუვერის თვალსაზრისის გამოცვლა გამოიწვია იმ შიშმა, რომ ნავთის ინსტიტუტის გეგმის განხორციელება ნავთის ამოღების შემცირების შესახებ გამოიწვევს ბენზინზე ფასების მომატებას, რასაც არასასურველი პოლიტიკური შედეგები მოჰყვება (ადს).

პარიზი, 7 აპრილი. გამოქვეყნდა დეკრეტი საფრანგეთში ნავთის პროდუქტების (ბენზინის, ნავთის, საცხი ზეთების და გაზოლინის) შესატანად ლიცენზიების მიცემის შესახებ. ლიცენზიები მიეცემა 46 ფირმას, რომელნიც ვაჭრობენ საფრანგეთის ბაზარზე და რომელთაც საფრანგეთში ნავთის გასაწმენდი საკუთარი საწარმონი აქვთ. დაწესებულია წლის განმავლობაში შესატანი კონტიგენტები, რომლებიც იმოქმედებენ სამი წლის განმავლობაში. მაზუთის, ასფალტის, პარაფინისა და ვაზელინის შემოტანა არავითარი კონტინგენტებით არ არის განსაზღვრული. იმ ფირმებს შორის, რომელთაც ლიცენზიები მიიღეს, არიან ისინიც, რომელნიც საბჭოთა ნავთის პროდუქტებს ყიდულობენ. ლიცენზიები ყველაზე დიდ რაოდენობაზე მიიღეს ნავთის მსოფლიო ტრესტების „როიალ დეტჩ შელლ"-ის „სტანდარტ-ოილ"-ისა და „ინგლის-აერშენ ოილ"-ის, საფრანგეთში მომქმედმა განყოფილებებმა (ადს).

„განიარაღების კომედიის მეექვსე აქტი"

ბერლინი, 7 აპრილი. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ში დაიბეჭდა ჟენეველი კორესპონდენტის წერილი განიარაღების კონფერენციის 15 აპრილისათვის მოწვეული მოსამზადებელი კომისიის შესახებ. წერილის სათაურია: „განიარაღების კომედიის მეექვსე აქტი". ავტორი აკრიტიკებს კომისიის წინანდელ მუშაობას და აღნიშნავს, რომ **კომისიის მოქმედებაში ერთად-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. 1927 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადება, რომელიც განიარაღების რადიკალურ პროექტს წარმოადგენდა.** მომავალი სესიის რეჟისორის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს—მიაფუჩეჩოს საბჭოთა წინადადება და საშუალება არ მისცეს რუსებს გამოაშკარაონ თავიანთი მშვიდობისმოყვარეობა და ერთა ლიგის მილიტარიზმი. ეს ამოცანა არც ისე ადვილია, მით უმეტეს, რომ მორალური სიმართლე რუსების მხარეზეა. (ადს)

ჰუვერი დათმობაზე მიდის

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. როგორც ვაშინგტონიდან „ნიუ-იორკ-უორლდ"-ს ატყობინებენ, ჰუვერი უარს აცხადებს—საზღვაო შეიარაღების შემცირების საკითხში განაგრძოს კულიჯის პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა გიბსონს, რომელიც განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში ამერიკის დელეგაციას თავმჯდომარეობს, რომ მან ხელმეორედ აღარ შეიტანოს ჟენევის კონფერენციაზე სამხედრო ფლოტის საერთო ტონაჟის მიხედვით საზღვაო შეიარაღების შემცირების საკითხი.

გაზეთის აზრით, ჰუვერის სურს ამ საკითხში დაუთმოს ინგლისს, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა საზღვაო შეიარაღების შემცირებას სამხედრო გემების ცალკე კატეგორიების საზღვრითი ტონაჟის მიხედვით. ა(დს)

აპანასევიჩი გარდაიცვალა

ვარშავა, 7 აპრილი. როგორც პოლონეთის სააგენტო იუწყება, გარდაიცვალა აპანასევიჩი, რომელმაც ბარანოვიჩში მკვლელობა ჩაიდინა. უკანასკნელმა ამბებმა მასზე ძალიან იმოქმედეს, აპანასევიჩს გულის სიგანიერე მოუვიდა საავადმყოფოში, სადაც იგი დაპატიმრების შემდეგ მოათავსეს. სიკვდილს დაესწრნენ ექიმი და სასამართლოს ხელისუფლების წარმომადგენლები (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

პარიზი, 7 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობამ მიიღო მიმართვა კომინტერნის აღმასკომისადმი. მიმართვაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ომის საფრთხის ზრდის წინაშე, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყრილობა ენტუზიაზმით იღებს გადაწყვეტილებას აგვისტოში საერთაშორისო წითელი დღის დღესასწაულის შესახებ და კისრულობს მთელი პარტია ჩააბას ენერგიულ ბრძოლაში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ყრილობა ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთის კომპარტია სავსებით დაუჭერს მხარს კომინტერნის აღმასკომს მემარჯვენე საფრთხის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასადმი მიმართვაში ყრილობა ესალმება ბოლშევიკების სახელოვან პარტიას, რომელსაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მიჰყავს სოციალისტური მშენებლობის გზით. ყრილობა აცხადებს, რომ იგი სავსებით ეთანხმება საკავშირო კომპარტიას (ბ) და მის ცეკას, რომელიც დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ოპორტუნიზმის და მემარჯვენე საფრთხესთან შემარიგებელ დამოკიდებულებასთან.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე მიმართვა გერმანიის კომპარტიის ცეკასადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ ყრილობა სავსებით იწონებს გერმანიის კომპარტიის ზომებს მემარჯვენეებთან და შემარიგებლებთან ბრძოლისათვის

პარიზი, 7 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე სემარისა და მონმუსის მოხსენების გამო გამართული კამათში გამოსულმა ლიმოჟის ოლქის დელეგატმა ფრანზაკმა აღნიშნა პოლიტიკურად მტკიცე პოლიტბიუროს შექმნის საჭიროება, რაც მემარჯვენე გადახრასთან წარმატებით ბრძოლის წინასწარ პირობას წარმოადგენს.

საფრანგეთის კომკავშირის დელეგატმა განაცხადა, რომ მემარჯვენეებთან ბრძოლა იდეურ გადახრასთან ბრძოლას წარმოადგენსო. ეს გადახრა გამოიწვია იმან, რომ მემარჯვენეები არ ეთანხმებიან მსოფლიო მდგომარეობის იმ შეფასებას, რომელიც კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესმა მოგვცა.

ყრილობას მიესალმნენ სენ-დენის (პარიზის გარე უბანი) მსხვილი ქარხნების დელეგაციები, რომელთაც მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ.

დელეგატებმა განაცხადეს, რომ მუშები ენდობიან პარტიას, და ხაზი გაუსვეს იმპერიალისტური ომის საფრთხესთან ენერგიული ბრძოლის საჭიროებას. დელეგატებს შორის იყვნენ მსხვილი სამხედრო საწარმოთა მუშები. (ადს)

პარიზი, 7 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე კოლონიალური საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ლოზერემ, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა კოლონიებში, აგრეთვე კოლონიებთან საფრანგეთში მოსულ მუშებს შორის მუშაობის ამოცანები.

ყრილობაზე წაიკითხეს იტალიის კომპარტიის მიმართვა. ამ მიმართვაში იტალიელი კომუნისტები ესალმებიან საფრანგეთის კომპარტიას იმ ბრძოლისთვის, რომელსაც იგი აწარმოებს ოპორტუნისტული ელემენტებისა და რევიზიონიზმის საკითხში შემარიგებლობის წინააღმდეგ.

პარიზი, 6 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობის სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა, რომელიც მიესალმა ყრილობას და აღნიშნა, რომ ყრილობის მუშაობა ამტკიცებს საფრანგეთის კომპარტიის უნარს—პრაქტიკულად გამოიყენოს საფრანგეთში კომინტერნის მე-6 კონგრესის გადაწყვეტილებანი.

ყრილობამ ცხადჰყო პარტიის პოლიტიკური და იდეური სიმწიფე. საფრანგეთის კომპარტიამ დაამარცხა მემარჯვენე იდეოლოგია. ამავე დროს ეს გამარჯვება მან, წინა დისკუსიისაგან განსხვავებით, მოიპოვა ყოველგვარი შინაპარტიული შერყევის გარეშე.

კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელი დორიოს განცხადებას სთვლის გარკვეულ ნაბიჯად პარტიასთან დასაახლოვებლად, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი გადადგმულია მხოლოდ მარჯვენა და არა მარცხენა ფეხით. იმის ნაცვლად, რომ გაეკეთებია პოლიტიკური განცხადება კომინტერნის ხაზის სისწორის აღიარების შესახებ, დორიომ მოიყვანა ფსიქოლოგიური დასაბუთება: მან აღნიშნა, რომ თავისი შეცდომები შეიგნო საკუთარი გამოცდილებისა და მოვლენების მეოხებით, და არა იმ რწმენის გამო, რომ პარტიის ხაზი სწორი.

დორიომ შემდეგი ნაბიჯიც უნდა გადადგას და აშკარად გამოსთქვას აზრი, როგორც კომინტერნისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მთელი პოლიტიკური ხაზის შესახებ, ისე პარტიული ხელმძღვანელობისადმი დამოკიდებულების საკითხზე.

კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესმა ცხადჰყო, რომ ყველგან მაგრდება კომინტერნის სექციების შეკავშირება და გავლენა. ამავე დროს ხდება წინააღმდეგობათა გამწვავება ცალკე კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და სწარმოებს მზადება ომისათვის. საფრანგეთის კომპარტიას ეს მისცემს სტიმულს იმისათვის, რომ უფრო ფართოდ განახორციელოს მასების მობილიზაცია და გაუძღვეს მათ გამარჯვებისაკენ. (ადს).

მოწოდება ელზას-ლოტარინგიის მშრომელთ

პარიზი, 7 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობამ ელზას-ლოტარინგიის შესახებ მოსმენილ მოხსენების გამო მიიღო მოწოდება ელზას-ლოტარინგიის მშრომელთადმი.

„საფრანგეთის კომპარტია,—ნათქვამია მოწოდებაში,—ყოველი შენიშვნის გარეშე სცნობს ელზას-ლოტარინგიის მშრომელთა თავისუფალი და დაუყოვნებლივი თვითგამორკვევის უფლებას, აგრეთვე დამოუკიდებელი არსებობის უფლებას თვით საფრანგეთიდან გამოყოფამდე. იმ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს ელზას-ლოტარინგიის დამოუკიდებლობას, შეუძლია ძლევამოსილად ჩაუდგეს სათავეში მხოლოდ 300.000 ელზას-ლოტარინგიელი პროლეტარიატი კომპარტიის ხელმძღვანელობით, მხოლოდ სოციალურ რევოლიუციას შეუძლია გაანთავისუფლოს ელზას-ლოტარინგიელი პროლეტარები საფრანგეთის იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმისაგან და უზრუნველჰყოს მათი ეროვნულ-კულტურული უფლებები საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით". (ადს).

სრ. საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობა

გუშინ, საღამოს რუსთაველის თეატრის დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-5-ე ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა ყრილობის დელეგატებს.

ამხ. მ. ცხაკაიას სიტყვა

ამხანაგებო, — მიმართავს ამხ. მიხა ყრილობას — საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობის შემდეგ ორმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საყურადღებო ფაქტს ჰქონდა ადგილი საბჭოთა კავშირის შინაურ ცხოვრებაში და მის ურთიერთობაში კაპიტალისტურ ქვეყნებთან. საბჭოთა ქვეყნები მტკიცედ დაადგენ სამეურნეო და კულტურული წარმატების გზას. მათ მრავალი მნიშვნელოვანი მიღწევა აქვთ. რამდენადაც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა მტკიცდებოდა, იმდენად მწვავდებოდა ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და უცხოეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, რადგან ისინი ვერ შერიგებიან საბჭოთა ქვეყნების ეკონომიურ - პოლიტიკურ განმტკიცებას, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მათი არსებობისათვის. ისინი კვლავ განაგრძობდნენ და განაგრძობენ მზადებას ომისათვის, რომლითაც უმთავრესად ემუქრებიან ჩვენს ქვეყანას.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მე-15 პარტყრილობამ, რომლის გადაწყვეტილებების თანახმად ჩვენი ქვეყანა შეუდგა მზადებას იმისათვის, რომ სათანადოთ შეხვდეს მოსალოდნელ საფრთხეს. ეს დადგენილებანი ჩვენ პირველ ყოვლისა გვავალებს უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობა, მისი შემდგომი სამეურნეო განვითარება. ამ მიზნით პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ წამოაყენა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხი. მთელი ჩვენი ღონისძიებები იქითკენ არის მიმართული, რომ განვავითაროთ, შევქმნათ საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში მრეწველობის სხვადასხვა დარგები. ამ ორი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით სწარმოებდა გრანდიოზული მშენებლობა. საბჭოთა კავშირში არ არის ისეთი რაიონი, სადაც არ აგებულიყოს ან ეხლა არ შენდებოდეს რაიმე წარმოება. ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპით განვითარებამ წამოაყენა საკითხი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარების შესახებ. განვითარებულ მრეწველობას დასჭირდება დიდძალი ნედლეული, რომელიც მას სოფელმა უნდა მიაწოდოს. ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარება ფეხ და ფეხ უნდა მიჰყვეს სამრეწველო მშენებლობას. ამ მიმართულებითაც ჩვენში დიდი მუშაობა სწარმოებს. კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის განვითარება იდება საფუძვლად ჩვენი სოფლის მეურნეობის წინსვლას. დღითი დღე კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი საბჭოთა რესპუბლიკების ყველა რაიონებში მატულობს. და ეს ზრდა უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არის სოციალისტური მშენებლობის ერთერთი მთავარი ფორმა სოფლად. სოციალისტური სექტორის გაძლიერება სოფლად იწვევს კლასიური ბრძოლის გამწვავებას. მშრომელ გლეხობას პარტიის ხელმძღვანელობით ძლიერი იერიშები მიაქვს კულაკობის წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად ხელს უშლიან საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტური პოლიტიკის გატარებას სოფლის მეურნეობაში.

ამ ორი დიდი ამოცანის — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის — გადაჭრა მეტად მძიმე საქმეა. პარტიას და ხელისუფლებას ამ გრანდიოზულ მუშაობაში დიდ დაბრკოლებათა დაძლევა უხდება. ბევრ ჩვენს ამხანაგში ეს სიძნელეები იწვევს შიშს, მერყეობას და ხანდახან უიმედობას. ჩვენ ასეთი მერყეობისა და უიმედობის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას ვაწარმოებთ. კომუნისტურ პარტიას და მუშათა კლასს მშრომელ გლეხობასთან ერთად მტკიცედ სწამს, რომ ჩვენი გრანდიოზული მუშაობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის საბჭოთა ხელისუფლების სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება. მუშათა კლასი შესძლებს იმ პროგრამის შესრულებას, რომელიც დიდი საბჭოთა კავშირის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობით არის ნაკარნახევი.

უსურვოთ, ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის ბატონ - პატრონს, საქართველოს ახლად მოწვეულს საბჭოთა ყრილობას, რომ მან შესძლოს ნამდვილი ლენინური შეურყეველი ხაზის გამონახვა საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი მუშაობისათვის. (მქუხარე ტაში, მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვის შემდეგ ყრილობა ირჩევს თავის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ხელმძღვანელ ორგანოების არჩევა

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობამ მქუხარე ტაშით აირჩია შემდეგი ამხანაგები: **სტალინი, რიკოვი, კალინინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, რუძუტაკი, ტომსკი, ბუხარინი, კუიბიშევი, მიქოიანი, კრუპსკაია, ტელმანი, კიროვი, ენუქიძე.**

საქმიანი პრეზიდიუმი

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეული არიან: მ. ცხაკაია,, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, მ. კახიანი, ლ. ლოლობერიძე, ნაზარეტიანი, ლ. სუხიშვილი, რუბენი, ბოლქვაძე, ყურულაშვილი, ივანოვ-კავკასკი, მაჩაიძე, თოდრია, სვანიძე, ვ. სტურუა, კვანტალიანი, გუსეინოვი, მგალობლიშვილი, აქსენტიევსკი, ლ. ბერია, ჟუღელი, ვარძიელი, მარიამ ორახელაშვილი, ვარო ჯაფარიძე, გ. სტურუა, კუჭაიძე, ჯავახიძე, ნემერზელი, ბ. ჭიჭინაძე, ტოროშელიძე, ტერ-ვართანოვი, მორჩილაძე, ვ. ვაშაკიძე, სააკიანი, ლაკობა, ჩანბა, სურმანიძე, მამედ გოგიბერიძე, დიულ ბარამიძე, ანდრო ფირცხალავა, ალ. შატიევი, გ. მგელაძე, ს. ზაქრაძე, მარიამ ბუჯიაშვილი, მარო ნაცვლიშვილი, მირზახანოვი, პ. მელაძე, შაბანოვი, წულუკიძე, პროფ. ნუცუბიძე, ვარომაშვილი, ღვამიჩავა, სატინა, ალიევა, ბოლოკაძე, შამშელაშვილი, ლომთათიძე, გურგენიძე, ჟვანია, გ. დევდარიანი, არუტინიანი, ცხვედაძე, საფარ-სოინ - ოღლი, ცომაია, კუპატაძე, არსაიძე.

სამდივნოში: ფანცხავა, ა. მათიკაშვილი, შ. ვაშაძე, გ. მაშკევიჩი, სიამაშვილი, შოგირაძე, აფციაური, კეკელია, ავაქოვი, აკოპოვი, ანდრიაძე, პევცოვი, აზარაშვილი.

სარედაქციო კომისიაში: ნიკო კიკნაძე, ჟოჟიკაშვილი, არ. მიქაძე, ბედია, არ. გიორგაძე, თამარ ადამიძე, თ. ელენტი, ესაიანი, ადამიანი, ფილია, ჯაფარლი.

სამანდატო კომისიაში: პ. აღნიაშვილი, მკირვალიძე, ამასი, ოდილავაძე, ანთიძე, კაჭარავა, არუტინოვი, ბელელაძე, ქეჩულორია, შალვა ოკუჯავა, გუდავაძე, გაპალოვი, კუდრიავცევი, ვ. ქურდაძე, მკრტიჩიანი, გაბუნია, გ. ქუთათელაძე.

დღის წესრიგი

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

ს.ს.რ. მთავრობის ანგარიში (მომხსენებელი **ფ. მახარაძე**).

2. მოხსენება სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლად კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. **ს. ჟუღელი**). 3. მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (მომხსენებელი ამხ. **ყურულაშვილი**). 4. მოხსენება საქართველოს დარაიონების შესახებ (მომხსენებელი **გ. მგალობლიშვილი**). 5. არჩევნები

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობა ისმენს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის შეფობის ქვეშ მყოფ კავკასიის წითელდროშოვან არმიის სამოცდამეექვსე ცხენოსანთა პოლკის წარმომადგენლის ამხ. **ლისოვსკის** პატაკს, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშის ცემით ხვდება.

სამხედრო პატაკი

კ.წ.დ. არმიის მე-66 ცხენოსანთა ათასეულის უფროსისა სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობას

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შეფობის ქვეშ მყოფი კავკასიის წითელდროშოვან არმიის სამოცდამეექვსე ცხენოსანთა ათასეული მოახსენებს სრ. საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობას, რომ განვლილ 1927-28 წლის განმავლობაში პოლკის მიერ განვლილია საზამთრო და საგაზაფხულო მომზადების სრული კურსი, რომელიც ემყარება ცხენოსანი ჯარის მომავალი ომისათვის მომზადების ტაქტიკურ მოთხოვნებს. თვითეული წითელი არმიელის მომზადება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ყოველი მებრძოლის, საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქის ინტერნაციონალური აღზრდის ლოზუნგ ქვეშ. ამჟამად ათასეული ამთავრებს 1928-29 წლის საზამთრო მომზადების კურსს და იწყებს საზაფხულო მეცადინეობას. თავის ყოველდღიურ მუშაობაში წითელ არმიელთა აღზრდის, დისციპლინის და სამხედრო უნარის განსამტკიცებლად ათასეული ემყარება კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ივლისის პლენუმის დადგენილებებს. ათასეულის პირადი შემადგენლობა, ანმტკიცებს რა თავის სამხედრო უნარის და პოლიტიკურ დონეს, ფხიზლად ადევნებს თვალყურს გარეშე კონტრრევოლიუციონურ ძალების მოქმედებას. თქვენი შეფობის ქვეშ მყოფ ცხენოსანთა ათასეულის მებრძოლნი, მეთაურნი და პოლიტიკური ხელმძღვანელნი აცხადებენ, რომ თუ ვინიცობაა ჩვენმა მტრებმა სცადეს — დაარღვიონ მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მშვიდობიანი ცხოვრება, თოფები, ხმლები და ტყვიისმფრქვეველები მზად არიან თქვენი ბრძანების თანახმად ბოლო მოუღონ ერთხელ და სამუდამოდ იმ მტერს, რომელიც თქვენ მიერ იქნება დასახელებული! (მქუხარე ტაში და ინტერნაციონალი).

მე-66 ცხენოსანთა ათასეულის წარმომადგენლის პატაკის მოსმენის შემდეგ სიტყვა საქართველოს მთავრობის საანგარიშო მოხსენებისათვის ეძლევა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ფილიპე მახარაძეს,** რომელსაც ყრილობა ოვაციებს უმართავს.

პირველ სხდომაზე მომხსენებელმა მოასწრო მოხსენების მხოლოდ ერთი ნაწილის დამთავრება.

საქართველოს ს.ს.რ. მთავრობის ანგარიში

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

თვითკრიტიკის ლოზუნგით

ჩემი მოხსენება, ამბობს ამხ. ფილიპე მახარაძე, შეიცავს არა მარტო საქართველოს მთავრობის ორი წლის საქმიანობის მიმოხილვას, არამედ იმ პირობების დასახიათებასაც, რომლებშიც საქართველოს მთავრობას უხდებოდა მუშაობა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მთავრობის წარსულ საქმიანობასთან და ამავე დროს წარმოადგენს მოსამზადებელ გარდამავალ საფეხურს მისი შემდგომი მოღვაწეობისათვის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეცხრე წლის თავზე ჩვენი მუშაობის მიმოხილვა მხოლოდ მიღწევების თვალსაზრისით არ იქნება სწორი მიდგომა. მიღწევები უდავოა, მაგრამ ჩვენ იმდენად არ უნდა გვაინტერესებდეს ეს მიღწევები, რამდენადაც საკითხი: შეიძლებოდა თუ არა მეტის გაკეთება და, თუ შეიძლებოდა, რა იყო ამის მიზეზი, რომ ჩვენ ეს ვერ შევსძელით. ჩვენ ამ ყრილობაზე დაუფარავად უნდა ვაღიაროთ ყველა ის მიზეზები, ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც განვლილ პერიოდში წინ გადაგველობნენ. ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ იმას, თუ რას იტყვიან ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩვენ მიერ აღიარებულ საკუთარ შეცდომებზე და ნაკლოვანებებზე. აშკარაა, რომ ისინი კვლავ ასტეხენ განგაშს, სიტყვების რახარუხს იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ვერ უძლევს ქვეყანას, ვერ ხელმძღვანელობს სოციალისტურ მშენებლობას. მაგრამ ჩვენ ამას არ შეუშინდებით, რადგან მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენ მიერ საკუთარი შეცდომების აღიარება მათი გამოსწორების საწინდარია.

რა აფერხებდა მშენებლობას

რა დაბრკოლებები გვეღობებოდენ ჩვენ წინ? როგორი იყო ის მიზეზები, რომელნიც აფერხებდნენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ წინ



რუსთაველის თეატრი, სადაც მიმდინარეობს ყრილობა

სრ. საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობა

მსვლელობას. პირველი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა იმთავითვე ჩვენი ქვეყნის განვითარებას, იყო ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მეტისმეტად ჩამორჩენილობა. ჩვენ არ მიგვიღია მემკვიდრეობით მტკიცე საფუძველი, რომელსაც დაეყრდნობოდა თავის მუშაობის დროს საბჭოთა ხელისუფლება. არ გვქონდა სამრეწველო დარგები, არ გვყოლია მომზადებული სპეციალისტები, ტეხნიკური ძალები და მაღალი ცვალიფიკაციის ხელმძღვანელები. მეორე მნიშვნელოვანი დაბრკოლება ჩვენი სამეურნეო და კულტურულ განვითარებისა იყო და არის საქართველოს მოსახლეობის ეროვნებათა სხვადასხვაობა, რომელნიც კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. საბჭოთა ხელისუფლებას დიდი მუშაობა უხდება, რომ კულტურულად აღორძინოს, წინ წასწიოს და შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ მოსახლეობას გაუთანასწოროს ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა და ზოგიერთ ჩამორჩენილ ქართველ ტომების კულტურული მომზადება. ამის გარეშე ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია მთელი ქვეყნის ნორმალური განვითარება. მესამე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა უგეგმობა ჩვენს ყოველდღიურ მშენებლობაში. ჩვენ იმთავითვე გამომუშავებული არ გვქონია ჩვენი მუშაობის მტკიცე გეგმა. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით პირველ ხანებში, თუ რა საქმეს ვკიდებდით ხელს, რას ვაკეთებდით და როგორ ვაკეთებდით. ჩვენ საქმის შინაარსს ვეცნობოდით მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ან შუა გზაზე იყო, ან დამთავრდებოდა.

უთავბოლობის ნიმუშები

ჩვენს მუშაობას ხშირად ახასიათებდა დაუდევრობა, უყაირათობა, დაუზოგველობა და საქმის უცოდინარობა. ამას ადასტურებს რამოდენიმე მაგალითი ჩვენი სამრეწველო მშენებლობის პრაქტიკიდან. მაგ. ბორჯომის საცასრე ქარხანა, რომლის ხარჯთაღრიცხვა ნახევარ მილიონ მანეთს არ უნდა გასცილებოდა, დაჯდა 1.150.000 მანეთი და კიდევ საჭიროებს 390.000 მანეთს. მარელისის ფაბრიკა გათვალისწინებულ 750.000 მანეთის მაგივრად დაგვიჯდა 1.183.000 მან. ასე დაგვემართა შამგონის ხე-ტყის ქარხნის აგების დროს, აჭარის წყლის ჰიდროელსადგურის აგების საქმეში და სხ. ჩვენ მშენებლობაზე ვხარჯავდით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტს და ამავე დროს ძალიან ვაგვიანებდით სამშენებლო მუშაობის დამთავრებას. წლისა და წელიწად ნახევრის მაგივრად ამა თუ იმ საქმის დამთავრებას ვანდომებდით სამ-ოთხ წელიწადს. ეს აძვირებდა მშენებლობას, ზრდიდა სახელმწიფო ზარალს. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ ყველა ჩვენი შეცდომები დავაკისროთ ჩვენი სამრეწველო მშენებლობის მთავარ ხელმძღვანელებს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მშენებლობას აკლდა მზრუნველი ხელი და საქმეში გარკვეული ხელმძღვანელობა. ყოველივე ეს ეკუთვნის წარსულს, მაგრამ მოსალოდნელია ეს შეცდომები განმეორდეს, თუ ჩვენ არ გავაძლიერებთ ჩვენს ყურადღებას იმ მიზნით, რომ გამოვასწოროთ ჩვენი უგეგმობით გამოწვეული შეცდომები.

ჩვენი მტრების პროვოკაცია

შემდეგ მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს საქართველოს ამ ორი წლის სამრეწველო მშენებლობას საქართველოში. საქართველოს მთავრობა, ამბობს იგი, მტკიცეთ ადგა იმ გზას, რომელიც ნაკარნახევია მე-15 პარტყრილობის დადგენილებებით. უკანასკნელნი გულისხმობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების ინდუსტრიალიზაციას. როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოში ინდუსტრიალიზაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. ეს გაცხოველებული სამრეწველო მშენებლობა შეუმჩნეველი არ დარჩა ჩვენს მტრებს საზღვარგარეთ. მაგ., დაშნაკებმა თავის ორგანოში გამოაქვეყნეს წერილი, რომელიც დაახლოვებით შემდეგს შეიცავს: საქართველოში სამრეწველო-საინჟენერო მუშაობა გიგანტური ნაბიჯით მიმდინარეობს. უდიდესად სასოფლო ქვეყანაში სწარმოებს უდიდეს სამრეწველო დარგების განვითარება. ამ მოვლენას ისინი, რა თქმა უნდა, თავისებურად ხსნიან. ქართველი კომუნისტები, ამბობენ ისინი — გატაცებულნი არიან, რომ თავის ქვეყანას შეუქმნან მტკიცე ეკონომიური ბაზა. მათ მიზანს სოციალიზმის შენება კი არ შეადგენს, არამედ ეკონომიური ნიადაგის მომზადება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მათ სურთ ისარგებლონ რუსეთთან კავშირით და, სანამ გვიან არ არის, მის ხარჯზე განავითარონ მრეწველობა, რომ შემდეგ რუსეთიდან გამოყოფის საშუალება ექნეთო. მათი უტიფრობა იქამდე მიდის, რომ ამხ. სტალინსა და ორჯონიკიძეს ქართველ ნაციონალისტებად სახავენ. რასაკვირველია, მათ კარგად იციან, რომ ეს სიყალბეა, მაგრამ მათ აქვთ თავისი მუცლის გვრემა. ასეთი პროვოკაციით მათ ისევ სურთ ერთი მეორეს გადაკიდონ სომხეთისა და საქართველოს მშრომელი მოსახლეობა. შეხედეთ როგორ სარგებლობენ ქართველები რუსეთთან კავშირით იმ დროს, როცა თქვენ გძინავთო. დაშნაკებს არც ქართველი მენშევიკები ჩამოურჩებიან. ქართველი მენშევიკები თითქმის იმასვე უსაყვედურებენ საქართველოს ბოლშევიკებს, რასაც დაშნაკები სომხების ბოლშევიკებს. ქართველი ბოლშევიკები ყიდიან თავის ქვეყანას, ხოლო სომეხი ბოლშევიკები კი რუსეთის ხარჯზე აშენებენ თავის რესპუბლიკასო. რასაკვირველია, არც ქართველი მენშევიკების და არც სომეხი დაშნაკების პროვოკაციას ჩვენ არ წამოვეგებით. ჩვენთვის აშკარაა ამ პროვოკაციის მიზნები, ისე, როგორც მათთვის აშკარაა ის გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც მიმდინარეობს საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოსა და სომხეთში.

სოციალისტური მრეწველობის ზრდა

როგორია ამჟამად ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა? მის თანდათანობით ზრდას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: 1925-26 წელს ს.მ.უ.ს.-ში გაერთიანებული მრეწველობის საერთო პროდუქცია 25-26 წელს უდრიდა 42 მილიონ მანეთს, 26-27 წელს—47 მილიონს, 27-28 წელს—56 მილიონს. კოოპერატიულ მრეწველობის პროდუქცია 1925-26 წელს—526 ათას მანეთს, 1926-27 წელს—3.920 ათას მანეთს, 1927-28 წელს—6.344 ათას მანეთს. კერძო მრეწველობის პროდუქცია 1925-26 წელს 1.555 ათას მანეთს, 26-27 წელს—938 ათას მანეთს, 27-28 წელს 932 ათას მანეთს. საკონცესიო მრეწველობის პროდუქცია: 1925-26 წელს—5.700 ათას მანეთს, 26-27 წელს—3.600 ათას მანეთს, 27-28 წელს — 1.935 ათას მანეთს.

სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა მთელ მრეწველობაში შეადგენდა 85,9 პროც. როგორც ვხედავთ, წლიდან წლამდე სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია მატულობს, ხოლო კერძო და საკონცესიო მრეწველობის პროდუქცია კი პირიქით, კლებულობს.

სასოფლო მეურნეობა

სხვაგვარი სურათია სოფლის მეურნეობაში. იქ პროდუქციის ღირებულებას არ ემჩნევა ასეთი სწრაფი ტემპით ზრდა. მაგ., 1925-26 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 256.138 ათას მანეთს, 26-27 წელს—265.497 ათას მანეთს, ხოლო 27-28 წელს—256.070 ათას მანეთს. ამ უკანასკნელ წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებას წინა წლებთან შედარებით კიდეც დაუკლია. ეს აიხსნება მოუსავლიანობით სხვადასხვა სტიქიურ მოვლენების გამო. მაგრამ საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი მაინც ჩამორჩება მრეწველობის განვითარების ტემპს, რასაც მეურნეობის ამ ორი მთავარი დარგის ხვედრითი წონის ყოველ წლიური შეფარდება ამტკიცებს. მაგ., თუ მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა მთელს სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 1925-26, წელს 27 პროცენტს, ხოლო სასოფლო მეურნეობის 73 პროც., 1927-28 წელს მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა გაიზარდა 32,8 პროცენტამდე, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითმა წონამ კი დაიკლო 64,2 პროცენტამდე. მრეწველობაში იმატა აგრეთვე შრომის ნაყოფიერებამ, რომელმაც ამ ორი წლის განმავლობაში მოგვცა 14 პროც. ზრდა, ხელფასმა კი ამავე ხნის განმავლობაში 6,7 პროცენტით მოიმატა. უფრო ნაკლები ტემპით კლებულობს პროდუქციის თვითღირებულება, რომლის დაკლება ამ ორი წლის განმავლობაში 4,7 პროცენტს არ აღემატება.

კაპიტალური ხარჯები

რამდენი თანხა იყო დაბანდებული ს.მ.უ.ს.-ში გაერთიანებულ მრეწველობაში? ამის შესახებ ლაპარაკობს შემდეგ ციფრები: 1923-24 წელს მრეწველობაში დაბანდებული იყო 832 ათასი მანეთი, 24—25 წელს—1.993 ათასი მანეთი, 25-26 წელს—3.769 ათასი მანეთი, 26-27 წ.—5.540 ათასი მან. ასევე პროგრესიულად მატულობდა კაპიტალური ხარჯები ჩვენს მრეწველობაში. კაპიტალური მშენებლობა უმთავრესად იკვებებოდა საბჭოთა კავშირის მთავრობიდან მოწოდებული თანხებით, მაგრამ ს.მ.უ.ს ხარჯავდა აგრეთვე თავის საკუთარ თანხებსაც. 1924-25 წელს ს.მ.უ.ს. დაუხარჯავს კაპიტალურ მშენებლობაზე 1.085 ათასი მანეთი, 25-26 წელს —1.020 ათასი მანეთი, 26—27 წელს —2.025 ათასი მანეთი და 27-28 წელს — 3.356 ათასი მანეთი.

ელექტრომშენებლობა

კაპიტალურ მშენებლობაში ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ელექტროსადგურების აგებას. ზაჰესი, რომელიც უკვე დამთავრებული იყო საანგარიშო პერიოდის დამდეგამდე, ამჟამად 60 პროცენტით არის დატვირთული და ამ მოკლე ხანში იგი სავსებით დატვირთული იქნება, რისთვისაც დაიდგმება კიდევ ორი ახალი ტურბინა. იზრდება აგრეთვე დატვირთვა აბაშის ჰიდროელსადგურის, რომელიც ამ მოკლე ხანში მოგვცემს 4.000-მდე ცხენის ძალას. წარმატებით მიმდინარეობს რიონჰესის მშენებლობა, რომელიც დამთავრდება 1931 წლისათვის. ჯერჯერობით მას არავითარი შეფერხება არ განუცდია. ელექტრო - მშენებლობის დარგში ჩვენ გვაქვს ერთი მარცხი ეს არის აჭარის წყლის ჰიდრო-ელსადგური, რომლის ხარჯთაღრიცხვა მილიონ მანეთამდე იყო ნავარაუდევი, მაგრამ დღემდე უკვე მაზე დახარჯულია 6.600 ათასი მანეთი და მის დამთავრებას კიდევ სჭირდება 1.400 ათასი მანეთი. ამჟამად იქ მუშაობა შეჩერებულია და მიმდინარეობს ნიადაგის გამოკვლევა, რომ თავიდან ავიცილოთ კიდევ სხვა შეცდომები.

ჭიათურის შავი ქვა

შემდეგ მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს საქართველოს ს.მ.უ.ს. სხვადასხვა ტრესტების მუშაობას და ვრცლად ჩერდება შავი ქვის მრეწველობაზე. სამი წლის წინად მთავრობამ ჭიათურის შავი ქვა გადასცა კონცესიად ჰარიმანს, იმ მიზნით, რომ კონცესიონერს გაედიდებია როგორც შავი ქვის ამოღება, ისე მისი გატანა, მაგრამ მან ვერ შესძლო ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირობების შესრულება და ჩვენ ვარჩიეთ შავი ქვის მრეწველობისათვის თვითონ ჩვენ მოგვეკიდა ხელი. რამდენიმე თვეა შავი ქვის მრეწველობა ჩვენ ხელში გადმოვიდა. გადმოსვლის დღიდანვე მას დაეტყო აღორძინება. თუ კონცესიონერის წასვლის დღეებში ჭიათურის მაღაროებში მუშაობდა მხოლოდ 849 კაცი, ამჟამად მუშა ხელი იქ აღწევს 4.390 კაცს. იმატა აგრეთვე შავი ქვის ამოღებამ და უცხოეთში გატანამ. დღემდე უკვე გატანილია 213.800 ტონა. ამ სამეურნეო წლის დამთავრებისათვის განზრახული გვაქვს გავიტანოთ 500-700 ათას ტონამდე.

ამით დაამთავრა ამხ. ფილიპე მახარაძემ თავისი მოხსენების ერთი ნაწილი. მოხსენება გაგრძელდება დღევანდელ სხდომაზე.

სხდომის დასასრულს ყრილობამ მოისმინა სომხეთის საბჭოთა ყრილობის და ოქონის რაიონის (სამხრეთოსეთი) საბჭოს მისასალმებელი დეპეშები.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება.

ღამის ცნობები

ამხ. ლიტვინოვი ვარშავაში

ვარშავა, 8 აპრილი. ვარშავაში ჩამოვიდა ლიტვინოვი, რომელსაც შეხვდნენ პატეკი და საბჭოთა სელჩის წევრები ბოგომოლოვის მეთაურობით.

ვარშავაში ლიტვინოვი დარჩა ერთი საათი და შემდეგ გაემგზავრა ჟენევისაკენ ვენაზე გავლით. (ადს).

პილსუდსკი იცავს ჩეხოვიჩს

ვარშავა, 8 აპრილი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „7 აპრილს, პოლონეთის მთავრობასთან დაახლოვებულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს პილსუდსკის წერილი, რომელშიაც იგი სოლიდარობას უცხადებს, როგორც წინანდელ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ყოფილ ფინანსთა მინისტრს—ჩეხოვიჩს იმ ხარჯების გაწევაში, რომლის გამოც ჩეხოვიჩი გადასცეს სახელმწიფო ტრიბუნალს. მარშალი მკაცრად აკრიტიკებს სეიმის უმრავლესობას მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. პილსუდსკი, კერძოთ, კიცხავს ჩეხოვიჩისადმი ბრალდებების წარმდგენლებს—სოციალისტ დეპუტატს ლიბერმანს და ვიზვოლენიეს პარტიის დეპუტატს—ვოჟნისცკის.

პილსუდსკი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ დროებითმა ავადმყოფობამ მას ხელი შეუშალა მონაწილეობა მიეღო დებატებში და აცხადებს, რომ ეხლა თავს კარგად გრძნობს და გადასწყვიტა კვლავ მიიღოს თავის თავზე მთავრობის ხელმძღვანელობა, რომ დაიცვას პოლონეთი იმ შედეგებისაგან, რომელიც გამომდინარეობს სეიმის მოღვაწეობიდან უკანასკნელი საბიუჯეტო სესიის დროს. (ადს)

რეიტერის ცნობა

ლონდონი, 8 აპრილი. რეიტერის სააგენტო დელიდან იტყობინება:

—„ინგლის-ინდოეთის საკანონმდებლო საკრებულოს სხდომის დარბაზში გადააგდეს ორი ყუმბარა. ერთი ყუმბარა დავარდა ფინანსთა მინისტრის მახლობლად. საკრებულოს რამოდენიმე წევრი დაჭრილია. ყუმბარებით სავსებით დამსხვრეულია ის სკამები, რომლებიც ეკავა მთავრობის მომხრეებს.

თავდასხმის გამო დაპატიმრებულია ორი კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ ყუმბარები და რევოლვერები. ყუმბარებთან ერთად დარბაზში გადაისროლეს რევოლუციონური ხასიათის მოწოდებები. მოწოდებაზე ხელს აწერს არმიის საპატიო მთავარსარდალი ბალრაჯი.

დაპატიმრებულები — ბუტუკესვარა და ბრაგტსინგი, როგორც იტყობინებიან, გამოტყდენ დანაშაულში. (ადს).

კომუნისტ დეპუტატ ბაჩინსკის 5 წლის კატორღა მიუსაჯეს

ვარშავა, 7 აპრილი. სოსნოვიცის საოლქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი კომუნისტ დეპუტატის ბაჩინსკის საქმის გამო. ბაჩინსკის მიესაჯა კატორღა 5 წლით. (ადს).

აღმოსავლეთ-პრუსიის ეკონომიური დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 8 აპრილი. ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა აღმოსავლეთ-პრუსიის ეკონომიური დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს აღმოსავლეთ-პრუსიის ობერ-პრეზიდენტი და ქალაქ კენიგსბერგის ობერ-ბურგომისტრი. (ადს).

ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის

მოსკოვი, 8 აპრილი. ამხ. პოკროვსკის წინადადებით, კომუნისტური აკადემიის პლენუმმა ტალვაინარი ერთხმად გამორიცხა კომუნისტური აკადემიის წევრობიდან ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური მოქმედებისათვის.

ვასიფ-ბეის გადადგომა

ანგორა, 8 აპრილი. განათლების მინისტრმა ვასიფ-ბეიმ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. ვასიფ-ბეის გადადგომა მიღებულია. (ადს).

სომხეთის საბჭოთა ყრილობა

ერევანი, 8 აპრილი. 7 აპრილს გაიხსნა სომხეთის საბჭოთა მეექვსე ყრილობა. ყრილობა გახსნა ამ.-კავკასიის და სომხეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტების თავმჯდომარემ ამხ. კასიანმა. ამხ. კასიანმა ყრილობის ყურადღება მიაქცია იმ მთავარ ამოცანებზე, რომლებიც შემდინარე პერიოდში დგანან საბჭოთა ხელისუფლების წინაშე—შრომის ნაყოფიერების აწევა, ნათესების სივრცის გაფართოება, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, და აღნიშნა, რომ ამ ლოზუნგების განხორციელება საბჭოთა კავშირს მისცემს საშუალებას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ეკონომიური მხრივ დამოუკიდებლად იგრძნოს თავი.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევამდე ყრილობამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: **სტალინი** (ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად გადაიქცა), კალინინი, რიკოვი, კუიბიშევი, მოლოტოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, ტომსკი, კრუპსკაია, მიქოიანი, ორჯონიკიძე, ცხაკაია, ალამალი-ოღლი, თრახელაშვილი, ელიავა და ნაზარეტიანი.

ყრილობის პრეზიდიუმის წინადადებით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, საკავშირო ცაკს და სახკომსაბჭოს და საქართველოს საბჭოთა ყრილობას. ყრილობას საქართველოს ცაკის სახელით მიესალმა სპეციალურად ჩამოსული ამხ. სტეპანოვი. ამის შემდეგ ამხ. ელიავა აკეთებს მოხსენებას ამ.-კავკასიის მთავრობის მოქმედების შესახებ.

ამხ. ელიავას მოხსენება

მოხს. პირველ ნაწილში ამხ. ელიავა შეეხო კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას. ამხ. ელიავამ დაახასიათა ამიერკავკასიის მდგომარეობა და განაცხადა:

„ჩვენი ეკონომიური ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი ბიუჯეტის ზრდა. ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი მიმდინარე სამეურნეო წელს უდრის 143.882.000 მანეთს, წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 35 პროცენტით. სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების ხაზით და 20,9 პროცენტით სოციალ-კულტურული ხარჯების ხაზით. ამავე დროს სამმართველო ხარჯები თანდათან მცირდება. მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირ გადასახადებს ემყარება და არ აქვს შემოსავალი ადგილობრივი ხასიათის წარმოებათაგან. ადგილობრივ ბიუჯეტს დახმარებას აწვდის კავშირი, რომელიც სპეციალურ დოტაციებს იძლევა მასწავლებლების შესანახად და საგზაო მშენებლობისათვის".

შემდეგ მომხსენებელი ეხება ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარებას და ყრილობას აცნობს კაპიტალური ხარჯების ციფრებს სახალხო მეურნეობის ამ დარგში.

„სოციალიზმი შეიძლება ავაშენოთ მხოლოდ მრეწველობის განვითარების ნიადაგზე, — ამბობს ამხ. ელიავა,—ამიტომ ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ მრეწველობის განვითარებას. იზრდება შრომის ნაყოფიერება, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში უნდა შეიმატოს 65 პროცენტით. გაცილებით ცუდი მდგომარეობაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მხრივ".

მომხსენებელი ეხება სოფლის მეურნეობის საკითხებს და აღნიშნავს, რომ ყოველ წლობით იზრდება მისი სოციალისტური სექტორი. ამიერ-კავკასია სოფლის მეურნეობის დარგში წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, სადაც ხარობს უმაღლესი ტეხნიკური კულტურები, რომლებიც კავშირის მრეწველობას ესაჭიროება, როგორც ნედლეული. ამ დარგში გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადავსდგათ— უნდა გავადიდოთ ამ ტეხნიკური კულტურების სივრცე, კერძოდ ბამბის ნათესის სივრცე, მარცვლეული კულტურების საზიანოდაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიას არ ჰყოფნის საკუთარი პური.

„სამრეწველო ბაზა ჩვენში,—ამბობს ამხ. ელიავა,—ჩამორჩება მრეწველობის განვითარებას, ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ნაკლებია მრეწველობის განვითარების ტემპზე, მაგრამ ჩვენ ამოცანად ვისახავთ მრეწველობის ზრდის არა შენელებას, არამედ ენერგიული ზომების მიღებას, რათა სოფლის მეურნეობა დაეწიოს მრეწველობას. მრეწველობისაგან სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დამამტკიცებელ ფაქტს წარმოადგენს პურის ნაკლებობა, რაზედაც ჩვენი მტრები აშენებენ წინასწარმეტყველობას ჩვენი დაღუპვის შესახებ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ ისინი, რომ არ გამართლდება მათი იმედები და ჩვენ შევსძლებთ სოფლის მეურნეობა გაუუთანასწოროთ მრეწველობას" (ტაში).

მომხსენებელმა დაახასიათა მშენებლობა ელექტროფიკაციის, საქონლის ბრუნვის და ტრანსპორტის დარგში და აღნიშნა, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს უმაღლესი სასწავლებლების მუშაობას. მომხსენებლის აზრით, ყრილობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს შრომის დისციპლინის აწევას ჩვენს წარმოებებში.

ამხ. ელიავას მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

„1. სომხეთის საბჭოთა მე-6 ყრილობა, მოისმინა რა მან ამ.-კავკ. სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში, სავსებით და მთლიანად იწონებს მის მოქმედებას.

2) ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმპერიალისტური სახელმწიფოების განუწყვეტელი, აშკარა აგრესიული პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ, კავშირის მთავრობა, მუშათა და გლეხთა ნება-სურვილის თანახმად, მტკიცედ ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, რაიც აუცილებელ გარანტიას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის შემდგომი ზრდისათვის.

3) ამ.-კავკ.. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობამ საანგარიშო პერიოდში, გამოდიოდა რა იგი ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინტერნაციონალური ოჯახის ინტერესებიდან, მთელი რიგი ღონისძიებებით გააფართოვა და განამტკიცა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიური ბაზა და გახადა ის ეროვნული მშვიდობიანობის შეურყეველ სიმაგრედ.

4) კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც ემყარებოდა ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მკაფიო, მტკიცე პოლიტიკის საერთო-საკავშირო გეგმას,—კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესების და კულტურულ-პოლიტიკური ზრდის ნიადაგზე ვითარდება მუშათა და გლეხთა რევოლიუციონური შემოქმედებითი აქტივობა და მათი მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში.

5) ყრილობა ამ.-კავკ. სოც.-ფედ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას ავალებს განუწყვეტლივ განამტკიცოს საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა და ძლიერება, ხოლო წითელ არმიას—კვლავ მედგრად იდგეს მშვიდობიანობის პოლიტიკის სადარაჯოზე. მიუხედავად სიძნელეთა კლასობრივ ბრძოლის გამწვავების გამო, მიუხედავად კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობისა, ყრილობა ავალებს მთავრობას გადაუხრელად გაატაროს ინდუსტრიალიზაციის და სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დასახული ტემპი, განაგრძოს ამ.-კავკ. ფედერაციის—პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მჭედელის, სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ზრდის დიადი საქმე" (ადს).

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება ყრილობას

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის უზენაეს ორგანოს—ამ.-კავკ. ცაკის სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი წითელი და მშვენიერი ჰაიასტანის მუშებს და მშრომელ გლეხებს და გულწრფელ სურვილს გამოვსთქვამ, რომ თქვენმა საუკეთესო წარმომადგენლებმა საბჭოების მეექვსე ყრილობაზე საუკეთესოდ გადასწყვიტონ, დაურიდებელი კრიტიკის და თვითკრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ ყრილობის დღის წესრიგში დასმული სამეურნეო-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ხასიათის საკითხები—მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის და მთელი მშრომელი გლეხობის საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირების საკითხები; დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხებს გადასწყვეტთ ლენინიზმის პრინციპების მიხედვით, ამასთან თქვენი რიგებიდან გააძევებთ ყველა კონტრრევოლიუციონურ ტროცკისტულ ელემენტებს—თუ კი ასეთი ელემენტები თავს იჩენენ, და მკაცრ ბრძოლას გამოუცხადებთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დღეს ყველაზე საშიშ აშკარა-ოპორტუნისტულ მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას.

დაე, ჩვენი სამეურნეო ზრდის სიძნელეებმა კიდევ უფრო მტკიცედ შეამჭიდროვონ ჩვენი ძმური დამოუკიდებელი სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა-პარტიული საზოგადოებრიობის რიგები!

დაე, ყოველთვის მტკიცედ იდგეს ახლო აღმოსავლეთის მოწინავე ინტერნაციონალურ პოსტზე პატარა საბჭოთა სომხეთი, რომელიც ძმურ ერთობაშია ამიერ-კავკასიის ფედერაციასთან და მთელ საბჭოთა კავშირთან!

გაუმარჯოს სომხეთის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების მეექვსე საბჭოთა ყრილობას!

ძალიან ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო არ შემიძლია პირადად დავესწრო ყრილობას.

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე
მიხა ცხაკაია.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმი

7 აპრილს, პლენუმის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი საქართველოს დარაიონების შესახებ მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ-ებმა **ურუშაძემ, სიამაშვილმა, კახიანმა, გაბუნიამ, მჟავიამ** და **იმედაძემ.**

ამხ. მახარაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. გ. სტურუას საინფორმაციო ცნობა პარტიის მომავალი გენერალური წმენდის შესახებ.

8 აპრილს, დილის სხდომაზე, პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენებების გამო. შემდეგ პლენუმი მიმდინარე საკითხების განხილვაზე გადავიდა. (ადს).

მასალები სრ. საქ. მეხუთე ყრილობისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მეორე პლენუმი

მოსკოვი, 8 აპრილი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მეორე პლენუმმა დაადგინა, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილების თანახმად, გაანთავისუფლოს ამხ. **მოლოტოვი** მოსკოვის კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან. პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია მისი გაწვევის გამო.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **ბაუმანი;** მოსკოვის კომიტეტის მეორე პლენუმმა აირჩია ამხ. **პოლონსკი.** კომიტეტის მესამე მდივნად მოსკოვის კომიტეტმა აირჩია ამხ. **ლეონოვი**—კრასნოპრესნის რაიკომის მდივანი. მოსკოვის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილების გამგედ პლენუმმა აირჩია ამხ. **ბულატი**—საკავშირო კომპარტიის (ბ) ტულის გუბკომის მდივანი—და კოოპტაციის წესით შეიყვანა იგი საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმის და სამდივნოს ბიუროს შემადგენლობაში (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის რეზოლიუცია ამხ. მოლოტოვის შესახებ

მოსკოვი, 8 აპრილი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის რეზოლიუციაში ცეკას მიერ **მოლოტოვის** გაწვევის შესახებ ცნობის გამო, ნათქვამია:

„საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ცნობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოსკოვის კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან ამხ. მოლოტოვის გაწვევის შესახებ, აღნიშნავს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ამხ. მოლოტოვის უდიდეს როლს მოსკოვის ორგანიზაციის შემჭიდროების საქმეში; ამხ. მოლოტოვი იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზისათვის მოსკოვის კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა მერყეობის წინააღმდეგ, იმ ხელმძღვანელთა, რომლებიც ჩქმალავდნენ მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის საჭიროებას და ამით არყევდნენ მოსკოვის კომიტეტის ავტორიტეტს

მოსკოვის კომიტეტის და რაიკომების განახლებულმა ხელმძღვანელობამ ამხ. მოლოტოვის მეთაურობით შედარებით მცირე ხნის განმავლობაში შეამჭიდროვა მოსკოვის ორგანიზაცია და აღადგინა ავტორიტეტი მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის მთელი ორგანიზაციისა, როგორც პარტიის მოწინავე რაზმისა, რომელიც ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით იბრძვის პარტიის გენერალური ხაზისათვის, ყოველგვარი ოპორტუნისტული მერყეობის და პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ; ამასთან ერთად, უფრო მეტად განმტკიცდა მოსკოვის ორგანიზაციის ბრძოლის უნარი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელების და მის სიძნელეთა დაძლევის საქმეში.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი მოსკოვის მთელი ორგანიზაციის სახელით ლენინურ ცეკას აღუთქვამს, რომ მოსკოველი ბოლშევიკები ცეკას ხელმძღვანელობით თავდადებულ, ენერგიულ მუშაობას გააჩაღებენ პარტიის მიერ დასმული ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად და პარტიის ირგვლივ დარაზმავენ მუშათა კლასს და მშრომელთა ფართო მასებს.

ჩვენ აღუთქვამთ ცეკას, რომ ყოველგვარ ცდას პარტიული რიგების მთლიანობის შესარყევად, პარტიის ცეკას ავტორიტეტის შესარყევად და რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინის დასარღვევად მკაცრ პასუხს გასცემს მოსკოვის ორგანიზაცია.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი მოსკოვის ორგანიზაციის კომუნარებისაგან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ამხ. მოლოტოვს (ადს).

აჭარისტანის საბჭოების ყრილობა

ბათომი, 8 აპრილი. სრულიად აჭარისტანის საბჭოების ყრილობაზე მთავრობის მოხსენებაში მომხსენებელმა ამხ. გამყრელიძემ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის დროს აჭარისტანის მთავრობა ყოველგვარად სცდილობდა განეხორციელებია პარტიის გენერალური ხაზი, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაძლიერებას, მძლავრი საბჭოთა მეურნეობის შექმნას და ინდუსტრიალიზაციის ტემპის განვითარებას. აჭარისტანის სოფლის მეურნეობა შეუწყვეტლივ იზრდება და მაგრდება, რასაც ამტკიცებს მისი პროდუქციის ზრდა, რომელიც, გასულ წელთან შედარებით, გაიზარდა 14 პროცენტით და 4.560.000 მანეთიდან ავიდა — 5.068.000 მანეთამდე. ნათესების სივრცე გაიზარდა 5 პროცენტით. მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა ტეხნიკური კულტურების—ჩაის, მანდარინის და სხ.—განვითარებას. ჩაის პლანტაციების სივრცე უკანასკნელი წლის განმავლობაში გაიზარდა 28,5 პროცენტით, ჩაის მეურნეობის პროდუქცია—10,5 პროცენტით. ჩაის გასულ წელს ეჭირა 1.320 ჰექტარი, წელს კი უჭირავს 1.698 ჰექტარი. ხუთ წლიანი გეგმით გათვალისწინებულია ახალი პლანტაციების გაშენება 8.000 ჰექტარის სივრცეზე, აქედან წელს გაშენებული იქნება 700 ჰექტარი. თამბაქოს ნათესის სივრცე წელს გაიზარდა 10 პროცენტით, მანდარინის ბაღების—26 პროცენტით.

ამ ჟამად აჭარისტანში ირიცხება 46 კოლექტიური მეურნეობა, გასულ წელს კოლექტიური მეურნეობა აჭარისტანში სულ არ მოიპოვებოდა. საბჭოთა მეურნეობის პროდუქცია წელს გაიზარდა 172 პროცენტით.

გამოსადეგი მიწების სიმცირის გამო (290.000 ჰექტარ მიწიდან გამოსადეგია მხოლოთ 15 პროცენტი) დიდი ყურადღება ექცევა მიწათმოწყობას. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის წელს შემოტანილ იქნა 34 პროცენტით მეტი მანქანები, ვიდრე გასულ წელს.

დიდი მუშაობაა სასკოლო და საგზაო მშენებლობის და მაზრების ტელეფონიზაციის გასაძლიერებლად. სასკოლო საქმეზე წელს იხარჯება მთელი ბიუჯეტის 32 პროცენტი. საბჭოთა ხელისუფლებამდე აჭარისტანში იყო 35 სკოლა, ეხლა კი არის 165 სკოლა. მოწაფეთა რიცხვი წელს უდრის 16.731, გასულ წელს კი უდრიდა 11.257 კაცს.

უკანასკნელი წლის განმავლობაში გაყვანილი იქნა 10 ახალი გზა.

არა ნაკლები მიღწევები გვაქვს საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში. აღდგენილ იქნა ყველა ფაბრიკა-ქარხანა. როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარ გარედ შევიძინეთ ბევრი ახალი მანქანა და მოწყობილობა.

უკანასკნელ წლებში დიდათ გაიზარდა მრეწველობაში ჩაბმულ აჭარელთა რიცხვი. ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმული აჭარელი მუშების რიცხვი 5 პროცენტიდან 12 პროცენტამდე ავიდა. უკანასკნელ წელს მრეწველობამ ბაზარზე გამოუშვა 2.670.000 მანეთის პროდუქცია, რაც გასულ წელთან შედარებით, იძლევა 30 პროცენტით გადიდებას. ბათომის ნავთსადგურის ბრუნვა, გასულ წელთან შედარებით, გაიზარდა 33 პროცენტით. გატანილ იქნა 2.140.000 ტონა საქონელი, გასული წლის 1.537.000 ტონას ნაცვლად.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კულტურულ და ყოფა-ცხოვრების საკითხებს და აღნიშნა მიღწევები, უცოდინარობის ლიკვიდაციის, ახალი ყოფა-ცხოვრების და სხ. დარგში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ცდები სურამის უღელტეხილზე

მოსკოვი, 8 აპრილი. 5 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრა გზათა სახალხო კომისარიატის კომისია, რომელიც სურამის უღელტეხილზე ჩაატარებს სერიის „ე"-ს 4 ძალოვანი ორთქლმავლების გამოცდას. ცდებს გადაიღებს „სოვკინო". (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან--კვირამდე)

დამოკიდებულება ინგლისთან. —მირონესკუს თავხედური განცხადების გამო. —დე-ჟუვენელის ანტისაბჭოთა გამოსვლა.—გენერლების ბრძოლა და იმპერიალისტების მეტოქეობა ჩინეთში.

ჩერჩილის საპარლამენტო მდივანმა ბუტბიმ ამას წინეთ განაცხადა: როგორც კი საბჭოთა კავშირსა და ინგლისის შორის აღდგენილ იქნება სავაჭრო დამოკიდებულება, დაუყოვნებლივ განახლდება დიპლომატიური ურთიერთობაც. დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენას „რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიეცემა და ის უფრო თავაზიანობისათვის მოხდება"-ო.

ამ უკანასკნელ აზრზე საჭიროა ცოტა შევჩერდეთ, ბევრი განმარტება არ უნდა, რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირ შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლება უბრალო „თავაზიანობის" საკითხი როდია, და თუ მას „განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიეცემა", ეს მხოლოდ ამჟღავნებს კონსერვატორების ზრახვებს, ინგლისი სულ ხდება იძულებული უარი სთქვას საბჭოთა კავშირის მიმართ ეკონომიურ ბლოკადის განხორციელებაზე და შეეცადოს ჩვენთან აღებ - მიცემის გაფართოებას. ამას მოწმობს ინგლისის მრეწველთა დელეგაციის ჩამოსვლაც, მაგრამ ნორმალური სავაჭრო დამოკიდებულების დამყარება აუცილებლად მოითხოვს მხარეთა შორის პოლიტიკურ, დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენას, რითაც ინგლისის მესვეურებმა უნდა გვიჩვენონ, რომ ისინი ხელს იღებენ თავის მტრულ პოლიტიკაზე, მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ მთლიან ფრონტის შექმნის და შეიარაღებულ თავდასხმის მზადების პოლიტიკაზე, რომლის გაგრძელება, ცხადია, ვერ შექმნის პირობებს წარმატებითი საქმიან ურთიერთობისათვის.

თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენ არავითარ ილიუზიებს არ ვქლევით: ეკონომიური და დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენა ინგლისთან არ არის იმის გარანტია, რომ ინგლისელი იმპერიალისტები კვლავ არ მიმართავენ ანტისაბჭოთა ინტრიგებს. მაგრამ იგი ყოველ შემთხვევაში დიდად შეუშლის ხელს ამ ინტრიგების განხორციელებას.

ბუტბი ამერიკის მაგალითზე მიუთითებს: „მე ვერაფრით ვერ ამიხსნია, რატომ უნდა ახდენდეს გავლენას ვაჭრობაზე ინგლისელ დიპლომატის მოსკოვში ყოფნა, ამერიკას, რომელსაც დიდი ვაჭრობა აქვს საბჭოთა კავშირთან, არასოდეს არ ყოლია დიპლომატიური წარმომადგენელი მოსკოვში". ამერიკას თუ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, არც გაუწყვეტია ის, მაშინ როცა ინგლისს ასეთი ურთიერთობა ქონდა, მაგრამ შემდეგ გასწყვიტა. ბუტბისათვისაც სავალდებულო უნდა იყოს იმის ცოდნა, რომ აქ არსებითი, განსხვავებაა, ლონდონმა, რომელმაც ჩვენთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებასთან ერთად, ჩაშალა დიპლომატიური დამოკიდებულებაც, ამით ნათელჰყო თავისი მტრობა საბჭოთა კავშირის მიმართ. შუბლმაგართა მთელი შემდეგი „მოღვაწეობა", ხომ ამ მტრობის დემონსტრაციას წარმოადგენს. ამავე დროს ამერიკაში თანდათან ძლიერდება მოძრაობა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ, რაც იმას ადასტურებს, რომ ქვეყნების საქმიან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად აუცილებელია მათ შორის დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენა.

საკავშირო მთავრობის კომისიამ, რომელსაც ინგლისის მრეწველთა დელეგაცია ეწვია, ამ მომენტს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, მან აღნიშნა რა ინგლის - საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის უდიდესი შესაძლებლობანი, განაცხადა: „ინგლისის ფართე თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის განვითარების გზაზე მდგომ მეურნეობასთან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მთავრობებს შორის განახლდება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა. დაუშვებელია, რომ არაეკონომიური ხასიათის შემთხვევითი ფაქტორები არყევდნენ ან, მით უფრო არღვევდნენ ეკონომიურ შეთანხმებებს. ასეთ ელემენტარულ უფლებრივ ბაზისს წარმოადგენს ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის არსებობა. ჩვენ ვერ ვხედავთ შესაძლებლობას, რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირ შორის ეკონომიური თანამშრომლობა განხორციელდეს ზემოხსენებულ საკითხის გადაუჭრელად".

ჩვენი ვაჭრობა ინგლისთან, ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ, ძალზე შემცირდა, და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ინგლისი კრედიტების გახსნის და სხვ. მხრივ შეუძლებელ მდგომარეობას ქმნიდა, არამედ იმიტომაც, რომ შუბლმაგარნი არკოსზე თავდასხმით, ინგლისში არსებულ საბჭოთა ბანკების წინააღმდეგ პროვოკაციით და მთელი რიგი სხვა ანტისაბჭოთა გამოსვლებით ძირს უთხრიდნენ აღებ - მიცემის განვითარებას. რა გარანტია გვაქვს, რომ ყოველივე ეს შემდეგშიაც არ განმეორდება. საერთოდ, ზედმეტია ლაპარაკი ინგლისთან ნორმალურ საქმიან ურთიერთობაზე მაშინ, როცა მისი მთავრობა საერთაშორისო მასშტაბით საბჭოთა კავშირის დამხობას ცდილობს. დიპლომატიურ დამოკიდებულების აღდგენამ რამოდენიმედ მაინც უნდა განფანტოს ასეთი ატმოსფერა და უზრუნველყოს სათანადო პირობები ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

ყოველივე ეს უნდა შეიგნონ ინგლისის სამრეწველო - სავაჭრო წრეებმა, რომელნიც ცხოვლად არიან დაინტერესებული ჩვენთან აღებ - მიცემის განვითარებით, და აქედან შესაფერი დასკვნები გამოიყვანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში უდაოა, რომ ინგლისი უფრო იზარალებს, ვიდრე ჩვენ: საბჭოთა კავშირი მის ხარჯზე გააფართოვებს სავაჭრო დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებთან, როგორც ეს დღემდე ხდებოდა.

⁂

რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი მირონესკუ თავის ინტერვიუში, რომელიც მან ამ დღეებში გააკეთა პარიზში ყოფნის დროს, შეეხო ბესარაბიის საკითხს; მან აღიარა: „რა საკვირველია, მოსკოვის ოქმი არ ნიშნავს, რომ მოსკოვმა ფორმალურად იცნო ბესარაბიის შეერთება რუმინეთთან", ჩვენ ვიცით, რომ რუმინელი მილიტარისტები თავიანთ პოლონელ მოკავშირეთა დახმარებით ცდილობდნენ ამხ. ლიტვინოვის ოქმში რუმინეთის მონაწილეობის პირობად წამოეყენებიათ ჩვენი მხრით ბესარაბიაზე უარის თქმა და მისი გამოცხადება რუმინეთის კუთვნილებად, მაგრამ ოფიციალურად ამის მოთხოვნა ვერ გაბედეს, შემდეგ მათი განზრახვა იყო ფარულად, კონტრაბანდად გაეტარებიათ ის აზრი, შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება. თითქო რუმინეთის მონაწილეობა მოსკოვის ოქმში თავის თავად გულისხმობდეს ბესარაბიის დაპყრობის დაკანონებას. არც ამან გასჭრა. ამხ. ლიტვინოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ოქმი ოდნავადაც არ ეხება ბესარაბიის საკითხს, რომელიც ისევ ძველ მდგომარეობაში რჩებაო. რუმინეთის მთავრობა იძულებული გახდა ამისათვის ანგარიში გაეწია. მირონესკუს ზევით მოყვანილი ინტერვიუც ამას ადასტურებს.

მირონესკუ ეხლა თავს ასე „იწუგეშებს". „ჩვენ არც კი გვაქვს საფუძველი შევეცადოთ ასეთი ცნობის მოპოვებას, ჩვენთვის საკმარისია ისიც, რომ რუმინეთი ფლობს ბესარაბიას კანონიერად და ფაქტიურად", რომ რუმინელი იმპერიალისტები ფაქტიურად ფლობენ ბესარაბიას, ე. ი. რომ მათ უხეში ძალით დაიპყრეს იგი, რომ ისინი ხიშტისა და მათრახის საშუალებით ბატონობენ ბესარაბიის მშრომელ მასებზე, — ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ რაც შეეხება ამ მტაცებლობის „კანონიერებას", ამაში მირონესკუ, რა თქმა უნდა, ვერავის დაარწმუნებს, ცხადია, ამისათვის საბუთად არ გამოდგება იმაზე მითითება, რომ ზოგიერთმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, რათა რუმინეთზე თავისი გავლენა განემტკიცებიათ და იგი თავის ანტისაბჭოთა ზრახვების იარაღად გაეხადათ, ბესარაბია რუმინეთს „შესთავაზეს". განა ლაპარაკი უნდა, რომ საბჭოთა მთავრობისათვის საკითხის ასეთი „გადაწყვეტა" სავალდებულო არ არის. მთავარი ფაქტი ის არის, რომ რუმინეთმა მიითვისა ბესარაბია იმ ქვეყნის (საბჭოთა კავშირის) ნებისყოფის წინააღმდეგ, რომლის უდაო ნაწილს ის შეადგენდა და ეხლაც შეადგენს თვით ბურჟუაზიულ საერთაშორისო უფლების თვალსაზრისითაც. და საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების გარეშე კანონიერად ვერ ჩაითვლება ბესარაბიის საკითხის გადაწყვეტა.

ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი ფაქტებიც: 1) 1918 წელს რუმინეთის მესვეურები იძულებული იყვნენ ჩვენთან დაედოთ შეთანხმება ბესარაბიის დაცვის შესახებ; 2) 1924 წ. რუმინეთის და საბჭოთა მთავრობის შორის ვენაში გაიმართა კონფერენცია, რომელზედაც ჩვენ მოვითხოვდით სადაო საკითხის პლებისციტის საშუალებით გადაჭრას, ხოლო რუმინეთის დელეგაცია ლამობდა ბესარაბიის ანექსია დაეკანონებია. ხსენებული შეთანხმება რუმინეთმა უხეშად დაარღვია, მან პლებისციტის ჩატარებაზედაც უარი სთქვა, ვინაიდან იცოდა, რომ ბესარაბიის მოსახლეობა რუმინეთთან შეერთების წინააღმდეგ მისცემდა ხმას, მაგრამ ეს ფაქტები თავის თავად მოწმობენ, რომ თვით რუმინელ მძარცველთა თვალშიც მათი ყაჩაღური აქტი იურიდიულ საფუძვლებს მოკლებულია. ყოველივე ეს იმდენად ნათელია, რომ ისინი ამაოდ ცდილობენ დააკანონონ ბესარაბიის დაპყრობა. მირონესკუს გამოსვლა მორიგი მტრული აქტია რუმინეთის იმპერიალისტების მხრით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამას აქვს ადგილი მოსკოვის ოქმზე ხელისმოწერის და მისი რატიფიკაციის შემდეგ, რაც კარგად ამჟღავნებს რუმინელ მილიტარისტების აგრესივობას. თვით ამ ოქმის შესახებ მირონესკუ ამბობს: „მოსკოვის ოქმს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც საბჭოთა მთავრობა ფორმალურად უარს ამბობს სამხედრო ძალით განახორციელოს თავისი პრეტენზიები ბესარაბიაზე, რომელნიც ჩვენთვის იურიდიულად არ არსებობენ"-ო. თუ რამდენად საფუძვლიანაა იურიდიულად ჩვენი პრეტენზიები და რამდენად მოკლებულია კანონიერ ძალას რუმინეთის მიერ ბესარაბიის მითვისება, ამაზე ზევით ვილაპარაკეთ. აქ სხვა რამეა საგულისხმო, სახელდობრ ის, თუ რაში ხედავს მირონესკუ საბჭოთა ოქმის მნიშვნელობას: „საბჭოთა მთავრობა ფორმალურად უარს ამბობს სამხედრო ძალით თავისი პრეტენზიები განახორციელოს ბესარაბიაზე"-ო. როდის იყო, რომ საბჭოთა მთავრობა იარაღით ფიქრობდა ბესარაბიის ბედის გადაჭრას. ეს თავხედური ცილისწამებაა მირონესკუს მხრით. საკითხი ასე იდგა და დგას: საბჭოთა კავშირი აღიარებს, რომ რუმინეთმა ბესარაბია ძალით დაიპყრო და, რა თქმა უნდა, მის ყაჩაღობას კანონიერად არ სცნობს; ბესარაბიის საკითხი უნდა გადაიჭრას ამ ქვეყნის მოსახლეობის ნებისყოფის თანახმად, რასაც რუმინელი ოკუპანტები ახშობენ; საბჭოთა მთავრობა, რომელიც მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას ატარებს, გადაჭრით უარყოფს ომს და მოითხოვს პლებისციტის ჩატარებას. რუმინელ მილიტარისტებში, რომელნიც წინდაწინ დარწმუნებული არიან, რომ პლებისციტის შედეგი მათ წინააღმდეგ იქნება მიმართული, ჩვენს წინადადებას არ ღებულობენ და ამით თვითონ ადასტურებენ, რომ ხიშტის საშუალებით ბატონობენ ბესარაბიის ხალხზე, მაგრამ ეს ბატონობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. მასების ბრძოლას ბესარაბიაში და საერთაშორისო ძალთა განწყობილების შესაფერისად შეცვლას აუცილებლად უნდა მოყვეს ბესარაბიის განთავისუფლება.

მირონესკუს თავისი განცხადებით სურდა დაემალა რუმინეთის დიპლომატიის დამარცხება, რაც იმაში გამოიხატება, რომ რუმინეთი იძულებული შეიქნა მოსკოვის ოქმში მონაწილეობა მიეღო და რომ მან ვერ მოახერხა ამ ოქმის საშუალებით ბესარაბიის დაპყრობა დაეკანონებია. ამ დამარცხების მიჩქმალვას მირონესკუ ამაოდ ცდილობს, სამაგიეროდ თავისი გამოსვლით იგი ამხელს აგრესიულ ზრახვებს საბჭოთა კავშირის მიმართ.

⁂

კაპიტალისტურ მსოფლიოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან ორი მიმართულებით ვითარდება. ზოგიერთი ქვეყნები იმ აზრს დაადგენ, რომ მათი ინტერესებისათვის საჭიროა ჩვენთან ურთიერთობის დამყარება. ისინი ჯერჯერობით უფრო გავლენათა მსვლელობას ანდომებენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ბედის გადაჭრას; ყოველ შემთხვევაში, ამ ჟამად მაინც, იძულებული არიან ჩვენს წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაზე უარი სთქვან. რა თქმა უნდა, იქაც მოიპოვებიან ცოტად თუ ბევრად გავლენიანი ჯგუფები, რომელნიც ცდილობენ თავისი ქვეყნები საბჭოთა კავშირთან აშკარად ბრძოლის გზაზე დააყენონ, მაგრამ მეტი ნიადაგი იქ იმ პოლიტიკას აქვს რომელიც ზევით აღვნიშნეთ.

მეორე მხრივ, არიან სახელმწიფოები, რომელნიც ძველებურად საბჭოთა კავშირის განადგურებაზე ოცნებობენ და ამ მიზნით კვლავ ცდილობენ მთლიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნას. ამ მიმართულებას მეთაურობენ ინგლისელი შუბლმაგარნი, რომელნიც ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე ხელის აღებას არ აპირობენ, თუმცა ამ პოლიტიკამ და ინგლისს დიდ ზიანი მოუტანა და იქ გამოიწვია მძლავრი მოძრაობა საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისათვის.

ამ მიმართულების დასახასიათებლად, სხვათაშორის, საჭიროდ მიგვაჩნია აქ შევეხოთ ფრანგ სენატორ დე-ჟუვენელის წერილს, რომელიც მან ამ დღეებში მოათავსა გერმანიის მძიმე მრეწველობის ორგანო „ბერგვერკსტეიტუნგ"-ში. დე-ჟუვენელი ამბობს: „დანაშაულია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს დღემდე არ შეუგნიათ რუსეთის მიმართ საერთო პოლიტიკის საჭიროება. ადრე თუ გვიან საბჭოთა მთავრობა უნდა დაემხოს და მაშინ გამოირკვევა საერთო პოლიტიკის უპირატესობა. თუგინდ ამიტომ ევროპიულმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ და ერიდონ, რომ ისინი ცალკცალკე არ იქნენ გამოყენებული რუსეთის პოლიტიკის ინტერესებისათვის". ამგვარად ფრანგი სენატორი ევროპას მოუწოდებს გაერთიანებული ბრძოლისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის „წინასწარმეტყველებს", რომ საბჭოთა მთავრობა „ადრე თუ გვიან დაემხობა" და მაშინ გამოჩნდება „საერთო პოლიტიკის უპირატესობა"-ო, ე. ი. მაშინ ამ პოლიტიკის მონაწილეთ უხვი ნადავლი შეხვდებათო.

მაგრამ, ჯერ ერთი, ჟუვენელის „წინასწარმეტყველება" ბევრისათვის საეჭვო ხასიათისაა, საბჭოთა ხელისუფლების 11 წლის არსებობა ამ მხრივ ჭკუის მასწავლებელია იმათთვის, ვისაც საამისო უნარი შესწევს: შემდეგ დასავლეთში უფრო გონიერ პოლიტიკოსებს საფუძვლიანად ეშინიათ, ვაი თუ „საერთო პოლიტიკას", ე. ი. საბჭოების წინააღმდეგ გალაშქრებას კაპიტალიზმის დაღუპვა მოყვეს: კლასობრივ ბრძოლის გამწვავებას ევროპაში მათთვის უეჭველად აქვს დიდი გამაფხიზლებელი ძალა. რაც არ უნდა იყოს წარმტაცი იმპერიალისტებისათვის ჟუვენელის მიერ დახატული პერსპექტივა, რომ საბჭოთა კავშირის ხარჯზე ისინი დიდი მოგებით აინაზღაურებენ იმ მსხვერპლს, რომელსაც მაზე ლაშქრობა გამოიწვევსო.—ხსენებული შიში ბევრ მათგანს ამ ავანტიურის ხალისს უკარგავს.

ამავე დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ შეუძლებელი ხდება, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შეთანხმება, თუნდაც იგი ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ იყოს მიმართული: იმდენად ღრმა და გადაულახავია მათი ინტერესთა ურთიერთი წინააღმდეგობანი. ავიღოთ ამ შემთხვევაში გერმანია, რომელზედაც დე-ჟუვენელი „მზრუნველობას" იჩენს. იგი წინადადებას იძლევა, რათა გერმანიის მიმართ საფრანგეთი და ინგლისიც დათმობებზე წავიდენ, რომ ამ გზით იგი ჩამოაშორონ საბჭოთა კავშირს და ჩააბან მის წინააღმდეგ ბლოკში. ახალი რამ ჟუვენელის გეგმაში არაფერია. გერმანიასთან ვაჭრობა დიდი ხანია აქვთ ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს მისი გამოსაყენებლად ანტისაბჭოთა იარაღის როლში. მაგრამ აქედან დღემდე არაფერი გამოსულა. დასავლეთზე აღებულმა ორიენტაციამ გერმანიას მხოლოდ იმედის გაცრუება მოუტანა: ინგლისი და საფრანგეთი მაზე ვერსალის ხელშეკრულებით დაკისრებულ ტვირთის შემსუბუქებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ მის დამონებაზე. ამავე დროს გერმანიის მესვეურები იგებენ, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარება გერმანიის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების და მისი ეკონომიური მოღონიერების ერთ-ერთი საწინდარია.

ასეთია ამჟამად მდგომარეობა. მაგრამ ბრძოლა მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად, ცხადია, გაგრძელდება. როგორიც არ უნდა იქნეს მისი შედეგი, ჟუვენელის წერილი ჩვენ ერთხელ კიდევ გვეუბნება იმ საფრთხეზე, რომელსაც იმპერიალისტები გვიმზადებენ.

⁂

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ურთიერთობას ღრმა წინააღმდეგობანი ღრღნიან. პირველ რიგში აქ დგას ინგლის-ამერიკის დამოკიდებულება, რომელიც ისე ვითარდება, რომ მათ შორის ომი ადრე თუ გვიან აუცილებელი ხდება.

მათი ინტერესთა წინააღმდეგობა, სხვათაშორის, გამოხატულებას პოულობს ჩინეთშიაც. როგორც ვიცით, იქ ამჟამად სწარმოებს ომი ცალკე მილიტარისტულ გაერთიანებათა შორის. გუანსის ჯგუფი ადგა ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ. გენერლების ეს ომი საგულისხმოა არა მარტო ჩინეთის შინაური მდგომარეობის თვალსაზრისით: იქ ერთმანეთს ეჯახებიან ერთი მხრით ამერიკა, ხოლო მეორე მხრით ინგლის-იაპონია. ჩინელი გენერლები გარეშე მოძალადეთა იარაღის როლს თამაშობენ.

გუანსის ჯგუფს, რომელიც, აქვე აღვნიშნეთ, ფეოდალურ ურთიერთობათა დამცველია, ზურგს უმაგრებენ ლონდონი და ტოკიო. უკანასკნელთა მიზანია ჩინეთის დაქუცმაცება და ამ გზით მაზე უფრო ადვილად გაბატონება. ამერიკა კი მხარს უჭერს ნანკინის (უფრო მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელს) და ჩინეთის „მთლიანობის" მომხრედ გამოდის. ეს „მთლიანი" ჩინეთი ამერიკის მძლავრ კაპიტალს მეტ გასაქანს მისცემს მისი ეკონომიური და, მაშასადამე, პოლიტიკური დამონებისათვის და იქიდან თავის მოქიშპე იმპერიალისტურ სახელმწიფოების პოზიციების შესარყევლად. ამისათვის ის ეყრდნობა ნანკინს, რომლის დახმარებით უნდა თავისი ზრახვებიც განახორციელოს და ჩინეთის „მეგობრის" სახელიც მოიხვეჭოს.

გუანსის ჯგუფი დამარცხდა: ესაა ამავე დროს ინგლისის და იაპონიის დამარცხებაც და ამერიკის იმპერიალიზმის მორიგი გამარჯვება ჩინეთში. რასაკვირველია, ბრძოლა მათ შორის ამაზე არ შეწყდება. ინგლის-იაპონიის ბლოკი შეეცდება რევანშის გამართვას ამერიკისათვის. ამნაირად, მათი ურთიერთობა უფრო გამწვავდება.

რაც შეეხება თვით ჩინეთს, ის კვლავ რჩება საერთაშორისო მტაცებლების სათარეშო არენად. რა თქმა უნდა, მისი ნამდვილი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით სულ ერთია: იქ ამერიკა იქნება გაბატონებული, თუ ინგლისი თავისი მოკავშირე იაპონიით. განა განმარტება უნდა, რომ ჩინეთის ბურჟუაზია ვერ გამოდგება ქვეყნის განმანთავისუფლების როლში. ეს ამოცანა აწევს ჩინეთის მშრომელ მასებს, რომელთა მიერ მისი გადაჭრა ამავე დროს იქნება მათი შინაურ მტრების განადგურებაც. ჩინეთის მუშათა კლასი და გლეხობა, მთელ რიგ დამარცხებების შემდეგ, წელში სწორდება, ძალებს იკრებს და ახალი ბრძოლებისათვის ემზადება.

ვ. კ - ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

რატომ არის ძვირი სატყეო ტრესტის ავეჯი

სატყეო ტრესტის საავეჯო ქარხანაში ადგილი აქვს უგეგმო მუშაობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ გამომუშავებული პროდუქცია არ არის შეფარდებული ბაზრის მოთხოვნილებასთან. გაკეთებული ავეჯეულობა წლობით აწყვია მაღაზიაში და არ იყიდება. ქარხნისათვის არ არის მომარაგებული მთავარი ნედლეული მასალა. დამხმარე მასალასაც შემთხვევით იძენენ ბაზარზე. ნახევრადფაბრიკატები საწყობებში ინახება დიდი რაოდენობით, მაგალითად, საწყობში არის 92.000 მან. ნახევრადფაბრიკატი. ეს საქონელი დევს როგორც მკვდარი კაპიტალი, მაშინ, როდესაც სატყეო ტრესტს და, კერძოთ, ქარხანას არა აქვთ საწარმოო თანხა.

ქარხანაში არის მუშების გაცილებით მეტი რიცხვი, ვიდრე ამას იტევს ქარხნის შენობა. ნაყოფიერ მუშაობის მაგიერ, ისინი ხელს უშლიან ერთიმეორეს. საამქროების მუშაობა ვერ არის შეფარდებული ერთმანეთთან. მაგალითად, სამანქანო საამქროში გამომუშავებულ ნაწილებს ვერ კრებს შემკრები საამქრო.

კალკულიაცია სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ქარხნიდან გამოშვებული ფაბრიკატის ღირებულება უმთავრეს შემთხვევაში ძალიან შორს არის რეალურ ღირებულებისაგან. ავეჯის თვითღირებულება ქარხანას არა აქვს სწორად გამოანგარიშებული. ამის მიზეზი ის არის, რომ ქარხნის ადმინისტრაციას გამოუგონებია „ახალი სისტემა", რომლის საშუალებითაც ვერასოდეს ვერ გაიგებენ ნამდვილ ღირებულებას. ეს სისტემა ასეთია—რაიმე ავეჯისათვის ამზადებენ ნახევრადფაბრიკატს ძალიან დიდ რაოდენობით, ადგენენ შეკვეთის ფურცელს. შეკვეთის ფურცელზე აღინიშნება, მაგალითად, რომ უნდა დამზადდეს 100 მაგიდის ნახევრადფაბრიკატი, რისთვისაც გამოიწერება სათანადო ხე-ტყის და სხვა მასალები. აქედგან პირველად გაკეთდება 10 მაგიდა, რომლებზედაც ეწერება დაახლოებით ფასები, შეკვეთის ფურცელი კი რჩება მოუთავებელი, დამზადებული მაგიდები იყიდება დაახლოვებით ფასებში, ხოლო ამის შემდეგ გამოშვებულ სხვა მაგიდებს კომისია აფასებს დაგვიანებით, რის გამოც ის ვერ ნახულობს სწორ, თვითღირებულებას.

ბუხჰალტერიის მუშაობაც ისეთივეა, როგორიც ამ ქარხნის სხვა დარგის. ვერ ნახავთ ვერავითარ საგანზე სწორ აღრიცხვას. ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ მუშაობის აღრიცხვა ყოფილიყო სწორი. მუშებისათვის ხელფასის გაცემა დამოკიდებულია ამა თუ იმ უფროსის მუშის სინდისზე. თუ რომელიმე უფროს მუშამ მოისურვა, მას შეუძლია გამოუწეროს თვითეულ მუშას 1 მან. მაგივრად 3 და მეტი მანეთი. ამ არევ-დარევის გამო მუშების ხელფასი გაიზარდა სამჯერ მეტად, ვიდრე ეს იყო წინეთ, ბუხჰალტერიის უვარგისობისა და აღრიცხვის მოუწესრიგებლობის გამოც წარმოება ეცემა, ხოლო ფასები ქარხნის პროდუქციაზე იზრდება.

ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, თუ ძალიან ცუდია ნაწარმოების ხარისხი? გამოირკვა, რომ გამოშვებული ფაბრიკატი - ავეჯეულობა თავის უვარგისობის გამო, ვერ პოულობს ადგილს ბაზარზე. ხშირია შემთხვევები, როცა ქარხნიდან გამოშვებული ავეჯეულობა უკანვე ბრუნდება ქარხანაში შესაკეთებლად.

წარმოების ორგანიზაციული მხარე ძალიან ცუდად არის დაყენებული. არ არის შესწავლილი ნორმები, ავეჯეულობის ტიპი, ვერ არის სწორად გათვალისწინებული ზედნადები ხარჯების რაოდენობა და სხვა..

საავეჯო ქარხანამ 1927-28 წლ. განმავლობაში იზარალა 21.000 მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 27.000 მანეთამდე. თუ აგრე გასტანა, წლის ბოლოს მივიღებთ 100.000 მანეთზე მეტ ზარალს.

როგორც ტრესტის, საერთოდ, და, კერძოდ, მისი ცალკე განყოფილებების ხელმძღვანელობა ქარხანაზე ძალიან სუსტია. ტრესტი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს ქარხანას. მაგალითად: ა) ტრესტს ყავს ინჟენერი-კალკულიატორი, მისი მოვალეობაა ტრესტის ერთეულების საკალკულიაციო საქმის სათანადოთ დაყენება. აქ ამას ვერ ვხედავთ, მას თითიც არ გაუნძრევია, არხეინად ზის ტრესტის შენობაში და ერთხელაც არ იკითხავს, რა ხდება ავეჯეულობის ქარხანაში, ბ) ტრესტის მთავარ ბუხჰალტერიას არავითარი ხელმძღვანელობა არ გაუწევია ქარხნის ბუხჰალტერიისათვის. ტრესტის მთავარ ბუხჰალტერიაში არის ბუხჰალტერ-ინსტრუქტორის სპეციალური თანამდებობა, რომლის მოვალეობასაც შეადგენს მთავარ ბუხჰალტერთან შეთანხმებით მოაწესრიგოს ცალკე საწარმოო ერთეულების ანგარიშის საქმე. მაგრამ ეს, რატომღაც, სინამდვილეში ასე არ არის. გ) ტრესტის საწარმოო განყოფილებას არ მიუღია სრულებით ზომები ქარხანაში არსებული საწარმოო დეფექტების გამოსასწორებლად. წარმოება ეცემა, ზარალობს და სხვა, ეს მას თითქოს არც კი ეხება. ასეთივეა სხვა განყოფილებების და, საერთოდ, ტრესტის ხელმძღვანელობა ქარხანაზე.

ქარხნის ყოფ. გამგემ-მოქ. კლეტუხინმა თავის „გამოგონებით" სხვადასხვა შვედურ და ამერიკულ ავეჯეულობის გამომუშავებით, სრულიად დაუკარგა ბაზარი ქარხნის ნაწარმოებს. მისივე „გამოგონებით" მიიღეს ქარხანაში უვარგისი ხე-ტყე. ეს მიღება მოხდა თითქოს ფაბრიკატის გაიაფების მიზნით, ხოლო სინამდვილეში მან უფრო გააძვირა ფაბრიკატი, რადგან ცუდ ნედლეულის დამუშავებას დასჭირდა ბევრად მეტი მუშაობა.

ამჟამად აუცილებელია ქარხნის გაფართოება, ახალი შენობის მომატება, ან მუშების რიცხვის შემცირება,. ინჟ. კლეტუხინისვე მეოხებით, როგორც უკვე ვთქვით, 92.000 მანეთის ნახევრადფაბრიკატი აწყვია საწყობში, როგორც მკვდარი თანხა, და არ არის მისი რეალიზაციის იმედი.

რომ საავეჯო ქარხნის მდგომარეობა ნორმალური შეიქნეს, უნდა მოხდეს ქარხნის ხელმძღვანელი შტატის მნიშვნელოვანი გადახალისება. კლეტუხინის მზგავსი ელემენტები სრულიად უნდა მოსცილდეს ქარხანას. ტრესტმა უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად. უნდა გაძლიერდეს ტრესტის ხელმძღვანელობა ქარხანაზე. უნდა დაარსებული იქმნეს ქარხანაში საწარმოო განყოფილება. ტრესტმა ქარხანას უნდა მისცეს კარგი ხე-ტყის მასალა. საჭიროა გეგმიანი მუშაობის შემოღება, უნდა ხდებოდეს სხვადასხვა დამხმარე მასალების მომარაგება პირველი ხელიდან. კატეგორიულად უნდა აეკრძალოს ქარხანას ინდივიდუალური შეკვეთების აღება, გამოშვებული უნდა იქნეს რამდენიმე აუცილებელ ავეჯეულობისა სტანდარტი, ბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

სასწრაფოდ უნდა შემუშავებულ იქმნეს მუშების რიცხვი ცალ-ცალკე საამქროებში ისე, რომ ერთი საამქროს მუშაობა უთანხმდებოდეს მეორეს. აუცილებელია შექმნილ იქნეს საკვალიფიკაციო კომისია მუშების შესამოწმებლად, ვინაიდან არის შემთხვევები, რომ მოწაფეები გადარიცხულნი არიან ხელოსან მუშების ადგილზე და ღებულობენ ხელფასს 6—8 ხარისხით მე-3 ხარისხის მაგივრად.

ეს ზომები გამოიყვანს ქარხანას დეფიციტიანობიდან და გაიაფებს ნაწარმოებს, რითაც მიეცემა საშუალება მუშა-მოსამსახურეს იაფი და კარგი ავეჯეულობა შეიძინოს.

რ. ზ—ძე.

საკურორტო სამმართველო თვითლიკვიდაციის გზით

შტატების შემცირება ხდება მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად საქმისათვის ზედმეტ თანამშრომელთა რიცხვი შეუჩერებლივ მატულობს.—ნათლიმამობას ფართოდ აქვს გადგმული ფესვები.—პასუხისმგებელ მუშაკებს მივლინებები და შვებულება პირად შემოსავლის წყაროდ აქვთ გადაქცეული.—ფინანსიური დისციპლინა ოცნების საგანს წარმოადგენს.—„ბორჯომის წყალი" საკურორტო სამმართველოს საწველ ფურად არის გადაქცეული.

„ჩვენი დაწესებულება ორგანიზაციის პროცესშია",—აი მთავარ საკურორტო სამმართველოს მძიმე არტილერია ყოველგვარ შემცირება - მომჭირნეობის წინააღმდეგ. და მართლაც ეს დაწესებულება მუდმივ რყევას განიცდის არ გავა ერთი თვე, რომ ის რეორგანიზაციას არ ახდენდეს, „რაციონალიზაციას" არ ატარებდეს. როგორც ყველაფერში, მომჭირნეობის საკითხშიაც საკურორტო სამმართველოს ფორმალურად მაინც უნდა გაეკეთებია რამე. და აი, ჩვენც ვხედავთ, რომ შტატების გადასასინჯათ და ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების მიზნით არსდება კომისია, რომელსაც თვით უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობდა. სრული ორი თვე იმუშავა ამ კომისიამ, მრავალ პატიოსან, გულმოდგინე თანამშრომელს დაუფრთხო ძილი. მოსვლის უმალ ყველა ერთიმეორეს ეკითხებოდა: თუ იცი ხომ არ შეუმცირებივართო. ბოლოს ეს მუშაობა, უკეთ, უსაქმო ფუსფუსი, გათავდა იმით. რომ **შეამცირეს მხოლოდ ერთი თანამშრომელი, მაგრამ მის ადგილზე მეორე დღესვე გადააჯინეს საერთო განყოფილებიდან საქმის მწარმოებელი,** ძველი თანამშრომლის თითქმის ყველა მოვალეობა დააკისრეს და ასი მანეთის მაგიერ ცოტა ხნის შემდეგ ასოცი მანეთი დაუნიშნეს. მხოლოდ საერთო კანცელარიაში ამავე დროს ახალი თანამშრომელი მოიწვიეს სტატისტიკურ სამუშაოზე 75 მანეთიანი ჯამაგირით. ამავე დროს საგეგმო კომისიის სხდომაზე საერთო განყოფილებამ მოითხოვა კვლავ ერთი საქმის მწარმოებელი; ბუხჰალტერიამ კიდევ ერთი თანამშრომელი და ცოტა ხნის გასვლის შემდეგ საექსპლოატაციო განყოფილების გამგემ მთელ „ბორჯომის წყლის სამმართველოს" შტატის აღდგენა: მიწოდების გამგე, ექსპორტის გამგე და მნე. ამან გააცხარა ზოგიერთი წევრი, სასტიკად გაილაშქრეს ისედაც გაბერილი შტატების გაზრდის წინააღმდეგ და „სკანდალის" შემდეგ შტატენა. **სრულებით უგზო - უკვლოთ დაინა, სრულებით უგზოთ-უკვალოთ დაიკარგა საგეგმო კომისიის საქმეებიდან.** მაგრამ თბილისის საწყობების შტატი ვერაფერმა იხსნა ხარჯების გადიდებიდან: დაიწერა ბრძანება, რომელიც ჩვეულებრივი პათოსით იწყება: ...... „ხარჯების შემცირების მიზნით წინადადებას ვიძლევი შემცირდეს .... და სხვა". მაგრამ ნათქვამია, ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო და ჩვენც ამავე ბრძანების დასასრულს ვეცნობით ახალ შტატებს, **რომლის თვიური ჯამაგირი 290 მანეთით აღემატება ძველისას.**

თვით საწყობების დაცლაც ორჯელ მეტი დაუჯდა მთავარ საკურორტო სამმართველოს, რადგანაც ერთი-ორი თვის შემდეგ **კვლავ დაიბრუნეს განთავისუფლებული საწყობი.** ამ ხნის განმავლობაში ბორჯომის წყლის გადაზიდვაში დაიხარჯა არა ნაკლებ ათას. მანეთზე გადამეტებით. მაგრამ ძომჭირნე ადმინისტრაცია ამითაც არ დაკმაყოფილდა. მოიმიზეზეს რა კოლ ხელშეკრულების გადასინჯვა და ცენტრალურ აპარატში მომუშავეებს თითქმის ყველას მოუმატეს ჯამაგირი, თუმც პროფკავშირები არაფერს დაობდნენ. საერთოდ კომისიის მუშაობა დამთავრდა იმით, რომ ადმინისტრატიულ-სამეურნეო **ხარჯებს ზედმეტად დაემატა თვიურად 1000—მანეთზე მეტი.**

ფაქტიურად კომისია გამოდგა არა ხარჯების შემცირების, არამედ ხარჯების გაზრდა-მომატების. იქნებ მართლაც არაფერი იყო შესამცირებელი და შემცირების კომისია შეცდომით დაარსდა? არა სრულებით უმტკივნეულოთ შეიძლებოდა შეგვემცირებინა ორი მომუშავე — ბუხჰალტერ-ინსტრუქტორი და კონტროლიორი. პირველი თანამდებობა შექმნილია მხოლოდ ნათლი-მამობით, თავისი კაცის მოწყობის მიზნით. ამ თანამდებობაზე მსახურებს ამხ. შენკოვი. ის სისტემატიურად მოგზაურობს კურორტებზე, უმეტესად ზაფხულობით და „რევიზიას" ახდენს. ეს მომუშავე მთავარ საკურორტო სამმართველოს თვიურად 300—400 მანეთი უჯდება. მისი შემცირება საჭიროც არის და შესაძლებელიც. შინაგან კონტროლს საერთოდ ნაკლები მნიშვნელობა აქვს, საკურორტო სამართველოში კი ისედაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მას, მის შენიშვნებს არავინ ახორციელებს. ნაკლებად საჭიროებს დღევანდელი სახით საკურორტო სამმართველო კომერციულ აგენტს—კომერციულ საქმეებზე სხვანი მოგზაურობენ და ის **სადეკორაციოთ არის.** ამ ორი თანამდებობის შემცირება თვიურად 500—600 მანეთს შემატებდა საკურორტო სამმართველოს.

შემდეგ არის მთელი განყოფილება —სატექნიკო ბიურო, რომლის არსებობა მხოლოდ ერთ არაკს მოგაგონებსთ: ღვინო არსად იყო, ტიკებს ალბობდნენო. აშენებლობას თანხები ესაჭიროება, საკურორტო მშენებლობაზე კი წლიურად გაღებულია 300.000 მანეთი. ამ თანხის დაკვეთები უკვე აღებული აქვს „არმატრესტს", რომელსაც ტეხნიკოსებიც ყავს და ინჟენერებიც. გარდა ამისა თითქმის ყველა კურორტებს და ქარხნებს ყავს მუდმივი ტეხნიკოსები მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად. მაშ რისთვისაა საჭირო მთავარი ინჟენერი—თვეში 400 მანეთიანი ჯამაგირით, ინჟენერი—325 მანეთით, კიდევ ინჟენერი — 200. მანეთით, ორი ტეხნიკოსი—150 მანეთით. ყოველივე ეს გაუგებარია თუ ყველა არა, გარდა ერთი ინჟენერისა მათი შემცირე ბა შეიძლება; ესეც თვიურად მოგვცემს არა ნაკლებ 1500 მანეთის ეკონომიას. შემცირება საფინანსო - სამეურნეო-საექსპლოატაციო დარგში მოგვცემდა თვიურად 300—400 მანეთს. საერთო კანცელარიაში არის საქმეთა მმართველი და იმავ დროს მდივანი; აქედან შეიძლებოდა ერთის შემცირება, რაც თვიურად მისცემდა საკურორტო სამმართველოს 150—200 მანეთის მომჭირნეობას. ამას უნდა დაუმატოთ ქალაქის ქუჩებზე ხშირად მოსეირნე მთავარი საკურორტო სამმართველოს ეტლი, რომლის შენახვა თვეში 300 მანეთი ღირს. ყველა ჩვენ მიერ დასახელებული ღონისძიებით შემცირების შესაძლებლობა კიდევ არ იქნება სავსებით ამოწურული. მაგრამ ეს **შემცირებებიც მოგვცემენ თვეში არა ნაკლებ 3.000 მანეთის ეკონომიას,** რაც დიდ მიღწევათ ჩაითვლებოდა იმ დაწესებულებისათვის, რომელიც მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირს თვეობით აგვიანებს.

ეხლა შევეხოთ მივლინების ხარჯებს. გასული წლის განმავლობაში ამ მიზნისათვის დახარჯულია 17.000 მანეთამდე. განსაცვიფრებელი ჯამია, მაგრამ თუ გავსინჯავთ მივლინებაში მყოფთა სიას. აშკარა გახდება, საიდან მივიღეთ ასეთი თანხა. მაგალითად, სატყეო განყოფილების გამგე წლის განმავლობაში 155 დღე მივლინებაში ყოფილა, საექსპლოატაციო განყოფილების გამგე, დღიდან სამსახურში დადგომისა, უმეტესად მივლინებაშია. საინტერესოა ერთი რამ, სატყეო განყოფილების გამგე გასულ წლებში არ ღებულობდა მივლინების ხარჯებს დღეების მიხედვით, ეს ხარჯები თვიურ ჯამაგირის ანგარიშში შედიოდა. როდესაც წლის ბოლოს გამოითვალეს, ის იყო ცოტა დღეები იყო მივლინებაში, რომ დღეში სამივლინებო ხარჯი 25 მანეთი მოუწია, მაშინ როდესაც კანონით 10 მანეთზე მეტის გაცემა არ შეიძლება. მაგრამ ამ მხრივ თვით უფროსები არ ჩამორჩებიან გამგეებს. სამმართველოს უფროსი გარდა ხშირი მივლინებისა, **შვებულებაში ერთი თვით მიდის ცხარე სეზონის დროს,—ივლისში;** მან შვებულების წინ წაუმძღვარა მივლინება ორ კვირამდე და შვებულების შემდეგაც ორი კვირის „წაიმივლინება". მას მხარი დაუმშვენა მოადგილემაც — ჯერ სოცდაზღვევის ხარჯზე ისარგებლა შვებულებით ერთ თვემდე, შემდეგ ჩვეულებრივი წესით ორი კვირა და შემდეგ ორი კვირის კომპენსაცია აიღო. ასევე მოიქცა ინსტრუქტორ-ბუხგალტერი, შვებულებას კომპენსაციაც მიაყოლა. ამავე დროს მთელ რიგ ძალზე დატვირთულ თანამშრომლებს კურორტთა სამმართველომ ვერც ნატურით მისცა შვებულება და კომპენსაციაზედაც უარი უთხრა—ბრძანება გამოუშვა, რომ 1928 წლის შვებულება გადატანილ უნდა იქნას 1929 წელში.

ასეთ პირებში დარაჯიც ურევია—ნუ თუ სამართლიანი არ იქნებოდა მას აეღო კომპენსაცია? უთავბოლო მივლინებები კი დღესაც გრძელდება: საექსპლოატაციო განყოფილების გამგე მესამე თვეა მივლინებაში დადის, უფროსის მოადგილე თურქესტანში იმყოფება, თუმცა იქ არავითარი საქმე არ არის. ბორჯომ-აბასთუმნის დირექტორები ხომ თბილისში არიან დაბინადრებულნი. კურორტ წყალტუბოს სანიტარული ექიმი ჰყავს ვინმე **ხახკინი.** ეს პიროვნება წყალტუბოს იშვიათად სწყალობს: ის **მუდმივ მივლინებაშია — ბორჯომ — წალვერ —თბილის — მოსკოვ — ბერლინი—აი, როგორია მისი მარშრუტები.** ხარჯები კი წყალტუბოს ეწერება. მისი საავანსო ანგარიში არა ჩვეულებრივი გზით მტკიცდება პირადათ სამმართვ. უფროსის მიერ და ვინმემ გასინჯვა რომ მოინდომოს, ვერც კი მონახავს, რადგან ცენტრალურ სამმართველოში არ მოიპოება. ერთი ასეთივე მოქალაქე ლენინგრადის საწყობს გამგეთ ითვლება: თვითონ ან „რაიონში" მოგზაურობს ან მოსკოვში „მოქმედობს". ეს გახლავსთ მოქალაქე ბრაგილევსკი. იგი ყველაზე მაღლა სდგას, რადგან არამც თუ კონტროლიორის, საფინანსო განყოფილების გამგის და ბუხჰალტერიის მოთხოვნას არ აქცევს ყურადღებას, იგი უფროსისი ხელმოწერილ ქაღალდებზედაც არ იძლევა პასუხს. ბრძანებით თვეში 200 მანეთი **აქვს დანიშნული, საავანსო ანგარიშებში 300 მანეთს ატარებს** და არავის ჩვენებას არ ემორჩილება. მაგრამ მოხსნისა და პასუხისგებაში მიცემის მაგიერ სამმართველოს უფროსმა ის ლენინგრადიდან მოსკოვში გადმოიყვანა. მის ადგილზე კი მიავლინეს მოქ. შეფტელი, რომელიც დანიშნული იყო 300 მანეთის ჯამაგირით მოსკოვში, მაგრამ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სამსახურში არ დაუშვეს: ერთი წლის წინად ის მოხსნილი ყოფილა კავმინექსპორტის მიერ მოსკოვის საწყობის გამგის თანამდებობიდან და პასუხისგებაში მიუციათ, სასამართლოსაც უცვნია დამნაშავეთ, თუმცა პირობით.

რატომ დასჭირდა მთავარ საკურორტო სამმართველოს ასეთი პირების სამსახურში მიღება? **ნათლი-მამობით:—** საექსპლოატაციო განყოფილების გამგე ამხ. ბოროდიაევი ძველად კავმინექსპორტის გამგეობის წევრი იყო, ე. ი. შეფტელის „ხაზეინი". ერთი წლის წინეთ ისინი ერთად მოხსნეს სამსახურიდან—ერთი მოსკოვში, მეორე პიატიგორსკში—პირველი პასუხისგებაში მისცეს, მეორე კი კარგა ხნის „დასვენების" შემდეგ ირკუტსკში გაგზავნეს საწყობის გამგეთ, თუ რწმუნებულად. მიიღო თუ არა მთავარმა საკურორტო სამმართველომ ბორჯომის წყალი, მაშინვე გამოძებნა ძველი მეგობარი ბოროდიაევი, გადუგზავნა მას გამოსამგზავრებლად 500 მანეთი და მოიწვია საექსპლოატაციო განყოფილების გამგეთ. ბოროდიაევმა არ დაივიწყა ძველი მეგობრები და შეფტელით დაიწყო კოლექციის შეკრება... ამხ. ბოროდიაევს ძველმა დაწესებულებამ თან გამოაყოლა თბილისის ქალაქის სასამართლოს სახელზე საჩივარი. ბოროდიაევისაგან მოითხოვენ 1000 მან. დავალიანების გასწორებას. მაგრამ ეს ზნეობრივი მხარეა, გავსინჯოთ მისი საქმიანობა. მან მოსვლისთანავე რევიზიის თვალით გადახედა ყველაფერს, არაფერი მოეწონა და ყველაფრის შეტრიალება გადასწყვიტა. ადმინისტრაციამ დაუჯერა მას და რამოდენიმე „ცდა" ჩაატარებინეს. საუბედუროთ არც ერთი ცდა არ გამართლდა და შედეგად საკურორტო სამმართველომ მისივე საბუთებით **რამოდენიმე ათი ათასი მანეთი ზარალი ნახა.** ალბათ თავს იმითი იმართლებენ, რომ ვინც არ მუშაობს, ის არ ცდება. მაგრამ როდესაც ყველაფერი ეს უკვე აწყობილი იყო 3 წლის განმავლობაში, ნაშინჯი და გამოცდილი, საკვირველია რისთვის, ან ვისთვის იყო საჭირო ხელახალი ცდა... იქნებ მკითხველმა იფიქროს, რომ მთავარ საკურორტო სამმართველოს არ მოეპოვებოდა შესაფერისი მომუშავენი. სრულებით არა, ის ნაცნობ-მეგობარ პიროვნებებს ეძებდა და ეძებს, თორემ სწორეთ მაშინ, როდესაც დასახელებული პირები მოიწვიეს სამსახურში, დაითხოვეს საუკეთესო მომუშავე.

ეხლა მოკლეთ მთავარ საკურორტო სამმართველოს საფინანსო მოქმედების შესახებ. საკურორტო სამმართველოს მიზნათ აუღია მოაჩვენოს ყველას, რომ კურორტები მოგებას იძლევიან და აი, 1926 წლის ანგარიშში **მან წმინდა მოგება უჩვენა 113.000 მანეთი.** ნამდვილათ კი ამ წელში კურორტებს **ზარალი ქონებია 137.000 მანეთი.** საქმე იმაშია, რომ მოგების მოყვარულთ სამორტიზაციო თანხები არ ჩამოუწერიათ გასავალში, ეს კი 250.000 მან. უდრის, მას რომ ნაჩვენები მოგება გამოვაკლოთ, ზარალის მეტი არაფერი გვექნება. და, მართლაც, მთავარი საკურორტო სამმართველო თავის ოპერატიულ მუშაობაში ყოველ წლივ ზარალს იძლევა, ამ ზარალის საგრძნობ ნაწილს საკურორტო ტყეების შემოსავალი ფარავს, მიუხედავად ამისა დაახლოებით 100.000 მანეთი დეფიციტად აწვება მის სალაროს. ამას ემატება უგეგმოდ მშენებლობა და ქონების უგეგმოდ შეძენა. ამით აიხსნება, რომ სამმართველოს პრაქტიკულ მუშაობაში სპეციალური თანხები გადაჯგუფებულია სხვა არაპირდაპირ დანიშნულებაზე. ასეთმა მოვლენამ ბევრი სამეურნეო ორგანიზაცია გამოათხოვა უდროვოთ წუთი-სოფელს და ასეთივე ბედი უქადის მთავარ საკურორტო სამმართველოს, თუ მოხდენილი „დოსტაქარი" დროზე არ მიეშველა. ეს მით უფრო საშიშია, რომ მასთან დღეს გაერთიანებულია ერთი თვალსაჩინო და რენტაბელური წარმოება ბორჯომის წყლის ექსპლოატაცია მთელი თავისი წარმოებებით, რომელზედაც 500—600 მუშაა დაბანდებული.

საკურორტო სამმართველომ შეუფერებელ ფართო მუშაობას მოკიდა ხელი. **მისი სამოქმედო გეგმა არ იყო დაყრდნობილი ფინანსიურ შესაძლებლობასთან:** ეს გარემოება გაართულა საოპერატივო გეგმის უთავბოლობამ, ხელგაშლილობამ და დაუშვებელმა სიუხვემ. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო მისი ხელმძღვანელის ცდა წარმოებების თავის წიაღში მოქცევის შესახებ. მაგრამ საკურორტო სამმართველოს საფინანსო ორგანიზმი **იმდენათ დაავადებული გამოდგა,** რომ მას ამ ზომამ ვერ უშველა. **ბორჯომის წყლის წარმოება თავის-თავად ისე იყო დაგეგმილი, რომ მცირე ნაწილის გარდა მთელი მისი შენაგროვი თანხა** მასვე უნდა მოხმარეობდა და სრულიად არ იყო მზათ გაერთიანების დროს. იმისათვის, რომ ექიმის სამსახური გაეწია ფინანსიურად დაავადებულ საკურორტო სამმართველოსთვის, რომ დაავადებულმა მეპატრონემ თავის სენი არ გადასცეს მისივე სამეურნეო ერთეულებს, ბორჯომის წყლის ექსპლოატაცია უნდა განვაცალკევოთ ფინანსიური ოპერაციების მხრივ. წლიური დახმარება ბორჯომის წყალისაგან საკურორტო სამმართველოს ანგარიშის დამტკიცების დროს უნდა გაუნაწილოთ.

ს—ლი.

საქართველოს მუშგლეხინისაგან

მასიური ლაშქრობის ამას წინად ჩატარებულ მასალების *) შემოწმებით გამოირკვა შემდეგი:

ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოლქვაძე არ გამოცხადებულა ალმასკომში ერთი კვირის განმავლობაში, სერიოზული ავადმყოფობის გამო.

2. ამხ. ს. თოდრია კომისარიატში გამოცხადდა პურის წიგნაკების გაცემის საქმის მოსაგვარებლად, რის შემდეგაც სასწრაფოდ უნდა წასულიყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სხდომაზე დასასწრებლად.

3. განათლების სახ. კომისარის მოადგილე ამხ. **მარიამ ორახელაშვილი.** შაბათობით (შაბათს მოხდა ლაშქრობაც) ლექციებს კითხულობს ა.-კ. კომუნივერსიტეტში, რის გამო კომისარიატში სამუშაოდ ამ დღეს მას საკმაო დრო არ რჩება.

4. ლაშქრობის მონაწილეთ არ შეეძლო ამ დაწესებულებების ხელმძღვანელთა გამოუცხადებლობის მიზეზების ცოდნა, რაგდან ხსენებული დაწესებულებების თანამშრომლებმაც თავი არ შეიწუხეს განემარტათ ლაშქრობის მონაწილეთათვის ალმასკომის, გან. სახ. კომისარიატის და შრომის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელთა მოუსვლელობის მიზეზები, აგრეთვე არც იმის ცნობა მისცეს ლაშქრობის მონაწილეთ, თუ რომელ დღეს და რომელ საათებში შეუძლიათ მთხოვნელებს აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელების ნახვა, რაც მიეწერება თანამშრომელთა გულგრილ მოპყრობას საქმეზე მისულ მოქალაქეებისადმი.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 77, 78.

როგორ გაუქმდა კანონს მიწის მყიდველი

(ოზურგეთი)

1926 წლის 10 ნოემბერს ოზურგეთის სახ. სასამართლომ გაარჩია მოქ. პ. შაქარაშვილის და მოქ. ტუსკიას საქმე მიწის ყიდვა გაყიდვის შესახებ. მოქ. შაქარაშვილმა იყიდა ტუსკიასგან სამოსახლო მიწა სახლით. ხელისუფლებამ ამისათვის გაასამართლა აღნიშნული პირები და გამოიტანა სრულიად კანონიერი განაჩენი, რომლითაც შაქარაშვილს მიუსაჯა დაპატიმრება და მიწის კონფისკაცია, რაიც ეცნობა მაზრას. შაქარაშვილმა თავის სასჯელი მგონი კიდეც მოიხადა გამსახლში, ხოლოთ მიწა სახლით მასვე დარჩა. დღეს ის იკვეხის კიდეც, რომ მიწა მაინც შეინარჩუნა.

როგორ მოხდა ეს? 1928 წელს შაქარაშვილის რძალმა და ძმისწულმა მიმართეს მაზრაღმასკომს, რომ ჩამორთმეული მიწა დაებრუნებიათ მათთვის იჯარის სახით, რაც დაკმაყოფილებულ იქნა, მიწა მიეცათ 9 წლის ვადით—წელიწადში 7 მან. 80 კაპ., ვადის გაგრძელების უფლებით. ეს ამბავი იცის ოზურგეთში მთელმა მოსახლეობამ, ყველამ იცის, რომ შაქარაშვილი თავისი რძლით და ძმისწულებით შეადგენენ ერთ განუყრელ ოჯახს, მაშასადამე, შაქარაშვილის ოჯახს არ უნდა მისცემოდა ჩამორთმეული მიწა.

იქნებ შაქარაშვილი უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, მას ბინა არ ქონდა და სხვა, რამაც აიძულა გულ-კეთილი ხალხი, რომ შესულიყვნენ მის მდგომარეობაში, დაერღვიათ კანონი დაებრუნებიათ მიწა, თუმცა ესეც დანაშაული იქნებოდა, მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე.

შაქარაშვილი არის ექიმი, ის მუდმივად იმყოფება სენაკში, მისი რძალი და ძმისწულები ბათომში და თბილისში ატარებენ დროს, ოზურგეთში მდებარე ნაყიდი მიწა და სახლი კი მოსავლელათ გადაცემული აქვთ ვინმე სამსონ გოგობერიძეზედ. რას ნიშნავს ყოველივე ეს? ცხადია, რომ ვიღაცამ გაუწია ნათლიმამობა. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს მიწის ყიდვა-გაყიდვას მაზრაში. შაქარაშვილს უნდა ჩამოერთვას ნაყიდი მიწა და სახლი, ნათლიმამა კი მზის სინათლეზე უნდა იყვეს გამოყვანილი და გამათრახებული.

სიმართლე.

პანღური პანღურის მოყვარულ გამგეს

(აკეთი, გურია)

სოფლის ახალგ. სკოლის დროებითი გამგეთ აკეთში არის ვინმე ირაკლი ჩხაიძე. ჩხაიძე ხშირად ლოთობს და ურტყამს მოწაფეებს. მის დანახვაზე მოწაფეებს თავზარი ეცემათ. გამგე ურტყამს მოწაფეებს ჯოხით, ცოცხით, ხელით და მუხლებით (პანღური), ერთი სიტყვით ყველაფრით, რითაც კი შეუძლია. ამ შემთხვევაში მისთვის სულერთია რომელი ჯგუფის იქნება მოწაფე.

სკოლის სამასწავლებლო ოთახში ხშირად ნახავთ ხმამაღლა მტირალ მოწაფეს. ასეთ სურათს ჰქონდა ამას წინად ადგილი, როცა მან სცემა პირველ და მეორე ჯგუფის მოწაფეებს—ალექსანდრე დუმბაძეს, ზაქარია ჩიჩუას, გაბრიელ ვადაჭკორიას და ოტია წულაძეს.

თავხედ ჩხაიძეს არა ერთხელ უცემია მე-3 ჯგუფის მოწაფე ტიტე სალუქვაძისათვის, ივანე ცინცაძისათვის, ექვთიმე მგელაძისათვის, დათიკო თოხაძისათვის და სხვებისათვის.

გარდა ამისა გამგე მეტად გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას. სიდ გინდა, რომ არ ნახავ ირაკლი ჩხაიძეს მაშინ, როცა სკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობს. ალმასკომი, საექიმო პუნქტი, ფოსტა, სადალაქო და განსაკუთრებით სიმონ ნაცვალაძის მაგარი სასმელების დუქანი მისი მუდმივი სასიამოვნო თავშესაფარია.

პ—ლი.

გამოძახილი წერილებზე

„ვინ შეკრა ეს თაიგული?"

ჩვენი გაზეთის 11 მარტის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „ვინ შეკრა ეს თაიგული". წერილში აღნიშნული იყო, რომ სვანეთის სატყეო აგარაკში, რომელიც სატყეო ტრესტს ექვემდებარება, უკანასკნელი საინვენტარო აღწერის დროს დააკლდა ნახევარი მილ. დამზადებული სატყეო მასალა; რომ ტრესტის სვანეთის განყოფილების თანამშრომლების შტატი შესდგება სოციალურად უცხო და მავნე ელემენტებისაგან.

წერილში აღნიშნულ ფაქტების გამოსარკვევად გამოყოფილ იქნა კომისია.

კომისიის გამოკვლევით წერილში აღნიშნულ ბრალდებების უმრავლესობა დადასტურდა. მართალი აღმოჩნდა, რომ საინვენტარო აღწერის დრო ტრესტს დააკლდა 817 ათას კუბ. ფუტი დამზადებული ტყის მასალა (ნახევარ მილიონ მანეთად ღირებული), მაგრამ ეს დანაკლისი აღმოჩენილ იქნა არა უკანასკნელი საინვენტარო, არამედ 1926—27 საოპერაციო წელს ჩატარებულ აღწერის დროს. დამნაშავენი - განყოფილების სამუშაოების წინანდელი ხელმძღვანელნი ფანჯავიძე და შუბლაძე სამსახურიდან მოხსნილი და პასუხისგებაში მიცემულნი იქნენ.

რაც შეეხება ტრესტის განყოფილების შტატის შემადგენლობას, კომისიის გამოკვლევის თანახმად, შემდეგი დადასტურდა:

ჯოტო კვირკველიას შესახებ წერილი ნაწილობრივ დადასტურდა. ზუგდიდის პარტკომის დადგენილების თანახმად იგი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან. დადასტურდა აგრეთვე ცნობა **ხუხუტი უბილავას** შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნა სამსახურიდან. სწორი აღმოჩნდა აგრეთვე წერილის ავტორის ცნობა, რომ **ბაჩუჩი ქალდანი** არის ძველი აქტიური კონტრ-რევოლიუციონერი, რომელსაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული და მონაწილეობა მიუღია სხვადასხვა ბანდიტურ გამოსვლებში. წინადადება მიეცა ტრესტს მოხსნას ქალდანი სამსახურიდან. არ დადასტურდა წერილის ავტორის მიერ სპირიდონ ერმალოის და გრიგოლ ცომინტიას დახასიათება, როგორც კულაკებისა და მევახშეების.

მოქ. დავით შუბლაძე. სვანეთის დამამზადებელი რაიონის თანამშრომლათ არ ყოფილა. ამ რაიონში მსახურობდა დავით ჩიხლაძე, რომელიც მართლაც დაჭერილ იქნა ქურდობაში და ამის გამო 1928 წლის ივნისიდან მოხსნილია და პასუხისგებაში იქნა მიცემული.

კომისია.

კედლის გაზეთის გამტაცებელი დაპატიმრებულია

გაზეთ „კომუნისტი"-ს 27 იანვრის ნომერში მოთავსებული წერილის შესახებ — სათაურით: „ვინ გაიტაცა კედლის გაზეთი"? — გაცნობებთ, რომ ამ საქმის გამოძიება დავალებული ქონდა ჩოხატაურის რაი-მილიციის უფროსს. კედლის გაზეთი აღმოჩენილია საჭამიასერის რაიონში. დამნაშავე დაპატიმრებულია და მიცემულია პასუხისგებაში.

ც. ს. კ. და მ.-გ. ინსპექციის რწმუნებული ოზურგეთის მაზრაში **ფ. მბალოგლიშვილი.**

მარტვილის კოოპერატივი გაიწმინდა მტაცებლებისაგან

(სენაკის მ.)

გაზეთ „კომუნისტი"-ს ა.-წ. 24 მარტის №-ში, მუშგლეხინის ფურცელში მოთავსებულია წერილი სათაურით — „კოოპერატივის ვირთხები", რომელიც ეხება მარტვილის კოოპერატივში აღმოჩენილ გაფლანგვებს; კორესპონდენტი თანვე სწერდა, რომ გამფლანგველები თავს არხეინად გრძნობენო.

ამის გამო სენაკის მაზრკომი გაცნობებთ: მარტვილის კოოპერატივში საზრო კომიტეტის განკარგულებით მოხდენილ იქნა მოულოდნელი რევიზია, რომლის დროსაც აღმოჩნდა გაფლანგვა 10.000 მანეთამდე. გამოირკვა, რომ ამ მოვლენებს გასულ წლებშიც ქონია ადგილი, მაგრამ ის იფარებოდა უკანასკნელ დრომდე. გამგეობის წევრები გულგრილად ეკიდებოდნენ საქმეს, დროზე არ მიუღიათ საჭირო ზომები დაუშვებელ მოვლენების აღსაკვეთად, სარევიზიო კომისია არ იდგა თავის დანიშნულების სიმაღლეზე; წინად ჩატარებული რევიზიების დროს ბოროტმოქმედებანი არ გამომჟღავნებულა. კომუნისტები, რომელთაც აღმოაჩნდათ დანაკლისები, გაფლანგვები პარტსამეულის და სამპარტკომის პრეზიდიუმის დადგენილებით გადაყენებულნი არიან პარტიიდან, მოიხსნენ თანამდებობიდან და გადაცემულნი არიან პროკურატურაზე. მარტვილის კოოპერატივის გამგეობის წევრებს ახალ რწმუნებულთა რიგ გარეშე ყრილობაზე დაშლილია სარევიზიო კომისია და არჩეულია ახალი.

პასუხისგებაში არიან გადაცემულნი სარევიზიო კომისიის და გამგეობის წევრები, რომლებიც თვითონ მონაწილეობას ღებულობდნენ აღნიშნულ დაუშვებელ საქმიანობაში ან და თავიანთი დაუდევრობა - უმოქმედობით დროზე არ ღებულობდნენ სათანადო ზომებს.

ბოროტმოქმედნი პროკურატურის განკარგულებით უკვე დაპატიმრებული არიან, პასუხისგებაში არიან მიცემული ბოროტმოქმედნი სხვა კოოპერატივებიდანაც, რომლებიც უკანასკნელ ხანებში იქნენ აღმოჩენილი (სენაკის რაიონი, ნაქალაქევი, თამაკონი).

საქ. კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტი.

როგორი ტიპის სახლი გვესაჭიროება

(ბინათა მშენებლობის პრაქტიკიდან)

წელს თბილისში არსებულ 8 საბინაო - სამშენებლო გაერთიანებამ უნდა მიიღოს: ადგილობრივი ფონდიდან 430.000 მან., ცეკობანკისაგან — 165,000 მან., სულ 595.000 მან., ხოლო საკუთარი თანხებიდან სამშენებლო ამხანაგეობებმა უნდა დაუმატონ 66.000 მანეთი.

მთელი ეს თანხა გაცილებით ვერ ფარავს მოთხოვნილებას, ამიტომ მეტი ყურადღება, მეტი თადარიგი და გეგმიანობა გვმართებს, რომ რაც შეიძლება დიდი ნაყოფი მივიღოთ მიმდინარე წლის მშენებლობიდან.

ჩვენ ფართეთ უნდა გამოვიყენოთ წარსული წლების გამოცდილებანი.

ამ მიზნით ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ, უპირველეს ყოვლისა, სახლების ტიპზე. წარსულ წლებში (განსაკუთრებით ორ უკანასკნელ წელს) საბინაო - სამშენებლო ამხანაგობები აშენებდნენ ორსართულიან და ოთხბინიან სახლებს. თითო ბინა ასეთი ტიპიური სახლისა შესდგება 3 ოთახისა, სამზარეულოს, საპირფარეშოსა, აბაზანისა და შუშაბანდიან აივნისაგან. საცხოვრებელი სივრცე ასეთ ბინაში უდრის, საშუალოდ. 50-55 კვადრ. მეტრს, რაიც ნორმალურათ უნდა ჩაითვალოს. თითეული ბინა ჯდება 9.000 - 10.000 მანეთი. აქ მე, არ შევჩერდები იმ ტეხნიკურ და სხვა ხასიათის ნაკლოვანებაზე, რომელიც ახასიათებს ასეთი ტიპის ბინებს. მე მინდა შევჩერდე მხოლოდ ბინის დიდ ღირებულებაზე, რომელიც, გინდა თუ არ გინდა, თვალში ეჩხირება ყოველვე ჩვენგანს და აი, რატომ: საბინაო კოოპერატივის თითეული წევრისათვის ბინაში ჩასასახლებლათ სახელმწიფოს უხდება 8,200 მანეთის გაღება, ხოლო თვით ჩასახლებულს — 800 მანეთის ერთდროულათ (19—20 მანეთის ყოველთვიურათ, როგორც ბინის ქირის გასასტუმრებლად, ისე სახელმწიფოს მიერ დახარჯულ თანხის სარგებლის გადასახდელად). რასაკვირველია, დღეს, როდესაც მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე სდგას მთელი რიგი ისეთი კარდინალური საკითხებისა, როგორიც არის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მექანიზაცია, რომლებიც მოითხოვენ აუარებელ ხარჯებს, სახელმწიფოსათვის ადვილი არ იქნება თითეული უბინაო ამხანაგისათვის 9 ან 8 ათასი მანეთის დახარჯვა, მით უმეტეს, რომ ასეთ უბინაო ამხანაგების რიცხვი ათობით და ასობით კი არ განისაზღვრება, არამედ ათასობითა და ათი-ათასობით. მაგრამ დაუშვათ, რომ სახელმწიფომ მოახერხა ამდენი თანხის გადადება და ვიკითხოთ — ადვილათ შესძლებს კი ბინაში ჩასახლებული ამხანაგი 800—900 მანეთის ერთ დროულად გადახდას და შემდეგ 19-20 მანეთის გაღებას ყოველთვიურად, ისიც სხვა კომუნალური ხარჯების გარდა? ყოველ შემთხვევაში, წარსული წლების მაგალითებიდან და საკუთარი გამოცდილებიდანაც ვიცით, რომ ამ თანხის — ბინის ღირებულების 10 პროცენტის გაღება — ძლიერ ეძნელება კოოპერაციის წევრთა დიდ უმეტესობას, განსაკუთრებით მცირეხელფასიან მუშა - მოსამსახურეებს და თუ ზოგიერთი მაინც ახერხებს მის გადახდას თავის დროზე, ახერხებს ვალის აღებით ან სხვა რამიე უკიდურესი საშუალებით.

აქედან თავის თავად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ჩვენი უმთავრესი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს ბინის ღირებულების შემცირებისაკენ. ეს უდაოა. მაგრამ სადაოა ის, თუ როგორ და რა გზით უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს. იმედი იმის შესახებ, რომ სამშენებლო მასალის გაიაფება და მშენებლობის რაციონალიზაცია მოახდენდა დიდ გავლენას ბინის ღირებულების გაიაფებაზე, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ გამართლდა. პირიქით, არის იმის შიში, რომ ზოგიერთი მასალის შოვნა წელს გაცილებით ცუდ პირობებში მოგვიხდება, ვინემ წარსულ სამშენებლო წელს. ბინათა მშენებლობის რაციონალიზაცია ისეთი საქმეა, რომ მისი განხორციელება დიდ დროს და ნივთიერ საშუალებას მოითხოვს.

მაშასადამე, დაგვრჩენია ერთად ერთი გზა — ეს არის კოოპერატიული ბინის ახალი ტიპის შექმნა იმ ანგარიშით, რომ ახალმა ტიპმა მოგვცეს ბინის ღირებულების გაიაფება უკვე არსებულ ტიპთან შედარებით ნახევრათ თუ არა, ერთი მესამედით მაინც. ნურავინ იტყვის, ვითომ არსებულ ტიპი სამ ოთახიანი „დამოუკიდებელი" ბინიაა უნაკლო იყოს. პირიქით, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ის ბევრ შემთხვევაში სრულიად არ შეესაბამება არც დროისა და არც თანამედროვე პირობების მოთხოვნილებას. იყო დრო, და მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია, როცა ერთბინიანი, საკუთარი ეზოიანი და ყოველ მხრივ „დამოუკიდებელი" სახლი, საბინაო კოოპერატიულ მშენებლობაში, ითვლებოდა ერთად ერთ იდეალურ ტიპათ. ამ „დამოუკიდებლობის" გატაცების ნაყოფია ის ქოხმახები, რომლებიც ბინათა კოოპერატიულ მშენებლობის პირველ პერიოდში ჩავამწკრივეთ მუშათა ახალშენებში.

— მაშ, როგორი ტიპი გნებავსო?— იკითხავს მკითხველი.

— პირადათ მე არ ვიძლევი კოოპერატიული მშენებლობის ახალ ტიპს. ეს ტეხნიკოსების საქმეა. მე ვამბობ მხოლოდ, რომ მათ უნდა მოგვცენ ბინის ისეთი ტიპი, რომელიც არ დაჯდება 6.000 მანეთზე მეტი, რომელშიაც ჩასასახლებლად საჭირო იქნება ერთდროული გადასახადის გაღება არა უმეტეს 500-600 მანეთისა, ხოლო ყოველთვიურად — არა უმეტეს 10-12 მანეთისა. აი ბინის ასეთი ტიპი იქნება ჩვენთვის მისაღები. დეე, ნუ იქნება 3 ოთახი, დე იყოს ორი, მაგრამ ეს ორი იყოს კარგი, მაგარი, სუფთა და ნათელი. დე, ნუ ექნება ყოველ ბინას საკუთარი აბაზანა, საკუთარი სამზარეულო- ნაცვლად ამისა მუშათა საბინაო კოოპერატიულმა ამხანაგობებმა უნდა მოაწყონ საზოგადო აბანოები, საზოგადო სამზარეულოები და სასადილოები- განა ახალი, სოციალისტური ყოფა-ცხოვრების შემოღება, ქალის განთავისუფლება სამზარეულოს ტვირთისაგან საბინაო კოოპერაციის პროგრამაში არ შედის? დეე, ჩვენი ბავშვები ნუ იქნებიან ჩაკეტილი შუშაბანდიან აივნებში, დეე ისინი შეხვდენ ერთმანეთს საბავშო მოედნებზე, საბავშო ბაღებში და სხვა. განა ეს ეწინააღმდეგება ჩვენს მდგომარეობას, ჩვენს შეგნებას, ჩვენს მიზნებს? ვიცი, ზოგი იტყვის — ორი ოთახი ცოტაა, შვილები გაიზრდებიან და როგორ მოვთავსდებით ორ ოთახშიო. რასაკვირველია, თუ ჩვენ ვფიქრობთ მრავალშტოიან პატრიარქალური ოჯახის შექმნას, ორი კი არა სამი-ოთხიც არ გვეყოფა.

მაგრამ თავი და თავი ეს არ არის. თავი და თავი ის არის, რომ იმ თანხიდან, რომელიც წელს გადადებულია ადგილობრივი ფონდიდან და ცეკობანკის საშუალებებიდან, რაც შეიძლება მეტი ამხანაგები დავაკმაყოფილოთ. არ იქნება მიზანშეწონილი, თუ 60.000 მანეთით ჩვენ ავაგებთ სულ 120 ბინას და შიგ ფართედ მოვაწყობთ მხოლოდ 120 ამხანაგს, დანარჩენებს კი მშრალზე დავტოვებთ. ამას ემჯობინება — ცოტა ვიწროთ, ცოტა უფრო თანამედროულათ, მოვაწყოთ ახალ ბინებში 200-220 ამხანაგი და ვუთხრათ მათ—ჯერ ეს იმყოფინეთ და თუ მაინც და მაინც ვიწროთ იქნებით, გაფართოებას მომავალშიაც მოვესწრებით.

საქართველოს ბინათკავშირმა და ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ეს გარემოება მხედველობაში, უნდა გამოიმუშაონ სახლების ახალი ტიპი და საბინაო - სამშენებლო ამხანაგობათათვის დააწესონ ერთგვარი სავალდებულო ლიმიტი, რომლის ზევით ფულის დახარჯვა უნდა აიკრძალოს.

ი. ტოროტაძე.

პედაგოგიური ბაცაციობის წინააღმდეგ

საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა კერძო სასწავლებლები და თვით აიღო ხელში ახალგაზრდობის აღზრდის საქმე, რადგანაც „სკოლა არა მარტო კომუნისტური პრინციპების გამტარებელი უნდა იქნეს, საზოგადოთ, არამედ იმასაც უნდა ცდილობდეს, რომ პროლეტარიატის იდეურ, ორგანიზაციულ და აღმზრდელობითი გავლენა გაატაროს ნახევრად პროლეტარულ და არა პროლეტარულ მშრომელთა ფენებზე, იმ მიზნით, რომ აღზარდოს ახალი თაობა, რომელიც შესძლებს კომუნიზმი საბოლოოდ დაამყაროს" (კ.პ. (ბ) პროგრამიდან).

მიუხედავად სახალხო განათლების დარგში ჩვენი პარტიის ამგვარ პოლიტიკისა და განათლების სახალხო კომისარიატის სათანადო დადგენილებისა (განათლების კომისარიატის დადგენილებით მასწავლებლების მიერ შეიძლება მხოლოდ 5 მოწაფის აყვანა ერთდროულ სამეცადინოთ), დღეს ყველგან შეხვდებით კერძო „არალეგალურ კურსებს", რომელნიც მოწყობილია ჩვენი სკოლიდან გამოყრილ უვარგის, უცენზო და ფულის მიღების სურვილით გატაცებულ მასწავლებლების მიერ. ამას უწოდებენ არა კურსებს, არამედ ჯგუფებს.

ჩვენი აზრით ეს ჯგუფები არაფრით განსხვავდებიან კურსებისაგან (ჰყავთ რამოდენიმე ჯგუფი და ჯგუფში ჰყავთ 30—35 მოწაფე. დაქირავებული ჰყავთ აგრეთვე მასწავლებლები). ასეთ „კურსების" მუშაობას უფრო ვაჭრული და ექსპლოატატორული ხასიათი აქვს, ვიდრე პედაგოგიურ-აღმზრდელობითი. ერთი პირი ასწავლის თითქმის ოთხ-ხუთ ისეთ საგანს, რომლებსაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს. საზოგადოებრივ დისციპლინის სწავლების საქმე ისეთ პირთა ხელშია, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ ამ საგანთან: ასე მაგალითად: ერთი და იგივე პირი ასწავლის ქართულ ენას, ეკონომიურ გეოგრაფიას, ბიოლოგიას, პოლიტიკურ ეკონომიას, საზოგადოებათა მეცნიერებას და საბჭოთა კონსტიტუციას. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს „კურსები" ამზადებენ მოწაფეებს საშუალო განათლების კურსის ფარგლებში. ცხადია თუ რამდენად ნაყოფიერი იქნება ასეთი მასწავლებლების და „კურსების" მუშაობა.

დაუშვებელია ამ გარემოების ჩვენი ყურადღების გარეშე დატოვება და ასეთ „ბაცაცა" პედაგოგების თავის ნებაზე მიშვება. საჭიროა პედაგოგიკის ასეთ დამახინჯებას მიექცეს ყურადღება და ბოლო მოეღოს ამ არანორმალურ მოვლენას.

აგრეთვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება, ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ საჭიროა სასკოლო მშენებლობის საქმის მჭიდროდ დაკავშირება სახალხო მეურნეობის ამოცანებთან, რისთვისაც სასკოლო ქსელის გაფართოება არ უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილებას, მაგრამ განათლების კომისარიატის საექსტერნო კომისია გამოსაცდელ მოსწავლეთა კლასიურ შემადგენლობის მიუხედავად — ყოველწლიურად უმატებს ჩვენს შრომის ბირჟას უმუშევართა ახალ კადრებს. ამით ჩვენ ორ დიდ შეცდომას ჩავდივართ: 1) საშუალებას ვაძლევთ მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს, რომელიც მთელი წლობით კერძოთ ემზადება — მიიღოს საშუალო განათლება და მეორეს მხრივ ვარღვევთ პროფესიონალიზაციის პრინციპსაც. ვამზადებთ ჩვენი მეურნეობისათვის გამოუსადეგარ კადრებს.

დროა, ამ არანორმალობას ბოლო მოეღოს.

დიომიდე თოფურია.

პარტიაში

ჩვენი ამოცანები ზრდის დარგში

პარტიაში მუშათა მიღებისა და პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ პირობებში, როდესაც პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე სდგას სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანები. ეს სავსებით გასაგებია. მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში, იმ პირობებში, როცა ადგილი აქვს „შემოტევას გარედან“ და მთელ რიგ სამეურნეო სიძნელეებს. ჩვენი ქვეყნის შიგნით, „პარტიის, როგორც პროლეტარიატის კომუნისტური ავანგარდის და მთელი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელის როლი განსაკუთრებით ძნელი და საპასუხისმგებლოა“. (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის რეზოლიუცია).

აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს: როგორ და რომელი ფენებით შეივსება ჩვენი პარტიის რიგები. აქედან გასაგებია, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმმა, რომელზედაც ფართოდ დაისვა ეს საკითხი, რატომ გასცა ასეთი დირექტივა:

„მიღწეულ იქნას, რომ არა უგვიანეს 1930 წლის დასასრულისა პარტიის შემადგენლობის ნახევარზე არა ნაკლები შესდგებოდეს წარმოების მუშებისაგან, რისთვისაც უახლოესი ორი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას, რომ პარტიაში მიღებულთა შორის (მთლიანად) წარმოების მუშები, განსაკუთრებით ხანგრძლივი საწარმოო სტაჟის მქონე მუშები, შეადგენდნენ 80 პროცენტზე არა ნაკლებს; ამისათვის გაშლილ იქნას სათანადო საორგანიზაციო-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მუშათა მასებში“.

საკითხი ასე სდგას: საბჭოების როლი და ამ საბჭოებში მუშათა მასების შემოქმედებითი მონაწილეობის ყოველმხრივ ზრდასთან ერთად, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საშუალებით მუშათა მასებთან კავშირის განმტკიცებასთან ერთად პარტიაში უნდა მივიღოთ „მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტები“, ისეთი პირები, რომლებიც შემოწმებულნი არიან პრაქტიკულ მუშაობაში, შეუძლიათ დაიცვან პროლეტარიატის ინტერესები და ჩადგნენ პირველ რიგებში სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში.

ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება საქართველოს პირობებში, სადაც არ არსებობს მსხვილი სამრეწველო ცენტრები, უფრო მეტ სერიოზულ მიდგომას მოითხოვს პარტიული ორგანიზაციის მხრივ. უნდა ითქვას, რომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა ეს საკითხი განიხილეს, მოგვცეს კონკრეტული მითითებანი, მაგრამ ადგილებზე საკითხი სუსტად დაამუშავეს ან სრულებით არ დაუმუშავებიათ. პარტიაში ახლად მიღებულთა შემადგენლობაში მუშათა აღნიშნული პროცენტის მისაღწევად საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა ავალებს ცოტად თუ ბევრად მსხვილი სამრეწველო ცენტრების (თბილისი, ჭიათურა, ხაშური, ტყიბული, ბათომი და სხვ.) პარტორგანიზაციებს, რათა „პარტიაში ახლად მიღებულთა შემადგენლობაში უზრუნველჰყონ დაზგის მუშათა, მოჯამაგირეთა და სახ.-სამეურნეო მუშათა 90 პროც.-ზე არა ნაკლები“. ამასთან, ჩვენ გადაჭრით უნდა უარვყოთ ორგანიზაციის შემადგენლობის მექანიკური მოწესრიგება, რაიმე ფარგლების და საკონტროლო ციფრების დაწესება და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიაში მუშათა მიღება ხდებოდეს „ნამდვილი ხელმძღვანელობის გაძლიერებით, ადგილებზე მუშაობის შემოწმებით, ქვედა საფეხურის პარტორგანოების მოხსენებათა მოსმენით საოლქო და სამაზრო კომიტეტებში“.

ამ ამოცანის შესრულება თავის მხრივ მოითხოვს მასიური მუშაობის ყოველმხრივ გაღრმავებას და მუშათა მასასთან კავშირის განმტკიცებას. უჯრედთა ღია კრებების მოწვევა უნდა ატარებდეს სისტემატიურ და საქმიან ხასიათს; ამ კრებებზე უნდა დაისვას მასებისათვის საინტერესო საკითხები და უზრუნველყოფილ იქნას მუშათა მასების მაქსიმალური მონაწილეობა და აქტივობა. უპარტიო მუშათა ფართო მონაწილეობამ ამ საქმეში ღია კრებების და სპეციალურად მოწვეული ჯგუფური კრებების საშუალებით, ახლად მისაღებთა სიების კედელზე გამოკვრამ, დეფექტების აცილებამ და აქტივთან კარგად დაყენებულმა მუშაობამ უნდა უზრუნველჰყოს ყველაზე უფრო მტკიცე, პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებული მუშების მიღება.

პარტიაში მუშათა და მოჯამაგირეთა მიღების საკითხთან დაკავშირებით მცირე მნიშვნელობა არ ენიჭება სწავლების საკითხს. საჭიროა გაფართოებულ იქნას მუშაობა პოლიტგანათლების დარგში და პარტიაში ახლად შემსვლელთათვის უზრუნველყოფილ იქნას სათანადო პოლიტსკოლების და წრეების გავლა.

ზემოდ ნათქვამი შეეხება აგრეთვე სოფლის ორგანიზაციებს, რომელი ფენებით უნდა შეივსოს სოფლის ორგანიზაციები? პარტიის მე-15 ყრილობა პარტორგანიზაციებს აძლევს წინადადებას: „ყურადღება მიექცეს მოჯამაგირეთა და ღარიბთა უმთავრესად იმ აქტივის მომზადებას და პარტიაში ჩაბმას, რომელიც იზრდება სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირში, ღარიბთა ჯგუფებში, საბჭოების, კოოპერაციის, გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებების პრაქტიკულ მუშაობაში და სხვ.“.

მაშასადამე, პარტიაში უნდა ჩავაბათ არა ყველა მოჯამაგირენი და ღარიბები, არამედ ის მოჯამაგირეები და ღარიბები, რომელთა შემოწმება სწარმოებს სოფლად არსებულ ორგანიზაციებში პრაქტიკულ მუშაობით. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს ორგანიზაციის მთელი ყურადღება მივაქციოთ მასიური მუშაობის გაძლიერებას.

ნოემბრის პლენუმი დიდ ყურადღებას აქცევს პარტიაში მოჯამაგირეთა მიღებას და პარტ-ორგანიზაციას აძლევს წინადადებას: „მიღებულ იქნას წინსვლა იმ მხრივ, რომ პარტიაში მიღებულ იქნან სასოფლო-სამეურნეო მუშები და მოჯამაგირენი, აგრეთვე საუკეთესო აქტივისტები ღარიბთა და კოლმეურნეობებში მომუშავეთაგან.

ამასთან, საჭიროა სოფლად ორგანიზაციების შემადგენლობის სასწრაფოდ გაუმჯობესება, წმენდა და განახლება“.

ჩვენი პარტიის ცეკას პრეზიდიუმი კონკრეტულ მითითებებს გვაძლევს და მოითხოვს, რომ „სოფლის უჯრედებში ახლად მიღებულთა საერთო შემადგენლობაში უზრუნველყოფილ იქნას მოჯამაგირეთა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა 40 პროც. არა ნაკლები“. ამ დირექტივის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა საბჭოთა მეურნეობებთან, საცდელ სადგურებთან და სხვა წარმოებებთან მოეწყოს უჯრედები და კანდიდატთა ჯგუფები. ამაზე მიგვითითებს ცეკაც თავის გადაწყვეტილებაში.

ასეთია საერთოდ ის ამოცანები, რომლებიც სოფლად და ქალაქის ორგანიზაციების წინაშე დგანან ჩვენი პარტიის შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების დარგში.

საჭიროა უახლოეს ხანში ადგილებზე დეტალურად იქნას განხილული და დამუშავებული ეს საკითხი და შემოწმდეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის ამ მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შესრულება.

ერ. გორდელაძე.

როგორ ვიზრდებით

(გორის ორგანიზაცია)

გორის პარტიულმა კომიტეტმა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე მიიღო ზომები პარტიის შემადგენლობის ზრდის და მოწესრიგების დარგში.

გასული წლის ნოემბრიდან ა.-წ. 1-ლ მარტამდე სულ პარტიაში მიღებულ იქნა 285 ამხანაგი. ამათში: მუშებია 258 კაცი, ანუ 90 პროც., მოჯამაგირეები 21 ანუ 7,5 პროც., გლეხები (ღარიბები)—6 ანუ 2,5 პროც.

წარსული წლის 1-ლ ოქტომბრისათვის მაზრის ორგანიზაციაში მუშები შეადგენდნენ 54 პროც., ა.-წ. 1-ლ მარტისათვის კი—58,6 პროცენტს. გლეხების შემადგენლობა 36 პროცენტიდან შემცირდა 31,8 პროცენტამდე, მოსამსახურეების შემადგენლობა 8,5 პროცენტიდან დაეცა 8,1 პროცენტამდე, სხვათა პროცენტი (1,5) უცვლელი დარჩა.

პარტიული ფენა ხაშურის წარმოებაში მუშათა, საერთო რიცხვთან შეფარდებით შეადგენდა ა.-წ. 1-ლ მარტისათვის 48,5 პროც. ბორჯომის წარმოებაში კი—36,6 პროც. მთელი მაზრის მასშტაბით პარტ. ფენა მუშათა საერთო რაოდენობის 43,5 პროც. უდრის.

რაც შეეხება მოჯამაგირეებს და სოფლის მეურნეობაში დაქირავებულ პირებს, ამათგან ვინც კი არის სრულ ჰასაკოვანი ჩაბმულია ორგანიზაციაში, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოჯამაგირეთა უმეტესი ნაწილი მცირე წლოვანია.

უპარტიო მუშათა აქტივის პარტიისათვის მომზადების მიზნით წარმოებებში გაძლიერებულ იქნა მასიური მუშაობა: გახშირდა ღია კრებების მოწვევა, გაუმჯობესდა საწარმოო თათბირების მუშაობის შინაარსი, ამ თათბირების საქმიანობაში ჩაბმულ იქნა მუშათა მეტი რაოდენობა. ეწყობა სპეციალური საუბრები, პირველ საფეხურის პოლიტსკოლებში ჩაბმულ იქნენ უპარტიო მუშებიც, განვითარდა აგრეთვე თვითგანვითარების წრეების მუშაობა და სხვ..

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა უპარტიო კვალიფიციური მუშათა ლტოლვა პარტიის რიგებისადმი პარტიაში დამტკიცების ინსტანციების შემოკლება აადვილებს პარტიაში მუშების მიღებას.

უნდა აღინიშნოს ერთი უხერხულობა არამუშური ელემენტებისა მიღების საკითხში. თანახმად ცეკას დადგენილებისა ამ ელემენტებისათვის დაწესებულია 3 მოჯამაგირის რეკომენდაცია პარტიაში შესვლის დროს. ჩვენს მაზრაში დიდი ლტოლვაა პარტიისადმი, აგრონომებსა, საზოგადოებრივ მუშაობით დაინტერესებულ მასწავლებელთა და ასაკ გადაცილებულ აქტიურ ღარიბეს გლეხ კომკავშირელებში. ეს პირები რჩებიან პარტიის გარეთ, ვინაიდან იშვიათად მოიპოვებიან ისეთი კატეგორიის მოჯამაგირეები, რომელთაც აქვთ საკმარისი პარტიული და საწარმოო სტაჟი. ზოგიერთ სოფლებში პარტიული მოჯამაგირე სრულიად არ არის.

ქალთა მიღების საკითხის მოსაგვარებლად საწარმოო რაიონებს, პარტკომებს მიცემული აქვს დირექტივა გააძლიერონ მუშაობა ამ დარგში.

ა.

კომუნისტ და კომკავშირელ ინჟ.-ტეხნიკოსების თათბირი

საქმიანი კლუბის დარბაზში შესდგა კომუნისტ და კომკავშირელ ინჟენერ-ტეხნიკოსების თათბირი; თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი სპეციალისტთა კადრების მომზადების შესახებ.

ამ საკითხებზე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ცხაკაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფტეხნიკური მომზადებას ჩვენში მრავალი ნაკლოვანება ახლავს თან. როგორც მაღალი და საშუალო ტეხნიკური ძალების, ისე კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება სათანადო სიმაღლეზე არ სდგას, რაც მიეწერება მეცადინეობის იმ ფორმებს და სისტემას, რომელიც ამჟამად არსებობს უმაღლეს სასწავლებლიდან დაწყებული, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებამდი. ამიტომ როგორც სასწავლებლების პროგრამები, ისე მეცადინეობის სისტემა მოითხოვენ გადათვალიერებას და გადამუშავებას, რაც უნდა მოხდეს სამეურნეო და სახ. განათლების ორგანოების და ინჟენერ-ტეხნიკოსების მონაწილეობით.

გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნეტკაჩევმა, ლეჟავამ, ეგოროვმა, შამანიდიმ, ყანდარელმა, დანელიამ, ბერლინმა; სოკოლოვმა, ლეჟავამ და კომაშკომ.

მოკამათენი უმთავრესად აღნიშნავდნენ, რომ სასწავლებლები არ არიან მოწყობილი კარგად საჭირო ლაბორატორიებით და არ არიან საკმაოდ უზრუნველყოფილი კარგად მომზადებული პედაგოგიური ძალებით

ჩვენი ტეხნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები გვაძლევენ „უნივერსალურ, ყველაფერის მცოდნე“ ძალებს, რომლებიც სინამდვილეში კარგად არც ერთს დარგს არ იცნობენ. ეს მიეწერება იმას, რომ სპეციალურ დარგებზე გადიან ბევრ ისეთ საგნებსაც, რომლებსაც ამ დარგთან თითქმის არაფერი საერთო არა აქვს, ამრიგად გადატვირთულ მოწაფეს საშუალება არა აქვს ღრმად შეისწავლოს ვიწრო სპეციალური დარგი. ამ გადატვირთვასვე მიეწერება აგრეთვე ის, რომ მოწაფეობა გაურბის საზოგადოებრივ მუშაობას. საჭიროა ცალკე დარგების სასწავლო პროგრამებიდან ზედმეტი საგნებისა ამოღება. საჭიროა აგრეთვე შემოღებულ იქნეს განუწყვეტელი პრაქტიკა.

დაბალი სპეციალისტების (კვალიფიციური მუშების) მომზადებაც რომ არ არის კარგად დაყენებული, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების კურსდამთავრებულთ, მათი სუსტი მომზადების გამო, მუშაობა უხდებათ შეგირდობიდან დაწყებით. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებში ერთი და იგივე მასწავლებელი რამდენიმე საგანში ასწავლის. ამ სასწავლებლების პროგრამები არ არის შეფარდებული დღევანდელ მოთხოვნილებებთან (კოლმეურნეობა) და სხვ.

დასასრულ გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ცხაკაიას, ნეტკაჩევის, კამკამიძის, სოკოლოვის, კანდელაკის, ლევინის და ხუბაევის შემადგენლობით, კომისიას დაევალა ღონისძიებათა შემუშავება ზემოაღნიშნულ საკითხზე.

გაზაფხულის თესვისათვის

კომკავშირის მონაწილეობა თესვის კამპანიაში

კომკავშირის თემკომების მდივანთა თათბირი

5 აპრილს ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის შენობაში გაიხსნა თემკომების მდივანთა სამაზრო თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ. დღის წესრიგის პირველ საკითხზე—თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ—მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

ამხ. ამირეჯიბულიანი (აღბულახი) აღნიშნავს, რომ თესვის კამპანიისათვის მზადება თავის დროზე დაიწყო. გლეხობაში ჩატარებულია ახსნა-განმარტებითი კამპანია ნათესების გაფართოების და მოსავლიანობის გადიდების შესახებ. ცენტრიდან სათესლე მასალათ მიღებულია ათასი ფუთი ქერი. თესლი უკვე გაუნაწილდა კოლმეურნეობებს და ღარიბ მოსახლეობას. კონტრაქტაცია ჩატარებულია 30 ჰექტარ ნათესებზე. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის მოწაფეებისა და კომკავშირელთაგან შედგენილი ორი ბრიგადა, რომლებიც უკვე შეუდგა ტრიერით თესლეულის დარკვევას. თესვის კამპანიასთან დაკავშირებით დაარსებულია ორი კომუნა. თემში მუშაობს ორი ტრაქტორი, რომელიც მთლიანად დატვირთულია.

ამხ. მ. გრატიაშვილი (საგარეჯო). საგარეჯოს კომკავშირის ორგანიზაცია პირველი შეუდგა თემში თესვის კამპანიის ჩატარებას. სხვა ორგანიზაციები შემდეგ შეუდგნენ მუშაობას. ჩატარებულია კომკავშირელთა და უპარტიო გლეხ-ახალგაზრდობის საწარმოო თათბირი. თათბირზე გამოირკვა, რომ არტელში ახალგაზრდებს არა ღებულობენ იმ მოსაზრებით, რომ მათ ჯარში გაიწვევენ და არტელს მიატოვებენ. ამაზე თათბირმა მიიღო საჭირო ზომები. კომკავშირელებმა ადგილობრივ მასწავლებელთა დახმარებით მთელ თემში ჩაატარეს შემოდგომის ნათესების, მუშა-საქონლის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა იარაღების აღწერა და აგრეთვე გამოიკვლიეს, თუ რამდენის დათესვას აპირებს გლეხობა გაზაფხულისათვის. კომკავშირელების ინიციატივით დაარსდა ორი სასოფლო-სამეურნეო არტელი, განზრახული კი იყო ოთხი არტელის დაარსება. თბილისის საადგილ-მამულო განყოფილება არტელების დამტკიცებას აგვიანებს. მეაბრეშუმეობის კურსებზე გავგზავნეთ ორი ამხანაგი, რომლებიც უკვე დაბრუნდნენ და შეუდგნენ მუშათა არტელების დაარსებას. კომკავშირელები ატარებენ შაბათობებს, ეხმარებიან ქვრივ-ობლებს და წითელ არმიელთა ოჯახებს მიწის დამუშავებაში.

ამხ. ყარმაზანაშვილმა (ქოპორტ-საგურამოს თემი). თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, ჩავატარეთ შაბათობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 98 კომკავშირელმა, აქედან 7 ქალმა. შევაკეთეთ ბოგირები და გავწმინდეთ არხები. კომკავშირის ინიციატივით დავაარსეთ ერთი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი. ტრიერებით ვარკვევთ სათესლე მასალას. თემში საგიტაციო მუშაობა კარგად მიმდინარეობს. დაპირებული თესლი ჯერ არ მიგვიღია. როგორც გამოირკვა ჩვენი კუთვნილი სათესლე მასალა ხატახტარის საკრედიტო ამხანაგობას მიუღია და თავის თემშივე გაუნაწილებია.

ამხ. ყირმიზოვი (მუხრაანის თემი) სოფლებში ვატარებთ მოხსენება-საუბრებს, ვაწარმოებთ ტრიერებით სათესლე მასალის საჩვენებელ დარკვევას, ვეხმარებით ქვრივ-ობლებს მიწის დამუშავებაში და სხვ. ამჟამად შევუდექით სამელიორაციო მუშაობას.

ამხ. ბერძენიშვილი (დუშეთი). კომკავშირის მიერ ჩატარებულმა საგიტაციო მუშაობამ გამოიღო ნაყოფი. თემში დაარსდა ერთი სასოფლო-სამეურნეო და ერთი მეფრინველეობის კოლექტივი. ვამუშავებთ სამ ტრიერს.

ამხ. მარგიაშვილი (სართიჭალა). სართიჭალის თემში მცირე რაოდენობით მივიღეთ სათესლე მასალა. ვატარებთ სისტემატიურ ახსნა განმარტებითი მუშაობას თესვის კამპანიის საკითხებზე. თბილისიდან ჩამოსული სარემონტო ბრიგადა დიდ დახმარებას უწევს გლეხობას.

კონკურსი საუკეთესო მთესველზე

თესვის ჩამტარებელ კომისიის ხელმძღვანელობით წელს ჩატარებული იქნება კონკურსი საუკეთესო მთესველზე.

საუკეთესო მთესველებიდან „სოფლის კავშირის“ ხარჯზე 2 კაცი გაიგზავნება კოოპერატიულ კურსებზე, დანარჩენთ ჯილდოთ მიეცემა გუთნები, სათესი მანქანები და სხვ.

იმ რაიონებიდან, რომლებიც თესვას საუკეთესოთ ჩაატარებენ, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად თავის ხარჯით გააგზავნის 5 აგრონომს. იმავე რაიონებიდან მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატი 20 გლეხს უფასოდ გაგზავნის ტრაქტორისტების კურსებზე.

დაჯილდოებულ რაიონებში პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა გახსნის 2 სამკითხველოს, 2 მოძრავ კინოს, გლეხთა ახალგაზრდობის 3 სკოლას და ღარიბეს მოსწავლეებს დაუნიშნავს 3 სტიპენდიას.

თბ. მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეების და თემკომების მდივნების თათბირი

7 აპრილს თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგა თბილისის მაზრის თემაღმასკომის თავმჯდომარეთა და თემკომების მდივნების თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენებები გაზაფხულის თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ მაზრაში.

თემების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მაზრის მთიან ადგილებში ჯერ კიდევ დიდი თოვლია, რის გამოც შეუძლებელია თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობის წარმოება. დაბლობ ადგილებში მზადება ნორმალურად მიმდინარეობს. ადგილების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მაზრაში სათესლე მასალა განაწილებულია არასაკმაო რაოდენობით და გარდა ამისა, დარიგებული სიმინდი გამოუსადეგარია სათესლე მასალად, ვინაიდან იგი არ ეგუება ჩვენ ნიადაგს.

გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაცია ნორმალურად მიმდინარეობს და დასახული გეგმა შესრულებული იქნება უკლებლივ.

უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთება აქამდე ვერ არის დაყენებული ნორმალურ დონეზე.

აღნიშნული იყო, რომ სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს და აპრილის დამლევს მაზრაში ბევრია ჯერ-კიდევ შეუკეთებელი მანქანა. თუ ეს მდგომარეობა დაჩქარებით არ გამოსწორდა—იგი უსათუოდ უარყოფით მოვლენას მოახდენს კამპანიის წარმატებით დამთავრებაზე.

აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ აგრო-პუნქტების მუშაობა აქამდე ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, რასაც თავის დროზე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

დასასრულ, მოსმენილი იქნა ინფორმაციული მოხსენებები მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის შესახებ, ხორბლეულის და ფქვილის განაწილებაზე და სამინდე გადასახადის აკრეფის წესების შესახებ.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია და თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები.

მეაბრეშუმეობის კურსები

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, 1-ლი მაისიდან გაიხსნება მეაბრეშუმეობის კურსები: თბილისის სააბრეშუმო სადგურთან და ქუთაისში—ქუთაისის საამბრეშუმო სადგურთან. თბილისში გახსნილ კურსებზე მეცადინეობა გასტანს სამი თვე; კურსებზე მისაღებათ საჭიროა სწავლის ცენზი არა ნაკლებ 9 წლედის კურსისა. უპირატესობა მიეცემათ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმების კურსდამთავრებულებს.

ქუთაისში გახსნილ კურსებზე მისაღებათ განათლების ცენზი საჭირო არაა. მეცადინეობა გაგრძელდება თვე ნახევარს.

თბილისში გახსნილ კურსებზე მისაღებ განცხადებებს ღებულობს მიწსახკომის სასოფლო სამეურნეო სამმართველო, ხოლო ქუთაისში გახსნილ კურსებზე მისაღებათ მსურველებმა განცხადებები უნდა მისცენ ქუთაისის მეაბრეშუმეობის სადგურის გამგეს (ჯულაშვილის ქ. № 20).

ქუთაისი

გამფლანგველებს მფარველობენ

(ქუთაისის მუშკოოპი)

მუშკოოპის პურის საცხობს № 11, განაგებდა ვალიკო ყუფარაძე. მოიკალათა თუ არა საცხობის გამგეთ, ყუფარაძემ მალე ცინკის თუნუქით დახურა თავისი სახლი სოფელში. 2—3 თვე გადის, რაც ყუფარაძის სალაროს გაუჩნდა „ხვრელი“, ხშირად გაიგონებთ საყვედურებს „ყუფარაძე ფულებს ფლანგავს და რატომ ხელს არ კიდებენო“.

თურმე მუშკოოპის ერთ-ერთ მესვეურის და ცეკავშირის პასუხისმგებელ პირის პროტექციით მოწვეულია „ხელშეუხებელი“ ყუფარაძე. გამოკვლევით დადასტურდა, რომ მართლაც „ხვრელში“ გამძვრალა 2.500 მანეთი. ყუფარაძეს ხელს ვერ კიდებენ. ატყობინებენ თბილისში „დიდ კაცს“, რომელიც სასწრაფოდ ჩამოდის. (რასაკვირველია მანდატში აღნიშნულია სამსახურის საქმეებზე). მართლაც ყუფარაძეს ბედი ქონია. ერთი ცოცხალ-მკვდარი ცხენი ჩამოაყვანინეს სოფლიდან და მიიღო მუშკოოპმა ვალში 500 მანეთად, როდესაც ცხენის ნამდვილი ღირებულება არ აღემატება 100 მანეთს. მეორე ხუთასი მანეთი ჩამოუწერეს, ვითომც გაცემულ ნისიებში. არავინ იცის ვისი განკარგულებით გაიცა ნისია და ვისზე. დანარჩენი 1.500 მანეთი დააწერეს ვალად და როდესაც გსურდეს შემოიტანეო. ამას კიდევ ზედ დაერთო მუშკოოპის მაღაზიიდან გატანილი სახლის სახურავი თუნუქის ღირებულება 500 მანეთამდე. ამრიგად ვალიკო ყუფარაძე მუშკოოპს ჯერჯერობით უზის 3.000 მანეთამდე.

ამავე დროს პურის საცხობი № 14 გამგე რუსაძეს დააკლდა 400 მანეთი და 400 კილო პურის ფქვილი, მის მოლარე ცირეკიძეს 250 მანეთი. პურის საცხობ № 13 გამგე გიგუაძეს 500 მანეთი, ვიღაც ცაგარეიშვილს კიდევ ასეული მანეთები და ყველაფერი ეს მიჩქმალულია.

გინდ წევრი იყავი კოოპერატივის, გინდ სადუქნო კომისია, ბუხჰალტერიას ფეხებზე კიდია, რაც არ უნდა ეცადო არავითარ ცნობას არ მოგცემს პურის საცხობების შესახებ, ვითომც ყველა ეს საიდუმლო საქმე იყოს.

რათ არ ისჯებიან ყუფარაძე და სხვა დამნაშავენი?

საჭიროა ზემოხსენებული ფაქტების მზის სინათლეზე გამოტანა. სასტიკად უნდა დაისაჯონ როგორც ბოროტმოქმედნი, ისე მათი ნათლიმამებიც.

ვნახოთ რა ზომებს მიიღებს მუშკოოპი.

ნემსი.

ექსპლოატატორი წარმოებაში

(პირველ ელსადგურის მექანიკური სახელოსნო)

რამოდენიმე წლის განმავლობაში ქუთაისში მჭედელ ჰოხონელიძეს ქონდა საკუთარი სამჭედლო, რომელსაც დაქირავებული ყავდა ორი ხელოსანი. ერთი მათგანი—გიორგი ხუჯაძე დიდხანს ამუშავა ჰოხონელიძემ, მაგრამ შემდეგ სამჭედლო დაკეტა და ახალგაზრდა ხელოსანი უკაპეიკოთ გაისტუმრა ქუჩაში. როდესაც ამის შესახებ ხუჯაძემ გაასაჩივრა ქუთაისის შრომის სასამართლოში, სასამართლომ ხელოსან ხუჯაძის მოთხოვნილება კანონიერათ სცნო და მიუსაჯა მჭედელ ჰოხონელიძეს 74 მან. გადახდა ხუჯაძის სასარგებლოთ.

დღემდე სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ყურადღებასაც არ აქცევს ჰოხონელიძე.

თვით ჰოხონელიძე სამჭედლოს დაკეტვის შემდეგ რაღაც მახინჯათით ბირჟისა და კავშირის გარეშე მოეწყო სამუშაოთ ქუთაისის პირველ ელექტრო-სადგურთან არსებულ მექანიკურ სახელოსნოში მჭედლის ადგილზე, აქედან მან სცადა კავშირის წევრათ გახდომა, მაგრამ ადგილკომმა კავშირში მიღებაზე უარი უთხრა. ვინ მიიღო ისეთი კაცი წარმოებაში, რომელიც სამუშაოზე მთვრალი ცხადდება და სხვის ექსპლოატაციას დღესაც ეწევა?

ჰოხონელიძე დროზე უნდა განიდევნოს წარმოებიდან.

ივ. ბ—ძე.

საწარმოო თათბირის მუშაობა

(ქუთ. პირველი ელსადგური)

ქუთაისის პირველი ელსადგურის და მექანიკურ სახელოსნოს საწარმოო თათბირს დღემდე ქონია მხოლოდ სამი სხდომა, რაც რა თქმა უნდა მცირეა. სულ სხდომებზე გარჩეულია 12 საკითხი.

საწარმოო თათბირის დადგენილებები შეძლებისდაგვარად ტარდებოდა ცხოვრებაში. საწარმოო თათბირის მითითებით შეკეთებულ იქნა ელსადგურთან მდებარე კუთხე, გასუფთავდა სადგურის ეზო, საფუძვლიანად შეკეთდა საყინული. ელსადგურში გაყვანილია წყალსადენი, რითაც მუშები წყლით უზრუნველყოფილი არიან. შეძენილია ველოსიპედი, ხაზის დაზიანების, ან სხვა რაიმე საჭირო შემთხვევის დროს მსწრაფლ დახმარებისათვის. თათბირის დადგენილებები მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ-ჯერობით გაუტარებელია ცხოვრებაში, სხვადასხვა მიზეზების გამო.

თვით საწარმოო თათბირზე წამოყენებული წინადადებები უმთავრესად ეკუთვნის მუშებს. ადმინისტრაცია სხდომებს სისტემატიურათ არ ესწრებოდა.

საჭიროა მომავლისათვის გამოაცოცხლოს მუშაობა საწარმოო თათბირმა.

ივ. ბუხაიძე.

ხელფასის დარიგება გვიანდება

(მოწამეთის კირის ქარხანა)

ქუთაისის მოწამეთის კირის ქარხნის მუშები ხელფასს ღებულობენ ქარხნის კანტორიდან. კანტორა ძალიან აგვიანებს ხელფასის დარიგებას. მაგალითად, ზოგიერთ მუშას თებერვალის ხელფასი ჯერაც არ მიუღია.

ამას წინად ადმინისტრაციამ, ნაწილს მუშებისას მისცა თებერვლის ჯამაგირი, დანარჩენს კი ჯერაც არ მიუღია. მარტის ჯამაგირი არც ერთ მუშას, გარდა ნიბაქიძისა, არ მიუღია.

, როდემდის უნდა დააგვიანოს კანტორამ ხელფასის დარიგება.

ალ. ცნობილაძე.

ქუთაისი-წყალტუბოს ელექტრონის რკინიგზა

ს. მ. უ. ს. საელექტროფიკაციო განყოფილება შეუდგა ქუთაისი-წყალტუბოს შუა გასაყვანი ელექტრონის რკინის გზის საბოლოო პროექტის დამუშავებას. ამ რკინის გზის ტეხნიკური პროექტი უკვე დამუშავებულია და გამოკვლევებიც დამთავრებულია. პროექტის დამუშავებას და სათანადო გამოკვლევების ჩატარებას ხელმძღვანელობდა ინჟ. ზ. მიქელაძე.

გამოკვლევისა და გზის ტეხნიკური პროექტის დამუშავების შესახებ საელექტროფიკაციო განყოფილებამ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში გააკეთა საინფორმაციო მოხსენება. პრეზიდიუმმა საელექტროფიკაციო განყოფილებას დაავალა 2 თვის განმავლობაში დაასრულოს გზის გასაყვანი საბოლოო პროექტის დამუშავება.

ელექტრონის რკინის გზის საერთო სიგრძე იქნება 15 კილომეტრი. გზა ქუთაისიდან გაივლის სოფ. გუმბრის მახლობლად, სადაც სწარმოებს ფლორიდინის მადნის ამოღება. შემდეგში, როდესაც მადნის ამოღება უფრო ფართო მასშტაბით იწარმოებს, ელექტრონის რკინის გზის საშუალებით მოხდება მადნის გადაზიდვა გუმბრიდან ქუთაისამდე. ამავე ხაზზე ივლიან სამგზავრო მატარებლები წყალტუბომდე.

პირველი მაისის დღესასწაულისათვის

პროფკავშირების მონაწილეობა დღესასწაულში

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს, მაზრის პროფბიუროებს და ადგილობრივ პროფკავშირების პროფსაბჭოებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ პირველი მაისის დღესასწაული წელს ჩატარებული უნდა იქნეს კომინტერნის 10 წლის მოღვაწეობის ფართოდ გაშუქების და მუშათა მასების ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერების ნიშანქვეშ; კამპანიის განმავლობაში გაძლიერებული უნდა იქნეს ბრძოლა რელიგიასთან და ყოფა-ცხოვრების მახინჯ მოვლენებთან (ლოთობა და სხვა).

ვინაიდან პირველი მაისის დღესასწაული წელს ჩატარებული იქნება „კულტურის დღესასწაულის“ დროს, აუცილებელია, რომ პროფკავშირებმა უზრუნველჰყონ მასიური კულტგანმანათლებელ მუშაობის ყველა ფორმებს ანტირელიგიური შინაარსი.

კამპანიის დროს ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული წარმოებების საწარმოო გამოძახება, მეზობელ ქარხნის გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაზე და კარნავალები, კინო-სეანსები, ექსკურსიები, მასიურ სეირნობის და სხვ. მოწყობა.

პირველი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად, სამაზრო პროფბიუროებთან, ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებთან, ფაბრიკა-ქარხნებთან და მუშათა კლუბებს გამგეობებთან გამოყოფილი უნდა იქნეს საპირველმაისო კომისიები, რომლებიც დღესასწაულის შეერთებული ძალებით ჩასატარებლად უნდა დაუკავშირდნენ საბჭოთა და პოლიტგანმანათლებელ ორგანიზაციებს და ნებაყოფლობით საზოგადოებებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონსტრაციების მოწყობას 1-ლ მაისს. რომელშიაც ყველა მშრომელებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ სამხედრო და სიმებიანმა ორკესტრებმა, გუნდებმა, ცოცხალი გაზეთის წრეებმა და სხვა.

პირველი მაისის დღესასწაულის განმავლობაში კლუბების, შენობები გამოყენებული უნდა იქნეს დილიდან საღამომდე. პირველი სამი დღე უნდა დაეთმოს ფართო პოლიტიკურ კამპანიას, დანარჩენი დღეები (4, 5 და 6 მაისი) გამოყენებულ ანტირელიგიურ მუშაობას.

1-ლი მაისის დღესასწაულის დღეებში იმუშავებს ყველა გასართობები; კავშირებმა უნდა მოაწყონ კულტურული ლაშქრობა თეატრებში, კინოებში, მუზეუმებში, გამოფენებზე და სხვ.

კულტთათბირი

გუშინ, დილით საქ. პროფსაბჭოში შესდგა კულტთათბირი, რომელსაც დაესწრნენ კავშირების კულტგანყოფილებათა, მუშათა კავშირების, წით. კუთხეების, ხელოვნების მთავარ მმართველობის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირმა მოისმინა ამხ. ქომიძის მოხსენება საზაფხულო კულტმუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასული წლის მუშაობას ახასიათებდა შემდეგი დეფექტები: საზაფხულო კლუბების არათანაბრად განაწილება ქალაქის ცენტრსა და განაპირა უბნებს შორის, საზაფხულო კლუბების არასაკმარისი მშენებლობა მაზრებში, პოლიტიკური კამპანიების სუსტად ჩატარება კლუბებში, საკლუბო ესტრადის არაჯანსაღი ხასიათი, მოზრდილი მუშების არასაკმარისად ჩაბმა ფიზკულტურაში და სხვა.

ვინაიდან საზაფხულო კლუბები თანაბრად არ არის განაწილებული ქალაქის ცენტრსა და განაპირა უბნებს შორის, საჭიროა, რომ პროფკავშირებმა საზაფხულო კლუბების მშენებლობა შემდეგში გადაიტანონ განაპირა უბნებში—მუშათა რაიონებში (ლენინის რაიონი, ავლაბარი და ორთაჭალა). ამავე დროს გაძლიერებული უნდა იქნეს საზაფხულო კლუბების და ფიზკულტურის მოედნების მშენებლობა მსხვილ სამაზრო სამრეწველო პუნქტებში.

ვინაიდან აღმასკომების კომუნალური განყოფილებები მეტად ბევრს ახდევინებენ კლუბებს კომუნალურ სამსახურში (განათება და წყალი), რაც ხშირად ემუქრება კლუბების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობას, აუცილებელია აღძრული იქნეს საქართველოს ცაკის წინაშე შუამდგომლობა, რათა გამოცემული იქნეს სპეციალური დადგენილება კომუნალური სამსახურის გაიაფების შესახებ პროფკავშირების კულტგანმანათლებელ დაწესებულებათათვის.

მომხსენებლის აზრით, საზაფხულო სეზონი მუშათა კლუბებში უნდა გაიხსნას არა უგვიანეს 15 მაისისა.

მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებათა დასამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია შვიდი კაცის შემადგენლობით.

მასალები სრ. საქ. მე-5 ყრილობისათვის

საქართველოს მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს ჩვენ ვემყარებოდით ჩვენი პარტიის ყრილობებისა და მისი პლენუმების ძირითად დირექტივებს. ვემყარებოდით იმას, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს დიდი პერსპექტივები მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის, სამთო - საქარხნო და მადნეულ - მინერალური მრეწველობის განვითარებისათვის. ჩვენ აგრეთვე ვემყარებოდით იმას, რომ მაქსიმალურად უნდა განვახორციელოთ ჩვენი სოფლის მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია. ადგილობრივი სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება გეგმიანი პერიოდის დაწყებამდი მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ამ დარგში მრეწველობა მეტად სუსტად ვითარდებოდა და ამიტომ გეგმებში ჩვენ გავითვალისწინეთ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მაქსიმალური ტემპი.

ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის, მისი პერსპექტივებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიდრავლიური ენერგიის გამოყენებას, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს უდიდესი შესაძლებლობანი და ეს შესაძლებლობანი წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

შექმნილი ისტორიული მდგომარეობის გამო მრეწველობის ხაზით ჩვენ თითქმის არაფერი არ მიგვიღია, თუ არ ვიანგარიშებთ მარგანეცის მრეწველობას, რომელიც მთლიანად და სავსებით უცხოეთის კაპიტალის ხელში იყო.

ამის გამო ჩვენი მრეწველობის დაგეგმვა, ერთის მხრივ, რამდენადმე გაადვილდა. მრეწველობის განვითარების ხაზის დასახვის დროს ჩვენ ხელს არ გვიშლიდნენ მრეწველობის „ძველი პოზიციები“. ჩვენ ყველაფერს ახლად ვაშენებდით და ამის მეოხებით ჩვენი მრეწველობა, მისი შინაგანი სტრუქტურა ადვილად იცვლებოდა ჩვენთვის სასურველი მიმართულებით, საერთო-სამეურნეო ინტერესების მიხედვით, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანების მიხედვით.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში ამოცანას წარმოადგენს არა არსებული სამრეწველო საწარმოების რეკონსტრუქცია, არა ძველი ქარხნებისა და ფაბრიკების შეკეთება, არამედ ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების შექმნა და მოწყობა, ახალი მრეწველობის შექმნა მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე.

მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენი მრეწველობა ვითარდება, უმთავრესად, სამთო, სამთო საქარხნო მრეწველობის და სამრეწველო ნედლეულის გადამუშავების ხაზით.

ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიყვანთ იმ ქარხნებისა და ფაბრიკების სიას, რომლებიც შენდება მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში.

1. ქვანახშირის მრეწველობის ხაზით შენდება ბრიკეტების ქარხანა, რომელიც ამუშავდება 1932 წელს.

2. მადნეულ - მინერალური მრეწველობის ხაზით — ქუთაისში შენდება ბარიტის ფაბრიკა და ფლორიდინის ქარხანა, რომლებიც ამუშავდებიან 1928-29 და 1929-30 წლებში.

3. ლითონის მრეწველობის ხაზით—შენდება ერთი ცენტრალური ქარხანა თბილისში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რამდენიმე არსებული პატარა ქარხანა ერთდება ერთ დიდ ქარხანად.

4. საშენებელი მასალის მრეწველობის ხაზით — კასპში შენდება ცემენტის ქარხანა, რომელიც ამუშავდება 1930 წელს. აგრეთვე შენდება 15 აგურ - კრამიტისა და კირის ქარხანა, რომელთა უმრავლესობა ამუშავდება 1929-30 და 1930-31 წლებში.

ეწყობა სახურავი ფიქალისა და ასნებში 1931 წლისათვის.

ეწყობა სახურავი ფიქალისა და ასფალტის წარმოება 1931 წლისათვის.

შენდება და 1932-33 წელს ამუშავდება შუშეულის ქარხანა შორაპნის მაზრაში.

5. სატყეო მრეწველობის ხაზით შენდება და 1930-31 და 1932-33 წლებში ამუშავდებიან ფოთის, ბაღდათის და ახმეტის კომბინატები, ოზურგეთის სატკეჩე ქარხანა და საჭილაოს ქარხანა.

6. ქიმიური მრეწველობის ხაზით შენდება და ამუშავდება: ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში—1933 წელს, ულტრამარინის ქარხანა ბორჯომში — 1931-32 წელს. აზოტის ქარხანა ქუთაისში—1932 წელს სატყეო - ქიმიური ქარხანა ბორჯომში—1929-30 წელს.

7. აბრეშუმის მრეწველობის ხაზით — შენდება და 1930-31 წელს ამუშავდება ქუთაისის და ზუგდიდის ფაბრიკები.

8. საფეიქრო მრეწველობის ხაზით — შენდება და 1931-32 წელს ამუშავდება ნაბდის ფაბრიკა და 1929-30 წელს ამუშავდება მაუდის ფაბრიკა თბილისში.

9. შენდება და 1929 წელს ამუშავდება სატრიკოტაჟო ფაბრიკა თბილისში.

10. შენდება და 1930-31 წელს ამუშავდება ფეხსაცმელის ფაბრიკა თბილისში.

11. ქაღალდის მრეწველობის ხაზით —შენდება და 1930-31 წელს ამუშავდება ქაღალდის ფაბრიკა მდინარე ენგურზე.

12. შენდება თითო საკონსერვო ფაბრიკა გორში (ამუშავდება 1929 წელს) და ქუთაისში ამუშავდება 1930-31 წელს).

13. **აფხაზეთში:** შენდება კოდორის ხე-ტყის სახერხი ქარხანა (ამუშავდება 1930-32 წელს) და ბზიბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა (ამუშავდება 1932-33 წელს). გარდა ამისა, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებში მუშაობა დაიწყება 1932-33 წელს.

14. **სამხრეთ-ოსეთში:** შენდება და 1929-30 — 1930-31 წლებში ამუშავდება ცხინვალის ხე-ტყის სახერხი კომბინატი.

15. შაქრის ქარხანა გომში—ამუშავდება 1930-31 წელს.

16. ფერო - მარგანეცის ქარხანა — ამუშავდება 1930-31 წელს.

17. შენდება 18 ჩაის ფაბრიკა, რომელთა უმრავლესობაც ამუშავდება ხუთწლედის უკანასკნელ წლებში.

დასახულ ღონისძიებათა შედეგად, ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების მოწყობისა და ძველი ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქციის შედეგად, საქართველოს მრეწველობის პროდუქცია საკმაოდ სწრაფად გაიზრდება, რაც ცხადად სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

მფლობელთა კატეგორია	1927/28 წ.		32/33 წ.		%% ზრდა 32/33 წ. 27/28 წ. შედარებით
	აბსოლ.	%%	აბსოლ.	%%	
1. სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭო	29575,6	55,9	122719,8	46,0	414,9
2. ადგილობრივი მრეწველობა	7578,1	14,1	57966,9	21,9	764,9
3. ჯანმრთელობის კომისარ. (ბორჯ. მინ. წყალი)	3936,0	7,4	12043,0	4,6	305,9
4. აფხაზეთი	962,6	1,9	9982,0	3,7	1036,9
5. აჭარისტანი.	3011,7	5,6	6777,4	2,5	225,0
6. სამხრეთ-ოსეთი	90,1	0,1	1508,7	0,6	1674,4
7. ტყვარჩელი.	—	—	6346,0	2,4	—
8. მარგანეცის ტრესტი.	2890,0	5,4	21650,0	8,2	749,1
9. „საქართველოს ჩაი“	1387,0	2,7	15693,0	5,6	1131,4
10. სახელმწ. კინო-მრეწველობა	1000,0	1,8	5760,0	2,2	576,0
11. სახალხო მამულთა ტრესტი	2500,0	4,8	5814,0	2,3	236,5
ს უ ლ.	52931,1	100,0	226261,8	100,0	503,0
%%-ში ნაწილთა და შედარებით	100,0		126,5		

მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, რომ ჩვენი სახელმწიფო ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია ხუთი წლის განმავლობაში გაიზრდება 52.931 ათას მანეთიდან (1927-28 წელს) 266.261 ათას მანეთამდე (ხუთი წლის დამლევისათვის), რაც, 1927-28 წელთან შედარებით, წარმოადგენს ზრდას 403 პროცენტით.

თუ საერთო პროდუქციას განვიხილავთ მფლობელთა კატეგორიების მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს: საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს საწარმოთა მონაწილეობის წილი მცირდება 55,9 პროცენტიდან (1927-28 წელს) 46 პროცენტამდე (1932-33 წელს), ხოლო ადგილობრივი მრეწველობის მონაწილეობის წილი იზრდება 14,4 პროცენტიდან 21,9 პროცენტამდე.

მრეწველობის საერთო პროდუქციაში ადგილობრივი მრეწველობის ხვედრითი წონის ასეთი დიდი ზრდა აიხსნება ისეთ საწარმოთა პროდუქციის დიდი ზრდით, როგორიც არის „მკერავი“—სამკერვალო მრეწველობა, რომლის პროდუქციაც გაიზრდება 1.555 პროცენტით.

აგურ - კრამიტის მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 330,5 პროცენტით, კირის მრეწველობა — 483,3 პროცენტით.

თვალსაჩინოდ გაიზრდება მარგანეცის მრეწველობა, რომლის მონაწილეობა მრეწველობის საერთო პროდუქციაში გაიზრდება 5,4 პროცენტიდან (1927-28 წელს) 8,2 პროცენტამდე (1932-33 წელს).

საგრძნობად გაიზრდება ჩაის მრეწველობის მონაწილეობა საერთო პროდუქციაში — 2,7 პროცენტიდან (1927-28 წელს) 5,6 პროცენტამდე (1932-33 წელს).

გაიზრდება კინომრეწველობის მონაწილეობაც — 1,8 პროცენტიდან 2,2 პროცენტამდე.

შემცირდება სახალხო მამულების ტრესტის პროდუქციის მონაწილეობა — 4,8 პროცენტიდან (1927-28 წელს) 2,3 პროცენტამდე (1932-33 წელს).

ბორჯომის მინერალური წყლების პროდუქციის წილიც 7,4 პროცენტიდან (1927-28 წელს) 4,6 პროცენტამდე (1932-33 წელს) შემცირდება.

ჩვენ ვფიქრობთ, ფრიად საინტერესო იქნება მოვიყვანოთ ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის დინამიკა დარგების მიხედვით.

საერთო პროდუქცია 1926-27 წლის საბითუმო გასაცემი ფასების მიხედვით.

(ათას მანეთობით)

	27/28	32/33	32/33 კ. 27/28 წ.
1. ქვანახშირის მრეწველობა	920,2	10443,0	1134,9
2. მადნეულ-მინერალური მრეწველობა	948,1	5669,6	598,0
3. ლითონის მრეწველობა	4855,4	11191,9	230,5
4. მარგანეცის მრეწველობა.	2890,0	21650,0	749,1
5. საამშენებლო (მინ. მრ.)	1218,3	9547,1	783,6
6. სატყეო მრეწველობა	6665,5	34979,4	524,8
7. ქიმიური მრეწველობა	171,7	2734,1	1592,4
8. აბრეშუმის ძაფ-სახვევი მრეწველობა	3456,0	12460,0	360,5
9. საფეიქრო მრეწველობა	4140,3	28115,4	679,1
10. სამკერვალო მრეწველობა	2324,0	38692,0	1664,9
11. სატრიკოტაჟო (აბრეშ.) მრეწვ.	—	2768,0	—
12. ტყავეულის მრეწველობა	2395,2	5524,4	230,6
13. ფეხსაცმლის მრეწველობა	953,0	4158,0	436,3
14. ქაღალდის მრეწველობა	656,6	7200,0	1096,6
15. პოლიგრაფიული მრეწველობა	1498,9	2347,2	156,6
16. საპნის სახარში მრეწველობა	919,0	2099,0	228,4
17. ზეთის სახდელი მრეწველობა	679,0	1308,0	192,6
18. საკონსერვო მრეწველობა	268,3	2270,4	846,2
19. თამბაქოს მრეწველობა	6367,5	16990,0	266,8
20. მინერალური წყლები	3936,0	12043,0	306,0
21. ჩაის მრეწველობა	1387,0	15693,0	1131,4
22. დანარჩენი გემოკვების მრეწველობა.	2143,9	5394,2	251,6
23 სპირტ-კონიაკის მრეწველობა	3137,2	7223,5	230,3
24. კინო-მრეწველობა	1000,0	5760,0	576,0
ს უ ლ:	52931	266.261	503,0
მათ შორის: ჯგუფი „ა“.	21125,4	108675,1	514,4
ჯგუფი „ბ“.	31805,9	157586,1	495,5

როგორც მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, ქვა-ნახშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდება 1.034,9 პროცენტით. ზრდის ასეთი დიდი პროცენტი აიხსნება იმით, რომ ხუთი წლის დამლევს ამუშავდებიან ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროები, აგრეთვე იმით, რომ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების პროდუქცია გაიზრდება 345 პროცენტით.

ძალიან გაიზრდება აგრეთვე მადნეულ - მინერალური მრეწველობის საერთო პროდუქცია (498 პროცენტით). ეს მოხდება ახალი, უფრო ძლიერი ფაბრიკების აგებისა და არსებული ფაბრიკების გაფართოების ხარჯზე (ბარიტი, გლაუბერის მარილი, ინფუზორიული მიწა, ლიტოგრაფიული ქვა, ფლორიდინის თიხა).

ლითონის მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება 131,55 პროცენტით. ლითონის მრეწველობის პროდუქციის ასეთი მცირე ზრდა ჩვენს პირობებში აიხსნება იმით, რომ ამ მრეწველობას დამხმარე ხასიათი აქვს და იგი მუშაობს უმთავრესად შემოტანილ ნედლეულზე.

მარგანეცის მრეწველობა თავისი პროდუქციის მეტად დიდ ზრდას მოგვცემს (649 პროცენტი 1932-33 წელს).

1927-28 წელს გარეცხილი მარგანეცის რაოდენობა 193,4 ათას ტონას უდრიდა, 1932-33 წელს კი ეს რაოდენობა 1.300 ათას ტონამდე ავა. მარგანეცის მრეწველობის პროდუქციის ასეთი დიდი ზრდა თავისთავად ცხადია. როგორც ცნობილია, მარგანეცი ერთ-ერთი მთავარ საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი კავშირისათვის. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ გვაქვს უდიდესი რაოდენობის საუკეთესო ხარისხის მადანი, როგორიც არ მოიპოვება სხვა ქვეყნებში, ცხადი გახდება, რატომ მივაქციეთ ჩვენს გეგმებში სერიოზული ყურადღება მარგანეცის მრეწველობის განვითარებას.

ძალიან გაიზრდება საშენებელი მასალის მრეწველობის პროდუქცია (683,6 პროცენტით). ეს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოხდება ცემენტის ახალი ქარხნის და აგურ - კრამიტის და კირის ქარხნების აგების ხარჯზე.

რაც შეეხება სატყეო მრეწველობას, მისი საერთო პროდუქცია 424,8 პროცენტით გაიზრდება.

ქიმიური მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება 1.492,4 პროცენტით. ასეთ მომატებას იწვევს ის, რომ 1927-28 წელს თითქმის სრულებით არ არსებობდა ქიმიური მრეწველობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს ქიმიური მრეწველობის გაშლა-გაფართოების გეგმა არასაკმაოდ არის ცნობილი როგორც სახელმწ. საგეგმო კომისიის, ისე მაღლამდგომი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ. სახელმწ. საგეგმო კომისიას და საქართველოს სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს წინადადება მიეცათ გადასინჯონ მრეწველობის ამ დარგის გეგმა მისი განვითარების ტემპის გაძლიერების მიზნით.

მართლაც, მრეწველობის ამ დარგს მაქსიმალური განვითარებისა დიდი შესაძლებლობა აქვს. ამას მოითხოვენ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ინტერესები.

აბრეშუმის სართავი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 260,5 პროცენტით. ამ მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის წარმოადგენს მეაბრეშუმეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

საფეიქრო მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 579,1 პროცენტით. მრეწველობის ამ დარგს მომავალში განვითარების უდიდესი პერსპექტივები აქვს.

ძალიან გაიზრდება სამკერვალო მრეწველობის საერთო პროდუქცია (1.564,9 პროცენტით). სამკერვალო მრეწველობის ასეთი ძლიერი ზრდა აიხსნება ჩვენი გეგმის გეზით, რომლის მიხედვითაც ხუთი წლის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ახალი მუშა უნდა იქნას ჩაბმული მრეწველობაში. ეს მაქსიმალურად შეამცირებს უმუშევრობას და, რაც მთავარია, საწარმოო შრომით უზრუნველყოფს მუშა-ქალს.

ტყავეულის მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 120,6 პროცენტით. ზრდის ასეთი პროცენტი არ მიგვაჩნია საკმაოდ, რადგან ჩვენ ბევრი ნედლეული გვაქვს.

ბუნებრივია, რომ ქაღალდის მრეწველობა ზრდის მეტად დიდ პროცენტს მოგვცემს. ეს აიხსნება ქაღალდის ახალი ფაბრიკის მოწყობით, რომელმაც თავისი პროდუქციით უნდა დააკმაყოფილოს მთელი ამიერ - კავკასიის მოთხოვნილება.

პოლიგრაფიული მრეწველობის საერთო პროდუქცია ძალიან უმნიშვნელოდ (36,6 პროცენტით) გაიზრდება. ჩვენ გარკვეულად უნდა ვსთქვათ, რომ იმ დროს, როცა მაქსიმალური ყურადღება ექცევა კულტურული რევოლიუციის საკითხებს ხუთწლიან გეგმაში და როცა მშრომელთა ფართო მასები უდიდეს მოთხოვნილებას უყენებენ პოლიგრაფიულ მრეწველობას (ლიტერატურა), ზრდის ასეთი პროცენტი ყოვლად დაუშვებელია. გეგმა ამ მხრივ უეჭველად უნდა გადაისინჯოს საგამომცემლო ორგანიზაციების გეგმასთან დაკავშირებით და სათანადოდ უნდა გაიზარდოს.

რაც შეეხება საკონსერვო მრეწველობას, გორსა და ქუთაისში ორი ძლიერი ფაბრიკის აგებით მისი პროდუქცია გაიზრდება 746,2 პროცენტით. საკონსერვო მრეწველობის ტემპის ასეთი დიდი ზრდა აიხსნება იმით, რომ ჩვენ გვაქვს კარგი ხარისხის ნედლეული, აგრეთვე იმით, რომ ამ მრეწველობას საექსპორტო მნიშვნელობა აქვს.

თამბაქოს მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა უდრის 166.8 პროცენტს. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუთი წლის დამლევს ჩვენი მრეწველობა გადაამუშავებს ადგილობრივი ნედლეულის მხოლოდ 15 პროცენტს. რასაკვირველია, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი თამბაქოს ნედლეული ესაჭიროება საკავშირო მრეწველობას, აგრეთვე იმას, რომ ჩვენი თამბაქო საექსპორტო საქონელია, — თამბაქოს მრეწველობის ზრდის დასახვა ხუთწლიან გეგმაში 166,8 პროცენტზე მეტი რაოდენობით, მიზანშეუწონელი და შეუძლებელი იქნება.

სავსებით ბუნებრივია, რომ გეგმაში ძალიან დიდი ადგილი არ აქვს დათმობილი ჩაის მრეწველობის განვითარებას. მისი პროდუქცია გაიზრდება 1.031,4 პროცენტით. როგორც ცნობილია, საქართველო თითქმის ერთად-ერთი ქვეყანაა კავშირში, სადაც წარმატებით ხარობს ჩაის კულტურა. ჩვენ ყოველწლობით ჩაიზე ვხარჯავთ ათი მილიონობით ოქროს ვალიუტას. ამიტომ იმისათვის, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ შეინარჩუნოს ეს ვალიუტა, აგრეთვე იმის გამო, რომ ეს კულტურა ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური კულტურაა ჩვენი გლეხობისათვის, სოფლის მეურნეობის გეგმაში ამ კულტურის განვითარებას მეტად მაქსიმალურ ტემპს ვაძლევთ. 1934 წლისათვის გაშენებული იქნება 40 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ამიტომ აგებულ უნდა იქნას ჩაის ახალი ფაბრიკები და საგრძნობლად უნდა გაიზარდოს საერთო პროდუქცია.

ახლა, თუ საერთო პროდუქციას დავყოფთ წარმოების მფლობელთა მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს:

საერთო პროდუქცია გაიზრდება:

ს.მ.უ. საბჭო (საშენებელი მასალის, სამკერვალო და საკონსერვო მრეწველობის გარდა	314,9 პროც.
ადგილობრივი მრეწველობა	664,9 „
მარგანეცის	649,1 „
საქართველოს ჩაი —	1.031,4 „
სახ. მამულების ტრესტი	136,5 „
სახკინმრეწველობა	476,0 „
ბორჯომის მინერ. წყალი	205,0 „
ავტონომიური რესპუბლიკები:	
აფხაზეთი	936,9 „
აჭარისტანი	125,0 „
სამხრეთ-ოსეთი	1.574,4 „

თვალსაჩინოა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის მრეწველობის საერთო პროდუქციის დიდი ზრდა. ეს გასაგებიც არის. მრეწველობა ამ რესპუბლიკებში დღემდე სუსტად იყო განვითარებული, თუმცა ისინი მდიდარნი არიან ისეთი ნედლეულით, როგორიცაა ტყე. ამიტომ ხუთწლიანი გეგმით ჩვენ ვითვალისწინებთ სატყეო მრეწველობის ზრდის მეტად სწრაფ ტემპს ამ რესპუბლიკებში.

რაც შეეხება აჭარისტანის მრეწველობის ზრდის უმნიშვნელო ტემპს (125 პროც.), ეს აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ გეგმაში ვერ შევიტანეთ აჭარისტანის მრეწველობის გეგმის მეორე (უფრო სრული) ვარიანტი და აგრეთვე იმით, რომ მრეწველობა გეგმის შედგენის მომენტისათვის აჭარისტანში გაცილებით უფრო მეტად არის განვითარებული, ვიდრე აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში.

აჭარისტანის გეგმაში გათვალისწინებული არ არის ის უდიდესი მშენებლობა ნავთის მრეწველობის ხაზით (ნავთის სახდელი და ნავთის საწმენდი ქარხნები), რომელსაც აზნეფტი ეწევა შემდეგში, როცა გეგმა უფრო გარკვეულ სახეს მიიღებს, ყველა ამ მომენტს ანგარიში უნდა გაეწიოს და გეგმაში შეტანილ უნდა იქნას მშენებლობის ყველა ობიექტი აჭარისტანის ტერიტორიაზე. ამით მივიღებთ აჭარისტანის მრეწველობის განვითარების სრულ და ნათელ სურათს.

(გაგრძელება იქნება).

ა. კვირიკაძე.

ჭიათურა

მავნე გადახრა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცის ტრესტს პირველ ხანებში უხდებოდა მუშაობა ფრიად ცუდ პირობებში.

საჭირო იყო კონცესიონერის მიერ განადგურებულ ქარხანა-მაღაროების აღდგენა-მუშავება, მათი მომარაგება სათანადო მასალით, საჭირო იყო მუშებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ მათ წარმატებით შეესრულებინათ ტრესტის ყოველივე დავალება.

დღეს, შედარებით წარსულ თვეებთან, ტრესტი იმყოფება კარგ პირობებში. მაგრამ ტრესტი ამჟამადაც არ არის უზრუნველყოფილი სამშენებლო მასალით. მასალა და ხელსაწყოები დროზე არ მოდის.

ბრკოლდება აგრეთვე სპეცტანსაცმელის გაცემა.

ამ პირობებში საჭიროა ადმინისტრაციის და პროფორგანოების შეთანხმებული მუშაობა. ადგილკომებმა და მაღარკომებმა უნდა გაუწიონ დახმარება ტრესტს, თავისი ავტორიტეტით. მათ უნდა შექმნან საუკეთესო პირობები მუშაობისათვის, რათა მუშების დახმარებით, ტრესტს მიეცეს საშუალება დასძლიოს სიძნელენი და წარმატებით შეასრულოს დასახული გეგმა.

მაგრამ, ჩვენ ვხედავთ, რომ პროფორგანოები ზოგჯერ მავნედ იყენებენ თავის უფლებებს.

ავალაპარაკოთ თვით ფაქტები:

ამხ. ლენინის სახელობის (ყოფ. სვანიშვილის) რაიონში ადგილკომი ადმინისტრაციის დაუკითხავად ნიშნავს მწონებლებად რამოდენიმე კაცს და მათ შორის ერთ ყოფილ მღვდელს.

კომინტერნის სახელობის რაიონში ადგილკომი თავისი ნებით ნიშნავს 10 უფროს მუშას, ადმინისტრაციამ კი არაფერი იცის ამის შესახებ.

ამავე რაიონში ადგილკომი თავისი ნებით იჭერს ოთახებს და ამის შესახებ არც კი აცნობებს ადმინისტრაციას.

სპეცტანსაცმელის გაცემის ირგვლივ ადგილი აქვს დიდ არევ-დარევას და გაუგებრობას. ტრესტი სავსებით აკმაყოფილებს მუშებს იმ ტანსაცმელით, რომელიც გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულებით. მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც ტრესტი დროზე ვერ ღებულობს ტანსაცმელს და ამით გვიანდება მისი გაცემა რაიონებზე.

ზოგიერთი ადგილკომი იმის მაგივრად, რომ განუმარტოს მუშებს საქმის ნამდვილი მდგომარეობა, ამხედრებს მუშებს ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რითაც მოაქვს დიდი ზიანი წარმოებისათვის.

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის რაიონში მუშებს დროზე ვერ მიეცათ საწვიმრები (პლაშები). ადგილკომის თავმჯდომარე მიდის ამ მუშებთან და ეუბნება: არ იმუშაოთ, სანამ არ მოგცემენ საწვიმრებს.

ამავე რაიონში ადგილკომის განკარგულებით მუშები ანებებენ თავს სამუშაოს, რადგან მათ არ ჰქონდათ ხელთათმანები. ხელთათმანები ამ დროს საერთოდ არ მოიძებნებოდა ტრესტს, რაც კარგათ იცოდა ადგილკომმა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ადგილკომის თავმჯდომარე გაიძახოდა: „როგორ თუ არ არის ხელთათმანები? უნდა იყვეს“-ო.

ზოგიერთი ადგილკომი ხშირად მოითხოვს ისეთი სპეცტანსაცმელის გაცემას, რაც არ არის გათვალისწინებული კოლექტიურ ხელშეკრულებაში. ასეთი საკითხები მათ გამოაქვთ მუშების საერთო კრებებზე და თავის მოთხოვნას ასაბუთებენ იმით, რომ ტრესტს საკმაოდ აქვს სპეცტანსაცმელი და მას არ უნდა მისცეს იგი მუშებს.

შუქრუთის მაღაროებში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: აქ გაფუჭდა მოტორი და ესტოკადი აივსო ქვით, რამაც შეუძლებელი გახადა მუშაობის გაგრძელება. ტრესტის ადმინისტრაციამ შეაჩერა მუშაობა და მუშები მათივე სურვილით უნდა წასულიყვნენ ერთი თვის შვებულებაში. კავშირი არ დაეთანხმა ტრესტის ასეთ გადაწყვეტილებას და მოითხოვა მუშების დატოვება, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ტრესტისა და წარმოების გეგმებს. ტრესტი იძულებული შეიქნა შუქრუთის მუშები გადაეყვანა მღვიმევში. ამან გამოიწვია მღვიმევის რაიონის შტატების გაბერვა და შრომის ნაყოფიერების დაცემა.

კიდევ არის მრავალი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ზოგიერთ ადგილკომების და მაღარკომების არა სწორ მიდგომას წარმოების საკითხებისადმი.

ადგილკომებს და მაღარკომებს უნდა განემარტოს მათი ფუნქციები, ვალდებულებები.

ამასთანავე აღკვეთილ უნდა იქნას პროფკავშირების მხრივ ადმინისტრაციის ფუნქციებში ჩარევის შემთხვევები.

ჭიათურა, 8 აპრილი.

ე. ხუციშვილი.

ცეკავშირის საბჭოს სესია

კვირას, 7 აპრილს, გაიხსნა ცეკავშირის საბჭოს სესია. სესიაზე მოსმენილ იქნა ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება ცეკავშირის გამგეობის 1927—28 წლის და მიმდინარე წლის პირველი ორკვარტალის საქმიანობის შესახებ. სესიამ განიხილა და დაამტკიცა ცეკავშირის 1928—29 წლის მესამე კვარტალის სავაჭრო-საფინანსო გეგმა, მოისმინა მოხსენება დიფერენციალური პაის შესახებ და გაანაწილა ცეკავშირის 1927—28 წლის მოგება.

ცეკავშირის გამგეობის საქმიანობა

როგორც ამხ. მ. ტოროშელიძემ განაცხადა, უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ საბოლოოდ განამტკიცა თავისი საორგანიზაციო და საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუშაობა საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა არა სავსებით ხელსაყრელ პირობებში. ეს არახელსაყრელი პირობები გამოწვეული იყო საქონლის ნაკლებობით, კრედიტების შემცირებით და მრეწველობასთან ანგარიშების გასწორების პირობების გაუარესებით.

კოოპერატიულ ქსელს საანგარიშო პერიოდში ზრდა დაეტყო. კოოპერატივების რიცხვი 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის 148-დან გაიზარდა 150-დე; დუქნების—1.233-დან—1.451-დე; დამხმარე საწარმოო ერთეულების—194-დან—209-დე.

1929 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში კოოპერატივთა რიცხვი უცვლელი დარჩა, ხოლო დუქნების ქსელი გაიზარდა—1535-დე და დამხმარე საწარმოო ერთეულების რიცხვი 253-დე.

სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რიცხვი გაიზარდა—266.166-დან—330.358-დე. წევრთა საერთო მასაში ქალთა რიცხვი შეადგენს 11 პროცენტს.

ღარიბთა ფონდის ხარჯზე უკანასკნელი წლების განმავლობაში შეკავშირებულია კოოპერატიულად 30.000-დე ღარიბი მეურნეობა.

წევრთა ზრდასთან ერთად გაიზარდა კოოპერაციის საპაიო თანხაც. 1928 წლის პირველ ოქტომბრისათვის, ეს თანხა 996.799 მანეთიდან გაიზარდა—2.254.872 მანეთამდე—(საშუალოდ თითო წევრზე მოდიოდა 7 მან. 68 კაპ.), ხოლო ა. წ. 1 იანვრისათვის იგი შეადგენდა 2.587.200 მანეთს, ანუ თითოეულ წევრზე მოდიოდა 7 მან. 80 კაპიკი.

მიუხედავად საქონლის ნაკლებობისა, ქსელის სავაჭრო ბრუნვა საგრძნობლად გაიზარდა.

მთელი ქსელის სავაჭრო ბრუნვა საანგარიშო პერიოდში გაიზარდა (აფხაზეთის გამოკლებით) 63 პროცენტით და უდრიდა 78.141.000 მანეთს. კერძოდ, ქალაქად ეს ბრუნვა გაიზარდა 49,3 პროცენტით, სოფლად 24,5 პროცენტით.

დანარიცხები ქალაქის კოოპერატივებში შემცირებულია 19,8-დან—13,5 პროცენტამდე, ხოლო სოფლად გაიზარდა 14-დან—15 პროცენტამდე. საშუალოდ მთელს ქსელში დანარიცხი უდრის 14,1 პროცენტს.

საერთო სავაჭრო ხარჯები საშუალოდ მთელს ქსელში შემცირდა 10,8-დან—10,3 პროცენტამდე. ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება გამოიხატა 5 პროცენტში.

სამომხმარებლო კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცებულია. მისი ბალანსი (თბ. მუშკოოპის გარდა) უდრის დაახლოებით 13.854.000 მანეთს, აქედან საბრუნავ აქტივში მოთავსებულია თანხის 80 პროცენტზე მეტი.

ცეკავშირის ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მისი ბალანსი გაიზარდა 5.747.400 მანეთით ანუ 32,3 პროცენტით.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგაც სესიამ მიღებულ რეზოლუციაში ცეკავშირის გამგეობის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

მესამე კვარტალის სავაჭრო-საფინანსო გეგმა

ცეკავშირის 1928—29 წ. მე-3 კვარტალის სავაჭრო-საფინანსო გეგმა სესიას გააცნო ცეკავშირის გამგეობის წევრმა ამხ. პ. ქუთათელაძემ.

გეგმით ბრუნვა ნავარაუდევია 10.083.000 მან. რაოდენობით. მთელი საქონლის 97 პროც. მიეცემა ცეკავშირის მოკავშირე კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ხოლო დანარჩენი 3 პროც. დანარჩენ კოოპერატივებს და კონტრაგენტებს.

მთელი საქონლის 76 პროც. შეძენილი იქნება „ცენტროსოიუზი“-სა და „ზაკსოიუზი“-საგან.

საშუალო დანარიცხი გათვალისწინებულია 4,1 პროც. რაოდენობით.

გეგმა სესიამ უცვლელად დაამტკიცა.

დიფერენციალური პაი

შემდეგ მოსმენილ იქნა გამგეობის წევრის ამხ. გ. იარალოვის მოხსენება დიფერენციალური პაის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სოფლად კოოპერატივის ის წევრები, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან სასოფ.-სამ. გადასახადისაგან, პაის იხდიან 10 მან. რაოდენობით. ისეთები, რომლებიც იხდიან ამ გადასახადს დანარიცხებით, ან უდანარიცხოდ პაის იხდიან—25 მანეთის რაოდენობით. გადასახადის ინდივიდუალური დაბეგვრის წესით გადამხდელის საპაიო გამოსაღები უდრის 40 მანეთს.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ითვლებიან სოფლის კოოპერატივის წევრებად და ამავე დროს სოფლად აქვთ მეურნეობა, საპაიოს იხდიან ჯამაგირის მიხედვით.

სესიამ დიფერენციალური პაის პროექტი დაამტკიცა.

ცეკავშირის მოგების განაწილება

დასასრულ, სესიამ მიიღო ცეკავშირის 1927—28 წლის მოგების განაწილების პროექტი.

ცეკავშირის წმინდა მოგება ხსენებულ წელში გამოიხატა 369.109 მანეთში და 54 კაპ.

მოგების განაწილების პროექტის დამტკიცების შემდეგ სესია დაიხურა.

სააგიტაციო მოტო-გადარბენა

თბილისი—ალბულაღი—თბილისი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით დროის დაფასება.

განა გასაკვირია, რომ გასამგზავრებლად დანიშნულ დროზე თავისუფლების მოედანზე ჩვეულებრივი მხიარულება იყო და გადარბენის არც ერთი მონაწილე მანქანა არ სჩანდა?

დრო გადიოდა... მანქანებს სტარტი ეძლევათ „პუნქტუალურად“ ორი საათის დაგვიანებით. გადარბენაში მონაწილეებს სულ თერთმეტი მანქანა: ცხრა მოტოციკლეტი, ერთი კომანდორის ავტომობილი და ერთი უიღბლო ნახევრად საბარგო „ფიატი“.

მიტინგი სოფ. ბოგვში

მტვერმა, რომელიც ბურანში ახვევდა გზებს, ორთაჭალის ბაღების იქით დაფარა მთელი სივრცე. მხოლოდ წინ მიმავალი და უკან მომდევარი მანქანების თუხთუხი ამცნებს, რომ ვიღაც საითკენღაც მიიჩქარის.

სანდარასთან გზა გამოკეთდა. აგრილდა და წვიმის მოზრდილმა წვეთებმა „გაგვბანეს“.

ქალაქიდან გამოვედი დაგვიანებით და ამიტომ მანქანები მთელი ძალ-ღონით გუგუნებენ და ცდილობენ მალე დაფარონ მთელი გზა.

გზა მოფენილია წვრილი ქვებით. აქა იქ ამ ქვებზე სხედან ქვის მთლელები. შეიძლება შემდეგ ამ ქვებმა, როდესაც გზა მოკირწყლული იქნება, მგზავრობას მისცენ კომფორტის ხასიათი, მაგრამ ეხლა, განსაკუთრებით სანდარის მახლობლად. ამ ქვების გამო გზა თითქო განზრახ არის მოწყობილი მანქანის მოთმინების შესამოწმებლად. თვითეული ბიძგის დროს, როდესაც მემანქანეს ხელიდან უსხლტება საჭე ხოლო „კალიასკაში“ მჯდომი მგზავრი შეტორტმანდება არც თუ ძალიან მოხდენილად—მოტოციკლისტები „ლოცვა-კურთხევას“ უგზავნიან გზატკეცილების სამმართველოს.

გადარბენის მონაწილენი ასეირნებენ ბავშვებს

„ქალაქის“ პირველი შეხვედრა „სოფელთან“ ხდება მე-11 ვერსზე. სოფელი, წარმოდგენილია 25—30 კაცით, რომლებიც სოფლიდან შეგვეგებენ ორი ვერსის დაშორებით.

სოფელ კოდაში გაიმართა მიტინგი. მიტინგზე ხალხს მოვუხმობთ ორიგინალური ხერხით. ყველა მანქანები ერთხმად იძლევიან ნიშანს თავთავისი საყვირით და ამ მრავალფეროვანი კონცერტის ხმაზე, რომელიც მოგაგონებთ ბაყაყების ყიყინს—იკრიბებიან გლეხები. იკრიბებიან ჩქარა. ჩვენ გველოდენ, ჩვენი მოსვლა ახარებთ. სიხარული აღბეჭდილია ბავშვების სახეებზედაც, რომლებიც შემოსევიან მანქანებს, და მოხუცების სახეებზედაც, რომლებიც ბეჯითად კეცავენ ჩვენგან მიღებულ „ლენინის კავშირი“-ს ფურცლებს.

„კავშირი საქმით უნდა განვამტკიცოთ და არა მარტო სიტყვებით“—ლაპარაკობენ ამხ. ხტეპანოვი, საყვარელიძე, შეიფარიანი, რომლებიც უხსნიან გლეხებს ახალ საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელობას და ამომწურავ პასუხს აძლევენ გლეხების მიერ მიცემულ კითხვებზე.

ჩხირთაში ერთმა გლეხმა გვიჩვენა ავტოგზის ლატარიის 4 ბილეთი და კვეხნით გვითხრა— „აი დაიცადეთ, ავტომობილს მოვიგებ, მაშინ ჩვენ ბიჭებთან ერთად ჩამოვალ ქალაქში თქვენთან კაჭმარის გასაბმელად“.

კომანდორი ამხ. ჯაიანი იძლევა გამგზავრების ნიშანს. წინ გზა კიდევ გრძელია, ბინდი კი ჩამოწვა.

გზას კილომეტრს კილომეტრზე ვტოვებთ უკან. ისევ შეჩერებით—მცხეთაა. ისევ საუბარი გლეხებთან და კითხვების გაცვლა-გამოცვლა და განვაგრძობთ ტალახის ზელას.

ჩხიკვთაში თითქმის მთელი სოფელი შეგვეგება დროშებით. ყველაზე წინ სდგას ხუთი წლის ბავშვი, რომელსაც ხელში უჭირავს პლაკატი: „სალამი“.

შვიდი საათისათვის მივედით ალბულაღში. ალბულაღში თავდება ჩვენი გზა, აქ ვათევთ ღამეს. მორთული კლუბი სავსეა ხალხით.

ჯგუფ-ჯგუფად დანაწილებული შოფერები ესაუბრებიან ჩვენ მხიარულ მასპინძლებს.

გვიან, როდესაც ლამის გათენდა მივემგზავრებით საბავშო სახლისაკენ, გავიგეთ, რომ ჩვენმა ნახევრად საბარგო ავტომობილმა ავარია განიცადა. მის დასახმარებლად მიდის ექვს ადგილიანი „ოპელი“, ჩვენ კი ფეხით მივემართებით საბავშო სახლისაკენ და იძულებული ვართ ხტომით ავცდეთ გზაში ჩამდგარ გუბეებს.

მგზავრობის დროს სიცოცხლე ადრე იწყება. კომანდორი გვაღვიძებს დილის ხუთ საათზე. გინდა თუ არა, უნდა ადგე. კომანდორის ძალა-უფლება გადარბენაში განუსაზღვრელია.

დილა ადრიან, დანაწილებული სამ კოლონად, მივემართებით ალბულაღის სხვადასხვა რაიონებში, ვათვალიერებთ ამხ. მიასნიკოვის სახელობის კომუნას, ქალაქს, მიტინგებს არ ვაწყობთ, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, გლეხებს ვაძლევთ რჩევა-დარიგებას, ვესაუბრებით ყოველივე იმაზე, რასაც შეუძლია მოსავლის გადიდება და ქალაქის უფრო მჭიდროთ დაკავშირება სოფელთან.

ეს კავშირი კი მტკიცდება. ამაში ჩვენ კიდევ უფრო დავრწმუნდით უკან დაბრუნებისას, როდესაც ველაპარაკებოდით გზის ახლო მდებარე სოფლების გლეხებს.

ალ. კ—ნი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ბრძოლა უმუშევრობასთან

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადადებული 450.000 მანეთი რესპუბლიკათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად: აზერბეიჯანს მიეცა—202.500 მანეთი, საქართველოს—198.000 მანეთი და სომხეთს—49.500 მანეთი; სოცდაზღვევის ორგანობის ბიუჯეტით გადადებული 242.000 მან. განაწილებულია შემდეგნაირად: აზერბეიჯანს მიეცა—108.900 მანეთი, საქართველოს—106.480 მანეთი და სომხეთს—26.620 მანეთი.

ამრიგად, აზერბეიჯანს მიეცა სულ 311.400 მანეთი, საქართველოს—304.480 მანეთი და სომხეთს—76.120 მანეთი.

გრძელვადიანი კრედიტის ბანკი.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ცენტრალურ სადირექტივო ორგანოების წინაშე ამიერ-კავკ. გრძელვადიანი კრედიტების ბანკის გახსნის შესახებ.

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარე

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. სმირნოვი თავისი თხოვნის თანახმად განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან. ამიერ-კავ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მმართველი

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ბაგიროვი განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნულია ამხ. კაკაბაძე.

ქსანის კრამიტი

თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას ქსანში აქვს აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც უმთავრესად ამზადებს მარსელის კრამიტს. კრამიტი საღდება როგორც საქართველოს სხვადასხვა მაზრებში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში.

წელს ქარხანა დაამზადებს 1.230.000 ცალ კრამიტს და 50.000 ცალ ღრუ-აგურს. ვინაიდან ქსნის ქარხნის პროდუქციის მომხმარებელი უმთავრესად გლეხობაა, თბილისის აღმასკომმა დაადგინა დაუკლოს ფასები ქარხნის ნაწარმოებზე და ქარხანაში ჩაატაროს სრული რაციონალიზაცია.

თბილისის აღმასკომის დადგენილებით, ამიერიდან ქსნის ქარხანაში დამზადებული პირველი ხარისხის 1000 ცალი კრამიტი გაიყიდება 140 მან., (შარშან ღირდა—160 მან.), მეორე ხარისხის კრამიტი ეღირება—100 მ., (შარშან იყიდებოდა 120 მ.). ამავე ქარხნის მიერ დამზადებული 1000 ცალი აგური გაიყიდება 60 მანეთად. შარშან კი ღირდა—75 მანეთი.

განზრახულია ქარხნის გაფართოება.

განათლების სახ. კომისარიატში

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ამხ. მარიამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით, თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა:

15.000 მ. გადადება

კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად და საბავშვო ბაღების მოსაწყობად გადაიდოს 15.000 მან.

სკოლების მონაწილეობა თესვაში

გაზაფხულის თესვის კამპანიაში სკოლების მონაწილეობის შესახებ წარმოდგენილი გეგმა კოლეგიამ მოიწონა და დაადგინა: თესვის კამპანიაში სკოლების აქტიურად ჩაბმის მიზნით ჩატარებული იქნეს აგრონომ მასწავლებელთა კონფერენციები.

განათლების სისტემის გაცნობა მასებისათვის

სახალხო განათლების სისტემის ფართო მასებისათვის გაცნობის მიზნით, კოლეგიამ მიზანშეწონილად სცნო პროფსაბჭოს კულტგანყოფილებისა და გან. მუშ. ც. გამგეობის საშუალებით კამპანიის ჩატარება მთელ რესპუბლიკაში. კამპანიის დროს მუშათა კლუბებში მოეწყობა სპეციალური თათბირები, და მოხსენებები განათლების სისტემის შესახებ.

ძმ. ტანტების შესახებ

ხელოვნების მუშაკთა კავშირის მიერ წარმოდგენილ მასალების მიხედვით, კოლეგიამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა საქ. ცაკის წინაშე ძმ. ტანტებისათვის დამსახურებულ მსახიობის წოდების ჩამორთმევის შესახებ.

ხელოვნების საქმეთა მთავარმმართველობის კოლეგია

კოლეგიამ დაადგინა დაარსდეს ხელოვნების საქმეთა მთავარმმართველობის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. თოხაძე, (თავმჯდომარე) ბერძენიშვილი, ფალავა, მეგრელაძე, სოსიანი, დიასამიძე, და კომ. ერთი წარმომადგენელი. მთავარმმართველობასთან, კოლეგიის დადგენილებით, დაარსდა სახელმწიფო საკონცერტო ბიურო.

ამხ. ნ. კრუპსკაიას სახ. სტიპენდია

კოლეგიამ დაადგინა სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე დაარსდეს ამხ. ნ. კრუპსკაიას სახელობის სამი სტიპენდია.

ხელფასის გადიდება

კოლეგიის დადგენილებით მომავალ საბიუჯეტო წლიდან ხელფასი გაუდიდდება სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს და სას.-სამ. სკოლების მასწავლებლებს.

პედაგოგიური ინსტიტუტი

კოლეგიამ დაადგინა თბილისის ყოფ. პედაგოგიურ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები უფლებებით გაუთანაბროს უმაღ. სასწავლებლის პედაგოგიურ ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს.

ცნობები რ. ამუნდსენის შესახებ

ცნობილ მკვლევარ როალდ ამუნდსენის უკანასკნელი გაფრენის და დაღუპვის შესახებ ჟურნალ გაზეთებში მოთავსებული იყო სხვადასხვა ერთი მეორეს საწინააღმდეგო ცნობები, ზოგი გაზეთი იტყობინებოდა, ვითომ ამუნდსენი გაფრინდა ბერგენიდან, ზოგიც—ვითომ ტრომსედან და ზოგი კი ასახელებდა სულ სხვა ქალაქებს.

ზოგი ჟურნალ გაზეთის ცნობით ჰიდროპლან „ლატამ“-ს, რომლითაც გაფრინდა ამუნდსენი, თან არ წაუღია რადიო აპარატი. სწორი ცნობები არ იყო იმის შესახებაც, თუ რამდენი კაცისგან შესდგებოდა ამუნდსენის უკანასკნელი ექსპედიცია. ზოგი გაზეთი ასახელებდა 4-ს, ზოგი 5, 6 და ზოგი 16 კაცსაც კი.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა ცნობები, თითქოს ზღვის ნაპირებზე, ნორვეგიაში იპოვეს სხვადასხვა ნივთები „ლატამი“-დან. ასახელებდნენ ბენზინის ბაკს, ბოთლს ამუნდსენის წერილით და სხ. ასეთი ხმაც კი გავრცელდა, ვითომ ჰოლანდიაში ზღვის ნაპირზე აღმოაჩინეს თვით ამუნდსენის გვამი.

საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა სისწორით აღედგინა ამუნდსენის დაღუპვის სურათი, რა მიზნითაც მიმართა ნორვეგიის გეოგრაფიულ საზოგადოებას ქალაქ ოსლოში და სთხოვა ცნობებთან ერთად შეეტყობინებია თავისი აზრი, თუ რა ხასიათის კატასტროფა შეემთხვა „ლატამ“-ს.

რამოდენიმე დღის წინათ საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ნორვეგიის გეოგრაფიულ საზოგადოებისაგან მიიღო წერილი, რომელიც შემდეგ შემოწმებულ ცნობებს შეიცავს: როალდ ამუნდსენი გაფრინდა „ლატამით“ ქალაქ ტრომსედან (ჩრდილოეთ ნორვეგია) შპიცბერგენის მიმართულებით.

ექსპედიცია შესდგებოდა როალდ ამუნდსენისა და ხუთი თანამგზავრისაგან. მათ შორის იყო ნორვეგიელი კაპიტანი დიტრიქსენი და ოთხი ფრანგი: მფრინავები გილბო და კუსვეილი, ერთი მექანიკოსი და ერთი რადისტი. გაფრენის მომენტიდან ორ საათ ნახევრის განმავლობაში „ლატამ“-ს არ შეუწყვეტია ტრომსესთან კავშირი რადიოთი; აწვდიდა ცნობებს როგორც ამინდის, ისე ფრენის მიმართულებისა და ამინდის შესახებ. ხოლო ორ საათ ნახევრის შემდეგ რადიო-კავშირი უეცრივ შეწყდა.

ნორვეგიის გეოგრაფიული საზოგადოება იტყობინება აგრეთვე, რომ „ლატამი“-დან არც ერთ რადიო-სადგურს არ მიუღია ნიშანი „SOS“ (საერთაშორისო ნიშანი, რომელსაც იძლევიან ზღვაზე ან ჰაერში კატასტროფის დროს; —ნიშნავს: „გვიხსენით“, „ვღუპებით“).

სექტემბერში ქალაქ ფლიუგლოს ახლო, ზღვის ნაპირზე, იპოვეს ერთი ალიუმინის საცურავი „ლატამი“-დან, რომელსაც სრულიად არ ემჩნეოდა მაგარ ნიადაგზე დავარდნის ნიშანი და საღებავი ჰქონდა სრულიად გაუფხაჭნელი.

ეს გარემოება ნორვეგიის გეოგრაფიული საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ „ლატამი“ ჩავარდა ღია ზღვაში, ვინაიდან რომ იგი ყინულზე დაცემული იყო, უსათუოდ დაზიანდებოდა საცურავი.

„ლატამი“-ს ტიპის ჰიდროპლანები საათში გადიან 120—140 კილომეტრს. „ლატამი“ კი დაიღუპა გაფრენიდან ორ საათ ნახევრის შემდეგ. ამიტომ ფიქრობენ, რომ „ლატამ“-ს გავლილი ჰქონდა არა უმეტეს 300 კილომეტრისა, მაშასადამე მას ვერ მიუღწევია დათვის კუნძულამდეც კი.

ქრონიკა

შრომის პირობების გაუმჯობესება

ამიერ-კავკასიის წარმოებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ამიერ-კავკასიის მთავრობამ გადასდო 2.650.000 მანეთი.

შეღავათი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, ერბო-ყველის დამამზადებელ რაიონების რიცხვში, რომლებზედაც ვრცელდება შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, შეტანილი იქნეს თბილისის მაზრის, კობის, ყაზბეგის, ერწოს და ფშავ-ხევსურეთის რაიონები, და რაჭა-ლეჩხუმის მაზრის მრავალძალის რაიონი.

მელიორაცია

წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეიმუშავა საქართველოში სამელიორაციო ამხანაგობების ქსელის გაფართოების გეგმა. მთავრობის დადგენილების თანახმად სამელიორაციო ამხანაგობებმა პირველ რიგში არხები უნდა გაიყვანონ ღარიბ გლეხების მიწებზე. გარდა ამისა გლეხებს მიეცემა შესაფერი სამუშაო იარაღები და გაუწევენ უფასო აგრონომიულ-ტეხნიკურ დახმარებას.

თბილისის აღმასკომში

◆ ხის ნაწარმოების ქარხნის გადასაკეთებლად ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გადეცა 75.000 მანეთი.

◆ საბავშვო მოედანი. განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს ბოტანიკურ ბაღში მოაწყოს საბავშვო მოედანი.

◆ ქუჩა-გვირაბი. აღმასკომი ამჟამად ამუშავებს სადგურის ქუჩიდან ნაძალადევამდე ქუჩა-გვირაბის გაყვანის გეგმას.

სხვადასხვა

◆ გლეხთა სახლები. გადაწყდა გლეხთა ღამის გასათევი სახლები გაიხსნას საბურთალოზე და კახეთის მოედანზე. სახლებთან მოეწყობა საექიმო პუნქტები და ბაქები.

◆ საბინაო კავშირი მიმდინარე სამშენებლო სეზონში თბილისში აგებს 14 [illegible] სახლს.

◆ დღეს, 9 აპრ. საღ. 8 ს. სახ. უნ-ტის გეოლოგიური კაბინეტის აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა. ასისტ. ივ. კაჭარავა გააკეთებს მოხსენებას—„ახალი ცნობები კოდორის მაზრის გეოლოგიური აგებულობის შესახებ“.

◆ რკ. გზ. დასასვენებელ სახლის პროექტების გამოფენა. გუშინ ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ბინაზე (პლეხანოვის პრ., 138), გაიხსნა დასასვენებელ სახლის პროექტების გამოფენა, ამ სახლის აგება განზრახულია ს. დიდ-ცემში. გამოფენა გასტანს 8 აპრილამდე, რის შემდეგ შესდგება საამშენებლო კომისიის ღია სხდომა ჟიურის წევრთა თანდასწრებით, სადაც მოხდება საუკეთესო პროექტის დაჯილდოება. გამოფენაზე შესვლა—უფასოა.

ჩაუბარებელი დეპეშები

სოგუტბულახიდან—სარიშვილს, ჯავურიდან—სარქისოვს, ხაშურიდან — გულიტაშვილს, ხარკოვიდან—ბახტაძეს, მოსკოვიდან—აბრახმანოვს, ლენინაკანიდან— თუმანოვისას, ხონიდან—მილორავას, კულაბიდან—აგირინის, სოხუმიდან—ეშკიანს.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა სახელგამის ახალი გამოცემანი: 1) ტომ ბელი—ახალი ომების ეპოქის წინ, ფ. 25 კ., 2) ლენცნერი მემარჯვენე გადახრის შესახებ კომინტერნში, ფ. 50 კ., 3) მასწ. ჯგუფი—შრომის სკოლის პრინციპები (წერილების კრებული). ფ. 2—30 კ.; 4) რ. ნიკოლაძე—როგორ ვასწავლოთ წერა-კითხვა (მეთოდიკა)—ფ. 60 კ.; 5) პოპოვი—კ. მარქსი და ფ. ენგელსი გლეხობის როლის შესახებ პროლეტარულ რევოლიუციაში, ფ. 80 კ.

ხელოვნება

ქუთაის-ბათომის სახ. თეატრი კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

„რელსები გუგუნებენ“—კირშონის

ქუთაის-ბათომის სახ. თეატრის მორიგი წარმოდგენა—კირშონის პიესა „რელსები გუგუნებენ“. ავტორის ძირითად თემად ამ პიესაში აღებული აქვს ჩვენი განვითარების გენერალური ხაზი—ინდუსტრიალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი სერიოზული ცდაა საბჭოთა დრამატურგიის მხრივ, დაგვიხატოს ნამდვილი სურათი წარმოებითი პროცესების, სოციალური მშენებლობის — მოპირდაპირე ძალთა კოლიზიების ფრონტზე. ამავე დროს მთელ რიგ მნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრის დროს, როგორიცაა, მაგ., სპეცების, მუშათა დაწინაურების საკითხი და სხვ., ავტორი სწორ პოლიტიკურ ალღოს იჩენს. ამით აიხსნება, რომ პიესა დიდი წარმატებით მიდის მთელს საბჭოთა კავშირში.

პიესის სცენიური განსახიერებისათვის თეატრს დიდი მუშაობა ჩაუტარებია. დრამა ნახევრად რეალისტურ ტონებში იშლება და მხატვრულ ილიუზიას ჰქმნის დეკორატიულის მხრივ მოხდენილად გაკეთებული საწარმოო ცეხი. ყველაფერი აქ გადატრილია მხოლოდ „НАМЕКАМИ“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, ზედმეტი ბუტაფორიულობა, რაიცა ხელს უშლიდა აქტიორის დრამატიულ მოქმედებასთან სათანადოთ შეერთებას. პიესის რიტმი ვერ იშლებოდა სათანადო თანამიმდევრობით; ზოგჯერ საერთო ტემპი ოდნავ შენელდა, რის გამო წარმოდგენა ნაწილობრივ „გაცივდა“. აღვნიშნავთ აგრეთვე სუსტ მასიურ სცენას უკანასკნელ მოქმედებაში.

რაც შეეხება მსახიობის თამაშს, უნდა ითქვას, რომ აქტიორული ძალები უეჭველად იდგნენ თავის სიმაღლეზე. განსაკუთრებით კი ლამბაშიძე ქარხნის დირექტორის—ნოვიკოვის როლში. მსახიობმა თითქმის სავსებით განასახიერა დაწინაურებული მუშის ტიპი. მთავარი ის არის, რომ მისი ნოვიკოვი სრულიად ბუნებრივი სადა და მტკიცეა. შემდეგ კარგი იყო გომელაური (ტელესფორ ედმუნდოვიჩი) და კვანტალიანი, მეტად მკრთალად განასახიერა დაწინაურებ. მუშის ტიპი. მთავარი ის არის, რომ მისი ნოვიკოვი სრულიად ბუნებრივი სადა და მტკიცეა. შემდეგ კარგი იყო—გომელაური (ტელესფორ ედმუნდოვიჩი) და კვანტალიანი, მეტად მკრთალად განასახიერა პოეტის როლი—ჭელიძემ.

დადგმა აღებული მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

დ. დ.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი

ზ. შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს კონცერტი

ამ კონცერტის შეფასებაში, განსაკუთრებით უნდა იქნას განხილული ორი ელემენტი: უკრაინის ახალი მუსიკა და თვით შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს ვოკალური შემოქმედება. უკრაინის ხალხური შემოქმედება მუსიკალურ დარგში, მელოდიურად მდიდარი და მოხაზულობით ფრიად ლამაზი, დიდი ხანია იზიდავს გამომკვლევათა ყურადღებას. ამის შესახებ დაწერილა არა ერთი მეცნიერული წერილი. ძველი ფორმებით უკრაინის მუსიკა არა ერთხელ დამუშავებულა და ამის შესამოწმებლად არსებობს მთელი რიგი თვალსაჩინო ნიმუშებისა. ამჟამად უკრაინის მუსიკოსების მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ფრიად გაუმჯობესებულია. უკრაინის მუსიკალურმა კულტურამ მიიღო საშუალება თავისუფალი გაშლისა. უკრაინამ წარმოშვა ამ მოკლე ხანში ახალ კომპოზიტორთა მთელი რიგი. მათ შორის მოიპოვება როგორც ახალი ფორმების მომხრე ჯგუფი, ისე პროლეტარული კომპოზიტორთა წრე, რომელიც იკვლევს არა ფორმას, არამედ თანამედროვე შინაარსს. (სინიცა, როჟკოვი, ბოგდანოვი და სხვ.).

შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს მიზანია უკრაინის ახალგაზრდა მუსიკოსთა შემოქმედების საჯაროთ გამოფენა და პროპაგანდა. ამის მხრივ მისი საკონცერტო მოგზაურობა უნდა ჩაითვალოს ფრიად მიზანშეწონილად, ის ემსახურება მუსიკალურ კულტურას და ღირსია ყოველგვარ დახმარებისა. მართალია, ის ნიმუშები, რომელიც მოვისმინეთ ა. წ. 6 აპრილს ზედმიწევნას ჯერ-ჯერობით დაშორებულნი არიან, ვინაიდან მათ შორის ზოგიერთში სძლევს პრიმიტიულ და ჰარმონიულად ღარიბათ დამუშავებული ეტნოგრაფია, ზოგიერთში კი—ახალი ჰარმონიით იმგვარი გატაცება, რომ იკარგება უკრაინის სიმღერის სტილიური თვისება. მაგრამ მოვისმინეთ იმისთანა ნაწარმოებიც, სადაც უტყუარი ნიჭიერება შეერთებული იყო სტილთან და მხატვრულ გაქანებასთანაც ლისენკო, ბოგდანოვი, სინიცა).

თვით შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს ვოკალური შემოქმედება ვერ ამართლებს ვერც რეკლამას და ვერც სხვადასხვა გაზეთ-ჟურნალების კრიტიკას ამ საგანზე. უეჭველია, რომ შჩეკუნ-კოლომიიჩენკო ლირიკო-დრამატიულ სოპრანოს ხმის პატრონია, უეჭველია ისიც, რომ მისი ხმა მძლავრია და შეიცავს მრავალფეროვან დიაპაზონს, მაგრამ თუ ეს ხმა დამუშავებულია ცნობილ პროფესორის მაზეკის მიერ, გაუგებარია, თუ რად არის ეს ხმა დაშორებული ფენათა სისწორეს და გამაერთიანებელ სისტემას.

შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს ხმის მაღალი ფენები შეიცავს რაღაც „გაზხარულობას“ და ატარებს ყურთა სმენისათვის უსიამოვნო დამალვად ელფერს. (ცენტრის ფენები უფრო სასიამოვნოთ მოგვაჩნია, მაგრამ დაბალი ფენები სრულებით მოულებელია. ლამაზ კანტილენას, ესე იგი შენელებული ხმის სასიამოვნო მოტრიალებას, შჩეკუნ-კოლომიიჩენკოს სიმღერაში ადგილი თითქმის არა აქვს. ვერ მოვისმინეთ მის სიმღერაში აგრეთვე ვერც იტალიანურ სკოლის დამახასიათებელი „პიანო“ (ხმის სრულიადი შენელება), ვერც „ფილირობა“ (შენელება-გაძლიერება), ან კიდევ სხვა ბევრი დამახასიათებელი ხერხები სიმღერის სკოლისათვის. ჩვენის აზრით, უკრაინის სიმღერა იმდენად ლამაზია და ემოციონალურობით გაჟღენთილი, რომ მისი ზეგავლენა მსმენელზე სრულიად დამოკიდებულია ამ ემოციონალურ თვისებათაგან, რომელთა გადმოცემაც მოითხოვს ვოკალურ ხერხს, ხერხი კი დამოკიდებულია სკოლიდან.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრო-კულტურა და ჩვენი სასოფ.-მეურნეობა

სტატიკური და დინამიური ელექტრობა

როგორც სტატიკური (ატმოსფერული), ისე დინამიური ელექტრო-ენერგია დადებითად მოქმედობს მცენარეებზე, მაგრამ უპირატესობა უნდა მიეცეს ატმოსფერულ ელექტრო-ენერგიას, რადგან ეს უკანასკნელი იაფია და მასთან ერთად მცენარეების თესლების ელექტრიზაციისათვის მეტად სასარგებლოა.

პოლენას დაკვირვების თანახმად, მცენარის თესლებზე დადებითად მოქმედობს მხოლოდ ატმოსფერული ელექტრო-ენერგია, დინამიური კი—უარყოფითად. მაგრამ ასეთი დასკვნა სავსებით სწორი არ არის. ყოველ შემთხვევაში ჩემი ცდებიდან ასეთი შედეგები არ მიმიღია.

შეიძლება პოლენამ თავის ცდებისათვის ისარგებლა დიდი ძალის დენით და ეს უკანასკნელი უკარგავს თესლებს აღმოცენების უნარიანობას და კიდევაც ამცირებს მათ წონას.

დინამიური ელექტრო-ენერგია დადებითად მოქმედობს თესლებზე იმ შემთხვევაში, თუ ნასახის აღმოცენების პირველ სტადიაში დენის ძაბვა არ აღემატება ერთ ვოლტს და შემდეგ ზრდისას კი სამ ვოლტს.

თესლების ელექტრიზაცია უნდა სწარმოებდეს შემდეგი წესით: არა გამტარ ჭურჭელში, რომელშიაც ჩაშვებული იქნება ელექტროდები, ათავსებენ საელექტრიზაციო თესლებს. ეს თესლები წინასწარ ოდნავ ისამება, რომ კარგათ გაატარონ ელექტრობა. ასეთი ელექტრიზაცია უნდა სწარმოებდეს რამდენიმე დღე. ეს მანიპულიაცია არა მხოლოდ ადიდებს თესლების აღმოცენების უნარიანობას, არამედ უბრუნებს აღმოცენების უნარს ძველ თესლებსაც.

ელექტრო-ენერგია აჩქარებს თესლში ცილოვან შენაერთების და საერთოდ ყველა სამარაგო მასალის ქიმიურად გარდაქმნას, შლის მის ქსოვილებში მოთავსებულ წყალს, რის გამო ათავისუფლებს ჟანგბადს. ამ ჟანგბადით კი სუნთქავს ნასახი.

საერთოდ ელექტრო-ენერგია დიდათ აჩქარებს მცენარეების ზრდა-განვითარებას და დიდათ ადიდებს მათ მოსავლიანობას.

როგორც ცდებიდან გამოირკვა, მოსავლიანობის გადიდება ელექტრიზაციით შეიძლება საშუალოდ 25 პროცენტით. მაგ., საზღვარგარეთ, ბაღის მარწყვის მოსავლიანობა გადიდდა ელექტრიზაციით 37 პროცენტით, ქართოფილის 15—31 პროცენტით, მუხუდოს—20 პროცენტით.

ელექტრიზაციის სხვადასხვა მეთოდებით მიღწეულია მოსავლიანობის გადიდება 28—62 პროცენტით.

მაკენის დაკვირვებით (კა' ტელ-ნუოვის აგრონომიულ ინსტიტუტში) დაელექტროებულ ვაზის ყურძენი მდიდარია წვენით, რომელშიაც დიდი რაოდენობით არის ხოლმე გლიუკოზა და ნაკლები რაოდენობით კი ორგანიული სიმჟავეები და ფოსფორის სიმჟავე.

დაელექტროებული [illegible] ფესვები უფრო გძელი და მძლავრია, ვიდრე ნორმალურ პირობებში აღზრდილ [illegible]. დაელექტროებული მცენარეები შედარებით იოლად იტანენ გვალვას.

დავიმ თავის ცდებიდან გამოიყვანა შემდეგი დასკვნა: „დადებით პოლიუსთან თესლები აწარმოებენ ენერგიულად აღმოცენებას და უარყოფით პოლიუსთან კი ისინი სავსებით კარგავენ აღმოცენების უნარიანობასაო“. მაგრამ ეს დასკვნა სწორი არ არის. როგორც დადებითი ისე უარყოფითი ელექტრო-ენერგია სასარგებლოა მცენარეების აღმოცენებისათვის და მათ ზრდა-განვითარებისათვის. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათთვის უარყოფითი ელექტრობა უფრო სასარგებლოა.

მეთამბაქოებში შეიძლება გამოყენებული იქნეს ელექტრიზაციის შემდეგი წესი: ნიადაგში ჩაშვებული უნდა იქნეს სპილენძის და თუთიის ფირფიტები და ამ უკანასკნელებიდან წამოსული გამხოლოვებული მავთულები უნდა უერთდებოდენ მცენარის ღეროებს. ამ ელექტრიზაციის დროს დენი უშუალოდ მოქმედობს მცენარეზე (დენი მიდის მცენარის ორგანიზმით). ასეთი ელექტრიზაცია მეტად ენერგიულად უვითარებს მცენარეებს ფოთლებს და ყვავილებს.

საგულისხმოა აგრეთვე ინჟ. ლუკოცევსკის მეთოდით ვაზის ნერგის ელექტრიზაცია დიდი ძალის დენით. შედეგი მისი არის ვაზის ენერგიული ზრდა.

დღეს, შესაძლოა აგრეთვე რადიო-გადამცემ მოწყობილობათა ელექტრო-მაგნიტურ ტალღების უტილიზაცია მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის.

ცხადია, რომ ელექტრო-კულტურაში ატმოსფერულ ელექტრობის უტილიზაციას უნდა მიექცეს უპირატესობა, რადგან მისი მოპოვება შეიძლება უფასოდ (თუ რასაკვირველია მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხარჯებს, რომელსაც მოითხოვს ამ ელექტრობის დამჭერ მოწყობილობათა აგება) და გარდა ამისა, მისი გავლენა მცენარეებზე უფრო დადებითია, ვიდრე დინამიურის, რომელიც მასთან ერთად ძვირია.

დღემდის წარმოებული ცდები ელექტრო-კულტურაზე გვაძლევს საშუალებას გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ახლო მომავალში ფიზიკა შეასრულებს სასოფლო მეურნეობაში იმავე დანიშნულებას, რასაც დღემდის ასრულებს, იმავე დარგში—ქიმია.

საბჭოთა კავშირში, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდების საკითხი პირველ რიგში დგას, ფიზიკური მეთოდები მოსავლიანობის გასადიდებლად ახლო მომავალში მიიქცევს საერთო ყურადღებას. ეს საკითხი მოითხოვს მის სავსებით შესწავლას, რისთვისაც საჭიროა ამ მიმართულებით, პირველ რიგში, სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაობა, რომ ყველა საკითხები მცენარეების ელექტრიზაციისა სავსებით იქნეს გამორკვეული ჩვენს კლიმატიურ პირობებში.

აგრ. ჭ. ქულენჯერიძე.

მარკონის ახალი გამოგონება

მარკონის კომპანია (ინგლისშია) ახლო ხანში შეუდგება სურათების გადაცემას მანძილზე ე. წ. „მიმართული“ სხივების საშუალებით. სურათების გადამცემი ახალი აპარატი არსებითად არ განსხვავდება სურათების გადამცემ ჩვეულებრივ აპარატისაგან (რომლის აღწერა რამდენჯერმე გვქონდა მოთავსებული ჩვენს გაზეთში). გაუმჯობესება მდგომარეობს ე. წ. „მიმართული“ (ერთი მიმართულებით გატარებული) სხივების გამოყენებაში, რაც შესაძლებლად ხდის სურათების გადაცემას ძლიერ შორს მანძილზე მინიმალური ენერგიის დახარჯვით. გადასაცემ სურათს აპატარავებენ (ფოტოგრაფიულად) ანაბეჭდს აკრავენ რგოლზე, რომელიც თანაბარი სისწრაფით ბრუნავს. რგოლის ბრუნვის დროს სურათზე ეცემა სინათლის სხივი. როგორც კი სხივი მოხვდება სურათის შავ ადგილზე, გადამცემ აპარატში აღიძვრება ელექტრო-დენი, რომლის ტალღები იგზავნება სივრცეში. მიმღებ აპარატში არის ასეთივე რგოლი, რომელზედაც დახვეულია სინათლისადმი მგრძნობიარე ქაღალდი. გადმოცემული ელექტრო-ტალღები ქაღალდზე აღინიშნება წერტილების ჯგუფის სახით. მიღებულ სურათს ამზადებენ და ადიდებენ ნორმალურ ზომამდე.

სპეციალისტების აზრით, გადაცემის ახალი ხერხი საბოლოოდ განდევნის გადაცემას მორზეს სისტემით, რომლითაც დღემდე სარგებლობდნენ.

ახალი სისტემა გაცილებით უფრო ეკონომიური და ნაყოფიერია, ვიდრე მორზეს სისტემა. აი მაგალითიც. ახალი სისტემით ადვილად შეიძლება გადაცემა შორ მანძილზე მთელი გაზეთის ფურცლის. მისი გადაცემა დაპატარავებული სახით მოითხოვს რამდენიმე წუთს და დაჯდება 500 მანეთი. ასეთივე ფურცლის გადაცემა მორზეს აპარატით კი მოითხოვდა რამდენიმე საათს და აუარებელი ფული დაჯდებოდა.

„ჰელიკოჟირო“

ინგლისის საავიაციო უწყება აშენებს სრულიად ახალი სახის საფრენ აპარატს, რომელსაც, როგორც მისი გამომგონებელი ამტკიცებს, შეუძლია სრულიად ვერტიკალურად აფრენა და დაშვება მიწაზე და აგრეთვე სრულიად უძრავად „გამოკიდება“ ჰაერში. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, თითქო ამ აპარატის მოდელი რამდენჯერმე წარმატებით გაფრინდა: სრულიად ვერტიკალურად მოსწყდა მიწას და რამდენიმე წუთი დაჰყო ჰაერში. აპარატის გამომგონებელია იტალიელი ვიტტორიო ისაკო. მან თავის მანქანას უწოდა „გელიკოჟირო“. აპარატი შესდგება ჩვეულებრივი აეროპლანის კორპუსისაგან, რომელზედაც მიმაგრებულია ოთხი მბრუნავი ფრთა. თავისებური „ქარის წისქვილი“, რომელიც აპარატს მიაფრენს ზევით. გარდა ამისა, აპარატს აქვს ჩვეულებრივი პროპელერი (საჰაერო ხრახნილი), რომლის საშუალებითაც მას შეუძლია ჰორიზონტალური მიმართულებით ფრენა.

300-ჯერ უფრო იაფად, ვიდრე უცხოეთში

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის საცდელი ლაბორატორიის (მოსკოვში) სამეცნიერო მუშაკმა ამხ. ი. ა. ალექსეევმა გამოიგონა განსაკუთრებული ხსნარი, რომელიც ელექტრო-მათბობ ხელსაწყოებში ასრულებს ნეიზილბერის მავთულისა და სხვა ნადნობების მაგიერობას, რომლებიც წინად უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ამხ. ალექსეევის მიერ დამზადებული ხსნარი ღირს 10 კაპ. და ელექტრო-მათბობ ხელსაწყოებს აიაფებს 200—300-ჯერ, ვინაიდან უცხოეთიდან შემოტანილი ნეიზილბერის მავთული ღირს 30 მანეთი.

ამხ. ალექსეევის გამოგონების გამოყენება შეიძლება ფეჩების, საშრობი შკაფების, ტრამვაის ვაგონების გასათბობათ ელექტრონით და სხვ.

სურათზე ამხ. ალექსეევი ცდებს ახდენს ფ.-ტ. კომისარიატის ლაბორატორიაში.

ახალი საავტომობილო რეკორდი

ინგლისელმა სპორტსმენმა სიგრევმა დაამყარა ავტომობილის სისწრაფის ახალი რეკორდი. მან მოახერხა თავისი ავტომობილის—„ოქროს ისარის“ წაყვანა 350 კილომეტრის სისწრაფით საათში. ამრიგად წინანდელი რეკორდი, რომელიც ამერიკელ სპორტსმენ როჩს ეკუთვნოდა გადაცილებულია 30 კილომეტრით.

ახალი რეკორდის დამყარებას წინ უძღოდა გაძლიერებული მოსამზადებელი მუშაობა. ავტომობილი, რომლითაც სიგრევმა თავისა რეკორდი დაამყარა, თითქმის ერთი წლის განმავლობაში მზადდებოდა და რამდენიმე ასეული ათასი მანეთი დაჯდა. ავტომობილზე დადგმულია ორი საავიაციო ტიპის მოტორი, რომელთა სიმძლავრე 100 ცხ. ძალას უდრის. ავტომობილს ისეთი ფორმა მისცეს, რომ ჰაერს მისთვის რაც შეიძლება ნაკლები წინააღმდეგობა გაეწია. მას აქვს ისრის ფორმა და აქედან წარმოიშვა მისი სახელწოდება „ოქროს ისარი“.

დიდი სიძნელეები ხვდა წილად სიგრევს. ამ სიძნელეების შესახებ წარმოდგენას მივიღებთ, თუ გავიხსენებთ, რომ სპორტსმენის მიერ მიღწეულ სისწრაფის დროს ავტომობილი წამში გადის 100 მეტრამდე, ასეთ პირობებში (კოტაოდენი შეცდომის დაშვება მართვის დროს სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს. თუ შოფერი რამდენიმე გრადუსით გადასცდება სწორ კურსს, ავტომობილი ერთ წამში რამდენიმე ათეული მეტრით გასცილდება ვიწრო ზოლს, რომელიც გადასარბენი გზის შუა ადგილს წარმოადგენს. ავტომობილის მართვის გასაადვილებლად, სიგრევმა თავის მანქანაზე დასდგა ოპტიკური მოწყობილობა, იმის მსგავსი, როგორითაც სარგებლობენ თოფის სასროლათ ნიშანში.

საავტომობილო მრეწველობის თანამედროვე პირობებში რეკორდებმა სრულიად დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. ის გადაიქცა სარეკლამო საშუალებათ სხვადასხვა საავტომობილო ფირმებისათვის, რომლებსაც სასტიკი ბრძოლა აქვთ ერთმანეთთან ბაზრების დასაპყრობათ. სიგრევის სარეკორდო გადარბენის ხარჯები იკისრა ინგლისის ცნობილმა ფირმა „სანბიმ“-მა, რომელმაც საეჭვოა, რომ დიდხანს შეინარჩუნოს ეს რეკორდი. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან მეორე ცნობილი სპორტსმენი კემპბელი ემზადება სისწრაფის ახალი რეკორდის დასამყარებლად და ამ მიზნით მიემგზავრება სამხრეთ-აფრიკაში, სადაც ქ. კეპტოუნის ახლო აღმოაჩინეს მშვენიერი ბუნებრივი სასპორტო მოედანი.

„ხე—ძროხა“

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ბუნების მეტყველმა და გეოგრაფმა ალექსანდრ გუმბოლდტმა ვენეცუელას (სამხრეთ-ამერიკაშია) მთებში მოგზაურობის დროს იპოვა შესანიშნავი ხე, რომლის კანიდან, გაჭრის შემდეგ, რძის მაგვარი თეთრი წვენი გადმოდიოდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ რძეს სვამდნენ ან ურევდნენ ფქვილში. მათი განცხადებით, ეს წვენი ძლიერ სასარგებლოა კუჭის ავადმყოფობის დროს.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ამ მცენარის წააწყდა ამერიკელი მეცნიერი ჰენრი პიტიე.

ამ რამდენიმე წლის წინათ ამ მცენარეს დაწვრილებით გაეცნო პროფ. სამუელ რეკორდი, რომელიც გვატემალაში და გონდურასში (ცენტრალურ ამერიკის რესპუბლიკებშია) იყო გაგზავნილი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მიზნით. როცა ტროპიკულ ტყეში პროფესორის მითითებით შეუდგნენ ერთი ხის მოჭრას, ხის ტანიდან წამოვიდა რძის მაგვარი წვენი. ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომელიც პროფესორს ახლდა, აუხსნა მას, რომ ეს არის „ხე—ძროხა“. პროფესორს ძლიერ მოეწონა ხის რძე და ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ხმარობდა სასმელად.

ზარმაცი ფუტკრები

კორნუელის (შეერთებულ შტატებშია) უნივერსიტეტის პროფესორმა ლოიდ ჟოტსონმა გამოაქვეყნა შრომა, რომელიც დაფუძნებულია მის 15 წლის მუშაობაზე ფუტკრის ცხოვრების შესასწავლად. პროფ. ჟოტსონი უარყოფს ფუტკრების შესახებ გავრცელებულ აზრს—მათი შრომის მოყვარეობის შესახებ. ამერიკელი მეცნიერის აზრით, ფუტკრები დიდი ზარმაცებია. იმის მაგიერ, რომ მთელი დღის განმავლობაში იფრინონ თაფლისათვის, როგორც წინად ფიქრობდნენ, ფუტკარი 5—10-ჯერ თუ გასცილდება თავის სკას, დანარჩენ დროს კი უქმად ატარებს.

მაგრამ პროფ. ჟოტსონი ამასთანავე აღნიშნავს, რომ ფუტკრებს შორის არის აგრეთვე უფრო შრომის მოყვარე ჯიშები. ჟოტსონს იმედი აქვს, რომ ხანგრძლივი ცდების შემდეგ შესძლებს ახალი, შრომის მოყვარე ჯიშის ფუტკრების გამოყვანას.

ბერდის აღმოჩენები

ამერიკელ ბერდის ანტარქტიკულმა ექსპედიციამ უკვე გამოიკვლია ტერიტორია, სივრცით 40.000 კვ. მილი. გამოკვლევა სწარმოებდა უმთავრესად აეროპლანების საშუალებით. მთაგრეხილს, რომელიც როსის მიწაზე (ამ მიწას ინგლისი თავისად თვლის) აღმოაჩინა ბერდის ექსპედიციამ, უწოდეს როკფელერის მთაგრეხილი (ექსპედიციის მიერ ე. წ. როკფელერის ფონდიდან მიღებული სუბსიდიის აღსანიშნავად). ტერიტორიაზე, რომელიც როსის მიწის ტერიტორიაზე მდებარეობს და რომელსაც ბერდმა თავისი ცოლის საპატივსაცემოდ „მერი ბერდის მიწა“ უწოდა, აღმოჩენილია მეორე მთაგრეხილი, რომელთა ცალკე მწვერვალების სიმაღლე 8—10.000 ფუტს უდრის.

სასარგებლოა, თუ არა სინათლით მკურნალობა

უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო საექიმო წრეებში კამათია იმის გარშემო, სასარგებლოა თუ არა სინათლით მკურნალობა. ზოგიერთ გამოჩენილ ექიმებს საეჭვოდ მიაჩნია ხელოვნურ წყაროდან (მაგალითად სინდიყ-ქვარცის ლამპიდან და სხვ.) მიღებული ულტრა-იისფერ სხივების სამკურნალო მოქმედება. ექიმთა ჯგუფი კიდევ ენერგიულად უარჰყოფს იმ ავადმყოფობათა მკურნალობას სინათლით, რომელთა წინააღმდეგ მედიცინას მოეპოვება უფრო იაფი, შესწავლილი და ნაცადი საშუალებები. ეს გამაფრთხილებელი ხმები წარმოადგინენ ბუნებრივ რეაქციას სინათლით მკურნალობით იმ საყოველთაო გატაცების წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო ომის შემდგომ წლებში და სარგებლობასთან ერთად საკმაო ზიანიც მოიტანა. დისკუსიას საფუძველი ჩაუყარა ლონდონის „საექიმო გამოკვლევათა ინსტიტუტმა“, რომელმაც გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც სადაოდ თვლის სინათლით მკურნალობის დადებით შედეგებს. მოხსენება უდაოთ თვლის ულტრა-იისფერი სხივებს მხოლოდ ერთი ზეგავლენას ორგანიზმზე—ადგილობრივ ჰიპერემიას (სისხლის მოქცევას). მაგრამ ამ შედეგის მიღწევა, მომხსენებლის სიტყვით, უფრო ადვილად შეიძლება სპეციალური კომპრესის გაკეთებით. უდავოა ულტრა-იისფერი სხივების დადებითი მოქმედება საჭმელში ვიტამინ D-ს ნაკლებობასთან დაკავშირებულ ავადმყოფობათა (მაგ. რახიტი და სხვ.) მკურნალობის დროს. მაგრამ, როგორც მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, ავადმყოფს, რომელიც ვიტამინ D-ს ნაკლებობას განიცდის, შეუძლია ამ ვიტამინის განუსაზღვრელი რაოდენობით მიღება თევზის ქონის საშუალებით, რომელიც 200-ჯერ იაფი ჯდება, ვიდრე ულტრა-იისფერი სხივებით სარგებლობა.

ინსტიტუტის მოხსენებამ დიდი იერიშები გამოიწვია. მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებები და ექიმები, ეყრდნობიან რა პრაქტიკას, თავგამოდებით იცავენ სინათლით მკურნალობას, როგორც მეტად ძვირფას და ზოგჯერ ერთად-ერთ საშუალებას ზოგიერთ ავადმყოფობასთან ბრძოლაში. მეტად კარგ შედეგებს იძლევა სინათლით მკურნალობა კანის ქლექის, ლიმფატიური ჯირკვლების და ძვლების მკურნალობის დროს. სინათლით მკურნალობა დადებითი შედეგს იძლევა აგრეთვე ქრონიკული რევმატიზმის, ყელის ქლექის, კანის ზოგიერთ ავადმყოფობათა და სხვ. მკურნალობის დროს.

ინსტიტუტის შეხედულებასაც აღმოუჩნდა დამცველები და გაცხოველებული კამათი გრძელდება.

დროის მიკროსკოპი

(წამის ერთი მემილიონედის გაზომვა)

დროის გასაზომ საუკეთესო ხელსაწყოებს, რომლებითაც სარგებლობენ თანამედროვე ობსერვატორიებში, შეუძლიათ წამის ერთი მეასედის გაზომვა. იმ დროს, როცა ჩვენს თვალს არ შეუძლია 3 სურათზე მეტის გარჩევა წამში—სურათების მეტი რაოდენობა ჩვენს თვალში ერთდება ერთ შთაბეჭდილებათ.. ყური ამ მხრივ უფრო მახვილი აპარატია—იგი აღინიშნავს ხმათა რყევის ისეთ განსხვავებასაც კი, რომელთა ხანგრძლივობა წამის რამდენიმე მეათასედს უდრის. ამ საზღვარს გადააჭარბეს ზოგიერთმა ელექტრო-ხელსაწყოებმა, რომლებიც აღინიშნავენ მოვლენებს, რომელთა ხანგრძლივობა წამის მეათასედ ნაწილს უდრის.

თავისი გრძნობიერების მიხედვით არაჩვეულებრივი აპარატი დაამზადეს და გამოსცადეს ამას წინად აახენის (გერმანია) ერთ-ერთ ლაბორატორიაში პროფ. როგოვსკიმ და დრ-მა ტამმა.

ეს აპარატი წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა გაუმჯობესებულ ოსცილოგრაფს— ელექტრო-დაცლის რყევის ჩამწერ ხელსაწყოს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ელექტრო-ლაბორატორიებში. ასეთ ელექტრო-დაცლათა გაზომვა და ანალიზი წარმოადგენს განსაკუთრებულ, არა მარტო წმინდა სამეცნიერო (ელვა), არამედ ფრიად მნიშვნელოვან პრაქტიკულ ინტერესს გამოყენებით ელექტრო-ტეხნიკაში (ზოგიერთი მოვლენები მაღალვოლტიან გადაცემებში, განმხოლოებულ მასალების გამოცდა და სხვ.).

იმ დროს, როცა საუკეთესო ოსცილოგრაფები იძლევა ისეთი მოვლენების გაზომვის საშუალებას, რომელთა ხანგრძლივობა წამის ერთ მეასიათასედზე ნაკლები არ არის, როგოვსკის ოსცილოგრაფი გარკვევით აღბეჭდავს მოვლენებს, რომლებიც წამის ერთ მემილიონედ შუალედებში ხდება.

ამ ოდენობის სიმცირეზე ერთგვარ წარმოდგენა გვექნება, თუ გავიხსენებთ, რომ სინათლის სხივი, რომელიც წამში 300.000 კილომეტრს გადის, ამ დროის განმავლობაში გაივლის მხოლოდ ერთ მესამედ მეტრს.

აპარატის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ე. წ. ბრაუნის კატოდის მილი. მის შიგნით მოთავსებულ ელექტროდებით და ელექტრო-მაგნიტთა სისტემით, რომლებიც გზიდან აცდენენ მილში მიმავალ ელექტრონთა ნაკადს, უკანასკნელი თავის გზას აღბეჭდავს განსაკუთრებულ ფოტოგრაფიულ ფირფიტზე.

ამ შესანიშნავ ხელსაწყოს მართლა რომ „დროის მიკროსკოპი“ შეიძლება ეწოდოს და იგი, ეჭვს გარეშეა, ფიზიკოსებს გადაუშლის ჯერ კიდევ შეუსწავლელ მოვლენათა რიგს ელექტრობის დარგში.

მუშის გამოგონება

მუშა-ელექტრიკმა პიტსიმ (მოსკოვში) გამოიგონა აპარატი, რომელიც ელექტრო-დენით ჰკლავს მწერებს. მოსკოვის საგუბერნიო სამიწადმოქმედო განყოფილებამ მოახდინა ამ აპარატით სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ცდები, რომლებმაც დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო.

სასამართლო

მუშკოოპის საქონელი ჩარჩის ხელში

— შენც იხეირე და მეც მახეირე! არ ვიცი, ვერ გამიგია, რას გაძლევს პატიოსნად და სინდისიერად მუშაობა? ხალხი კეთდება. შენს ადგილას რომ ვიყო, აქამდე მილიარდერი გავხდებოდი... მთავარია თეთრეული, შენც კარგათ იცი რანაირი გასავალი აქვს ბაზარზე!

— ეს ყველაფერი კარგი! აგიტაცია საჭირო არ არის. მე გადმოგცემ ჩეკებს, ოღონდ ეცადე ხშირ-ხშირად არ შემოხვიდე მაღაზიაში. ერთ დღეს რომ შენ მოხვალ, მეორე დღეს სხვა გამოგზავნე; ან ცოლი, ან ვინმე ნაცნობი. ჩეკებს მე დაგიმზადებ და გადმოგცემ. საქონელი შენ უნდა გაასაღო, რაც შეიძლება მაღალ ფასებში.

— ეს მე მკითხე,—უპასუხებს მუშკოოპის № 110 მაღაზიის ნოქარს იოსებ სიმონისძე ამირაჯიბს სპეკულიანტი ალექსანდრე ქურჩიშვილი.

ქურჩიშვილი და № 110 მაღაზიის ნოქარი ამირაჯიბი დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. პირველი მოთხოვნილების ფართლეულის მიწოდება ჩარჩ ქურჩიშვილისათვის მთავარი საზრუნავი საგანი იყო ამირაჯიბისათვის, რადგან იგი დიდ საჩუქარს და „სარფას“ მოელოდა ქურჩიშვილისაგან.

სპეკულიანტ ქურჩიშვილის და ნოქარ ამირაჯიბის შეთანხმებული „მუშაობა“ დაიწყო გასული წლის ნოემბრიდან. № 110 მაღაზიაში ასეულ მეტრობით ინახებოდა პირველი მოთხოვნილების თეთრეული და სხვა ფართლეული კერძო გადამყიდველ ქურჩიშვილისათვის, რომელსაც გაჰქონდა ეს საქონელი კერძო ბაზარზე და 20—30 პროცენტით აწეულ ფასებში ჰყიდდა.

რომ ეჭვი არ აეღოთ სპეკულიანტ ქურჩიშვილზე, უკანასკნელმა მუშკოოპიდან საქონლის გამოსატანად დაიქირავა „მანდილოსნები“ ბალდასაროვა და მარტიროსოვა, რომელთაც გასამრჯელოს სახით აძლევდა სხვადასხვა საჩუქარს.

მუშკოოპის № 110 მაღაზიიდან ყოველდღე გადიოდა კერძო ბაზარზე 100—150 მეტრამდე პირველი მოთხოვნილების ფართალი და ეს იმ დროს, როცა მუშა-მოსამსახურეების საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე თავს იმტვრევდნენ მუშკოოპის გამგეობის წევრები.

ბოროტმოქმედება მალე გამოაშკარავდა.

ამირაჯიბი და მისი მოკავშირე სპეკულიანტი ქურჩიშვილი გამსახლში არიან მოთავსებული.

მათ გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

კოოპზე ნაცარში ჩაუვარდათ

ამბავი მოხდა გასულ წელს 17 ივლისს ზახვის თემში (ოზურგეთის მაზრა).

არტემ ასლანისძე თენეიშვილი და გრიშა ხარიდონისძე ნიკოლაიშვილი ერთმანეთს შეუთანხმდნენ იმაში, რომ ბევრი ფულით უფრო ადვილია ცხოვრება, ფულის შესაძენად მათ ბევრი საშუალება გაზომეს და ყველაზე უფრო მიზანშეწონილად (!) სცნეს თავდასხმის მოწყობა ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობაზე.

17 ივლისს ღამით საკრედიტო ამხანაგობის მოლარეს, რომელიც ტკბილ ძილში იყო იმ დროს, შემოესმა ხმა: „თემკომის მდივანი გაბარებს, სასწრაფოთ უნდა გამოცხადდეთ!“

მოლარე სანდრო ნიკოლაიშვილი მაშინვე წამოდგა ზეზე, ტანთ ჩაიცვა და „მოციქულს“ გაჰყვა.

როგორც კი დაიმარტოხელეს მოლარე, თავდამსხმელებმა იარაღი იშიშვლეს და ასეთი სიტყვებით მიმართეს მოლარეს: ეხლავე გაგვიღე საკრედიტო ამხანაგობის სალარო და რაც ფულია შიგ ჩაგვაბარე, თორემ ხომ იცი სიკვდილს ვერ ასცდები“.

— რად მემუქრებით. მე თქვენი ხელისშემწყობი ვარ. ოღონდ ცოტა მეც გამინაწილეთ. ხომ იცით, თქვენ თუ სალარო ჩემი ხელით გაგიღეთ, თქვენ მიიმალებით და მე ჩამაჯენენ. სალაროში მაქვს 6.000 მანეთამდე. აქედან ერთი ათასი მანეთი ჩემი ცოლ-შვილისათვის გადასდეთ, ნუ დამილუპავთ ოჯახს,—მოლარე სანდრო ნიკოლაიშვილი ცდილობს მოალბოს თავდამსხმელთა მრისხანება.

— აი, ყოჩაღ! არ მოველოდით! ათასი კი არა ორი ათასი იყოს შენი ცოლ-შვილისათვის!—თავდამსხმელებმაც „ქონი მოუსვეს“ თავზე ნიკოლაიშვილს.

ამ ლაპარაკში უკვე მიადგნენ საკრედიტო ამხანაგობის კარებს.. მოლარემ გააღებინა კარები დიასახლისს, რომლის ბინაშიაც მოთავსებულია საკრედიტო ამხანაგობა. კარი გაიღო თუ არა მოლარე შეიჭრა ოთახში, ჩაიკეტა კარები და მორთო ყვირილი! მოლარეს აჰყვა დიასახლისი, რომელმაც ცივი ხმით კივილი დაიწყო: „გვიშველეთ, თავს დაგვესხნენ“.

იმ წუთშივე ფეხზე დადგა ადგილობრივი მილიცია. თავდამსხმელები გაიქცნენ, მაგრამ დამალვა ვერ მოასწრეს. ორივე შეპყრობილ იქნა.

თავდამსხმელებს არტემ თენეიშვილს და გრიშა ნიკოლაიშვილს მიესაჯათ რვა-რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში მათი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი გაუნახევრა.

მერ.

შემთხვევები

გვამის პოვნა

ვერის ახალ გზაზე ხევში იპოვეს ხის ყუთი სიგრძით ნახევარი მეტრი. ყუთში აღმოჩნდა ახლად დაბადებული, ორი ბავშვის გვამი მამრობითი სქესისა. გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

— ორთაჭალაში მტკვრის პირას იპოვეს დამხრჩვალი მამაკაცის გვამი, დამხრჩვალი აღმოჩნდა გიორგი სარქისისძე მაილოვი.

დაჯახება

პუშკინის ქუჩაზე „ზაკავტოპრომტორგ“-ის ავტო-მანქანა № 152, რომლებსაც მართავდა შოფერი ბიქტორ კოდისოვი, დაეჯახა არჩილ ალექსანდრესძე დეკანოზიშვილს და მსუბუქად დააშავა.

— ავტო-მანქანა № 14, რომელსაც მართავდა შოფერი გიორგი გვრიტიშვილი, გლეხთა სახლის პირდაპირ დაეჯახა კარლო მოსესძე სარჯველაძეს და დააშავა. სარჯველაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

— კვირას, 7 აპრილს, ტრამვაის ვაგონი კახეთის ქუჩაზე დაეჯახა სამი წლის საათო უსუფ-კიზის, რომელსაც გადასჭრა მარცხენა ფეხი, ბავშვი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. გამოძიება სწარმოებს.

თვითმკვლელობის განზრახვა

ზაქარია გრიგოლისძე ქართველიშვილმა თვითმკვლელობის მიზნით ტანსაცმელზე გადაისხა ნავთი და ცეცხლი წაიკიდა. ყვირილზე მისულმა მეზობლებმა ქართველიშვილი დაწვას გადაარჩინეს.

ახირებული ხუმრობა

კვირას, 7 აპრილს, ვიღაც უცნობმა მტკვარში გადააგდო მუხრანის ხიდთან მდებარე „ბუდკა“ სხვადასხვა ნივთებით. ნივთების ნაწილი აღმოჩენილია.

დაჭრა

ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით დასჭრა იოსებ ალექსანდრესძე ჩუბინიძე.

— გუშინწინ, დილის 11 საათზე, ვიღაც ბოროტგამზრახველმა რუსის ქუჩის კუთხეში რევოლვერის ტყვიით მძიმედ დასჭრა მარიამ ერთატის ასული ჟორჟოლიანი.

— ოგანეს ხაჩატურისძე პეტროსიანმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა მუმედ არუთინისძე პეტროსიანი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ხულიგანი

ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ერთი თვით დააპატიმრა გრიგოლ ვასილისძე ჯალაღანიძე (ალმასკომის კომუნალურ განყოფილების თანამშრომელი).

გამოტყუება

ცხინვალიდან ჩამოსულ გლეხს—ნიკოლოზ თედეევს ახალ ბაზარზე ამაიკ არუთინისძე სტეფანიანცმა აფერისტული გზით გამოსტყუა 41 მანეთი. სტეფანიანცი დაპატიმრებულია.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა დავიშ ავდო-ოღლი და ალექსი გიორგისძე კოხაშვილი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მიხეილ ფომინის ბინა (ჭავჭავაძის ქ., 12), წაიღეს 500 მანეთის ნივთები. გაქურდეს პურის საცხობი (კომუნალური ქ., 39), წაიღეს სამი ფუთი ფქვილი.—ალექსანდრე ეძვთუმანიძეს ტრამვაის ვაგონზე ასვლისას ჯიბიდან ამოაცალეს 40 მანეთი.—ოგანეს სპექტორის ბინიდან (ძერჟინსკის ქ., 1) მოიპარეს 150 მანეთის ნივთები.—არშაკ საფარიანს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები.

მდინარეების დონე

კვირას თბილისში მდ. მტკვარმა მოიმატა 42 სანტიმეტრით და 178 სანტიმეტრიდან მიაღწია 220-მდე. ორშაბათს დილიდან წყალი მდინარეში თანდათანობით დაიწყო მატება და 12 საათისათვის მდინარის დონემ მიაღწია 250 სანტიმეტრს.

თბილისში მიღებული ცნობებით, მდინარის დონეს თანდათანობით მატება ემჩნევა ახალდაბასა და გორში.

მდ. ლიახვის დონემ ქ. ცხინვალში მიაღწია 120 სანტიმეტრს. ლიახვის დონე მაქსიმალურათ ადიდებისას ცხინვალიდან აღწევს 183 სანტიმეტრს.

დასავლეთ საქართველოდან მიღებული ცნობებით, მდინარეებს იქაც ეტყობათ ადიდება.

ნიაღვრები თბილისში

კვირას, 7 აპრილს, საღამოს 5-6 საათზე თბილისში მოვიდა კოკისპირული წვიმა, რის გამო ქალაქის ქუჩებში დიდი ნიაღვარი მოვარდა. ქალაქის ზოგიერთი ქუჩები სავსებით წყლით დაიფარა.

საბჭოთა და ეორისის ქუჩაზე დადგა ტბა, რომლის სიღრმე ნახევარ არშინამდე აღწევდა.

ნიაღვარმა მოსილა რუსთაველის პროსპექტზე დავითის მთიდან ჩამომავალი ქუჩები, რიყე, დიდუბე. ლენინის რაიონის და ავლაბრის ზოგიერთი ქუჩები და სილითა და ხრეშით ამოავსო ტრამვაის [illegible] დიდუბეში და ლენინის რაიონში.

ლენინის რაიონში [illegible] ვონე ჩაეფლა სილაში. მათი ამოღებ[illegible] და გუშინ დილით.

დაზიანებულ ტრამვაი[illegible] შესაკეთებლად სასწრაფოდ გამოიწვიე[illegible] ტატები ტრამვაის სახელოსნოდან.

ტრამვაის მოძრაობა დიდუბეში და ლენინის რაიონში განახლდა 8 აპრილს დილით, ხოლო საბჭოთა ქუჩაზე კი გუშინწინ ნაშუაღამევს.

ნიაღვარი გაგრძელდა დაახლოვებით 25 წუთს.

ნიაღვარმა ჩამორეცხა ქალაქის მახლობელი ფერდოები და დააზიანა ზოგიერთ ადგილას გაშენებული ახალი ტყეები.

ეორესის ქ., № 30 მდებარე მუშკოოპის საწყობი წყლით აივსო. წყალი შეიჭრა აგრეთვე კუბანის ქუჩაზე № 3 მდებარე სარდაფში. დიდუბის ქუჩაზე № 23 მდებარე სახლში და „სოფლის კავშირის“ საწყობში (საბჭოთა ქ., 203).

სასწრაფოდ გამოძახებულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმებმა მილებით ამოქაჩეს ხსენებულ ბინებსა და სარდაფებში შეჭრილი წყალი.

ნიაღვართ გამოწვეული ზარალის რაოდენობა ირკვევა.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

კვირას, 7 აპრილს, მოსკოველების წინააღმდეგ გამოვიდა თბილისის მელითონეთა გუნდი.

მელითონეებმა სწრაფი ტემპით დაიწყო თამაში და მოსალოდნელი იყო, რომ შეჯიბრება საინტერესოდ განვითარდებოდა. მაგრამ ჩქარა მელითონეები უხეშ თამაშზე გადავიდნენ, რითაც თვითონვე დაზარალდნენ: მსაჯმა საჯარიმო დარტყმით (პენალტი) დააჯარიმა ისინი და ამას გარდა მინდვრიდან გააძევა ერთი მოთამაშე, რამაც საგრძნობლად შეასუსტა მათი სიმტკიცე. ამით ისარგებლეს მოსკოველებმა და თამაშის პირველ განყოფილებაში სამი ბურთი გაატარეს მელითონეების კარებში, თავის ბადეში კი არ მიუღიათ არც ერთი.

მელითონეებს მეორე ტაიმშიაც 10 კაცით უხდებოდათ თამაში 11 წინააღმდეგ (მსაჯმა სცადა გაძევებული მოთამაშის დაბრუნება, მაგრამ სტუმრებმა ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს); მიუხედავად ამისა ისინი წარმატებით იგერიებდნენ მოსკოველების ყველა იერიშებს და ხშირად თვითონაც მძლავრ შეტევაზე გადადიოდნენ.

ტაიმის ბოლომდე გუნდებმა გაიტანეს თითო ბურთი და მატჩი დამთავრდა 4:1 მოსკოვის „დინამო“-ს სასარგებლოდ.

მოსკოველების მხრიდან ამ შეჯიბრებაში თამაშობდა ოთხი სათადარიგო მოთამაშე.

მელითონეების მხრიდან თამაშობდნენ: **დ. ცომაია, მატინენკო, ტაჩილინი, გონელი, ალექსეევი, სიხარულიძე; ქებაძე; მაჩაბელი; იამშანოვი, მესხიძე და ბელიენკო.**

ძალზე სუსტად სჯიდა შეჯიბრებას ამხ. **კუზნეცოვი.** მისი უტაქტიკობის გამო შეჯიბრება კინაღამ ჩაიშალა. ჩვენის აზრით, მოთამაშის გაძევება მინდვრიდან—ეს უკიდურესი ზომაა, რომელსაც უნდა მიმართოს მსაჯმა იმ შემთხვევაში, როდესაც მოთამაშის წესიერ კალაპოტში ჩაყენების ყველა სხვა საშუალებები ამოწურულია. ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია წინასწარ ზომების მიღებას. საუკეთესო მოთამაშის მინდვრიდან გაძევებამ ფიზიკურად დაასუსტა მელითონეების გუნდი და ხელი შეუწყო მის დამარცხებას.

მსაჯი, რომელიც არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობს მოთამაშეებს შორის, დაშვებული არ უნდა იქნეს საქალაქთაშორისო შეჯიბრებაზე.

ვ—ნი.

ხვალ, 10 აპრილს, მოსკოველებთან თამაშობს თბილისის „დინამო“, ხოლო 12 აპრილს—საქართველოს ნაკრები გუნდი („დინამო“). ნაკრებ გუნდში ბათომის „დინამო“-დან ითამაშებენ **კასპარიანი, ანიკინი და აბაშიძე.**

ბიბლიოგრაფია

ს. ეული—„კომუნა საქართველო“

ამხ. სანდრო ეულს, როგორც პროლეტარულ მწერალს, უკვე საკმაოთ იცნობენ. მის შემოქმედებას არ ახასიათებს წვრილ-ბურჟუაზიული და ნაციონალისტური მოტივები. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს არის სანდრო ეულის უდიდესი ღირსება.

იდეოლოგიურ სიმტკიცეს პროლეტარული მწერლის შემოქმედებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამის გარეშე შეუძლებელია პროლეტარულ მხატვრულ შემოქმედებაზე ვიმსჯელოთ სერიოზულად.

„კომუნა საქართველო“ იდეოლოგიურად გამართლებული ნაწარმოებია. აქ ყველაზე უკეთესად მოჩანს ს. ეულის შემოქმედების იდეოლოგიური სიმტკიცე. წიგნში მოთავსებულია სულ 16 ლექსი, დაწერილი სხვადასხვა დროს, მაგრამ სათანადოთ შესწორებული და დამუშავებული ცალკე გამოცემისათვის.

ავტორი ცდილობს მოგვცეს საქართველოს სურათი, დაწყებული „წარსულიდან“ და „კომუნა საქართველო“-თი დასრულებული.

რასაკვირველია, ეს მეტის მეტად სერიოზული და ძნელი თემაა. „კომუნა საქართველო“ თითქმის ამოუწურველი თემაა. აქ საჭიროა ყველაფერი, რაც მხატვრული სიტყვის ოსტატს მოეთხოვება. ს. ეულს აქვს თანამედროვე, კომუნისტური თვალსაზრისი მხატვრულ შემოქმედებაში, ის ჩინებულად ისახავს ამ თვალსაზრისს. მაგრამ მეორე პირობა—ამ თვალსაზრისის მხატვრულ სახეებში ჩამოყალიბება, მხატვრული გაფორმება, აი რა მოიკოჭლებს „კომუნა საქართველო“-ში.

ს. ეული გასაგებათ სწერს, „ადამიანურათ“. მართალია, მშრალია ავტორის ლექსიკონი, მაგრამ ლექსი აწყობილია მართლაც პროლეტარულ, მებრძოლ მუშათა კლასის რიტმზე. დინამიურია. „თავისებურია“ ს. ეულის მხატვრული სტილი, კომპოზიცია, სიტყვების დალაგება. არსენას ლექსის სტილი არ ეგუება მებრძოლ პროლეტარს, მის ბუნებას, ხასიათს, მოძრავ ცხოვრებას. ს. ეულის ლექსებში, ხშირად იგრძნობა პროლეტარული ბრძოლის და შემოქმედების ჩქარი ტემპი, ძლიერი მაჯის ცემა და ჯანსაღი გულის დაგა-დუგი. „იავ-ნანას“ მოტივი დასძლია ს. ეულმა, მხოლოდ:

„და დარაჯი
გამვლელ-გამომვლელ
დაუსტვენს:
„შესდექ,
გადადექ, გზა
მიეც ტუსაღებს,
პირველ მაისის
დღესასწაული
რომ განიზრახეს...
(ლექსი „მლაშე ტბასთან“)

გულუბრყვილო მკითხველს, ალბათ, მოეჩვენება, აქ ფრაზებია „დამტვრეული“ და მეტი არაფერი. ნამდვილად კი ასე არ არის. ეს „დამტვრევა“ ნამდვილი რიტმია მოწინავე პროლეტარის დინამიურ ცხოვრების...

მაგრამ, სამწუხაროთ, ს. ეული მაინც ვერ სტოვებს საჭირო მხატვრულ შთაბეჭდილებას. ლექსი—შინაარსიანია, იდეოლოგიურათ სწორი, სტილი—თანამედროვე. მხატვრული შთაბეჭდილება მაინც სუსტია. „რაღაც“ აკლია ს. ეულის მხატვრულ შემოქმედების „მექანიზმს“. და ეს „რაღაც“ არის სწორედ ის, რაც ქმნის მხატვრულ ღირებულებას. ჩვენის აზრით, ეს „რაღაც“ „სახეებით აზროვნებაა“, რეალურ სინამდვილის მხატვრული გაფორმების უნარი, ნიჭი, პოტენცია. მართალია, ს. ეული ხშირათ არ გაურბის „სახეებს“, „სიმბოლოს“ (არა სიმბოლისტური გაგებით, ცხადია). საქმე იმაშია, აქ ავტორი საკმაო სისუსტეს იჩენს, იმის მაგიერ, რომ სწორედ ამ ადგილას გამოიჩინოს უდიდესი სიძლიერე და სიმტკიცე. ს. ეულის მხატვრულ შემოქმედების ჯაჭვში მეტად მნიშვნელოვანი რგოლია სუსტი და დახეხილი. ამიტომაც არის, ხშირათ სწყდება ეს ჯაჭვი, მაშასადამე იკარგება მთლიანი მხატვრული შთაბეჭდილება.

ორიოდე მაგალითი საილუსტრაციოთ. ლექსი „აჯანყება“:

ამ მიდამოს
ეს არაგვი
რაკ
რაკ
რაკით,
სევდიანი
მტკვარს
უამბობს
ამბავს საზარს...

აქ აშკარათ სჩანს „სახეების“ სიღარიბე, ლექსის არაბუნებრივი, ძალდატანებითი, ხელოვნური წყობა. აშკარაა, აქ ჩვენ საქმე არ გვაქვს მხატვრულ ფაქტთან. კიდევ, მაგალითად, აი ლექსი „ახალგაზრდა საქართველო“. ს. ეულს სხვა არაფერი მოუნახავს სიმბოლოდ, გარდა... სულის! ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ ავტორი „სულის“ მტერია, მისი უარისმყოფელი. მაგრამ „სულის კულტი“ მაინც იჩენს თავს „ახალგაზრდა საქართველო“-შიაც. რა ქნას ავტორმა, რასაც წაავლო ხელი თვალდახუჭულად, ის მოგვცა გულწრფელად. დავუგდოთ ყური, მხოლოდ პირობით: ხმა ნუ გვეგონება „საიქიოდან“!

დასალტული
სული
ფართხალებდა
ჩიტივით გალიაში...
დღენი ავდრიანი
სულმა გაიარა
სიმღერებით.
„ჩვენი სული
იყო უშიშარი
ვით მთის ქარი
და მტრის გული
გაზზარული არის
სულის ნაპერწკალით.
ბედმა ჩვენი სული
ალში გადაუგდო
მსოფლიო ცეცხლს...
სულში საქართველო
ახალშობილია:
ახალგაზრდა.

სამართლიანია მკითხველის გაკვირვება: ვინ იცის, „დასალტული სული“ სად და რათ „ფრთხიალებდა ჩიტივით გალიაში“, ან როგორ არის „სულში საქართველო ახალშობილი“. შეიძლება „სულმა გაიარა სიმღერებით“, მაგრამ რა ჩვენი ბრალია, თუ ვერ გავიგონეთ „სულის სიმღერები“. რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რისი თქმა უნდა ს. ეულს. საქმეც იმაშია: ავტორი „ერთზე“ ფიქრობს, „მეორეზე“ ლაპარაკობს. უაღრესად რეალისტი ს. ეული აქ ეფლობა მისტიციზმის ჭაობში. რატომ მოხდა ეს? ავტორი ვერ ახერხებს „სახეების“, „სიმბოლოების“, მოხერხებულად ხმარებას, მათი მარაგი ვერ გააჩინა მას—და ამაშია ს. ეულის მხატვრული „უბედურება“. დააღწევს კი თავს სანდრო ეული ამ „უბედურებას“? ამას ს. ეულის მომავალი მუშაობა დაგვანახვებს.

ს. ეული არ განიცდის დეკანდენტურ სკოლების გავლენას. ის რეალისტია, ორივე ფეხით სდგას სალი რეალიზმის ნიადაგზე. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას ხშირათ გადალახოს რეალიზმის საზღვრები. ასე ხდება მაშინ, როცა ს. ეული ანთებულია „აგიტაციურ“ ექსტაზით და ფრთაშესხმულ ენტუზიაზმით. რევოლუციონური ენტუზიაზმი აუცილებელია პროლეტარულ მწერლისათვის. ეს ენტუზიაზმია ის აკუმულიატორი, რომელიც აძლევს პროლეტარულ პოეტს მხატვრულ გამბედაობას და გამოულეველ ენერგიას. მაგრამ ერთი პირობით: რევოლიუციონური ენტუზიაზმი უბრალო პაროდიათ, ზღაპრულ სინამდვილის კარიკატურათ არ უნდა გადაიქცეს. სამწუხაროთ, ს. ეულს ასე მოსდის ხშირათ.

მაგალითი: ს. ეული დაინტერესდა გაიგუს:

რევოლიუციამ თებერვალით
რა მოგვიტანა,
რომ ავაცეცხლეთ საქართველო
ზამთრიან თვეში?

თელის ალმასკომის თავმჯდომარეს ს. ეული ამ კითხვაზე ასეთ პასუხს უკარნახებს, ასე ათქმევინებს:

რა დაგვიკარგავს მიწის მუშებს
ან რა მივიღეთ?
ბევრი: მივიღეთ უფლებები
და სხვა მრავალი,
დავკარგეთ ტანჯვის ბორკილები
და სიღარიბე:
ჩვენი სოფელი სულ განახლდა
თებერვლის აქეთ!
გზები, არხები გავიყვანეთ,
ვხნარობთ ტრაქტორებს,
ელექტროს შუქზე ბნელი ღამე
კლდეებს თავს ახეთქს“...

რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია ეს. განა დავკარგეთ სიღარიბე „და სხვა მრავალი“, ტრაქტორებმა „სულ“ შესცვალა კავი და გუთანი? ჭრაქი გაქრა გლეხის ქოხიდან და „ელექტროს შუქზე ბნელი ღამე კლდეებს თავს ახეთქს“? ცხადია, ჯერ-ჯერობით ასეთი არ არის ჩვენი სოფლის რეალური სურათი. წაიკითხავს თელის ალმასკომის თავმჯდომარე ამ სტრიქონებს, გაიღიმებს და იტყვის: —არა, ძამიავ, ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს სიღარიბე და „ელექტროს შუქზე ბნელი ღამე კლდეებზე თავს“ არ „ახეთქს“-ო. ს. ეულს თუ დავუჯერებთ, სოციალიზმი უკვე განხორციელებულია სოფლად. ჩვენ კი „სოფლის სულ განსაახლებლად“, სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლა მხოლოდ დავიწყეთ. „ოცნება“, „სინამდვილეთ“ თუ მივიჩნიეთ, ვერც ვერაფერს გავაკეთებთ, ვერც „ელექტროს შუქზე ბნელი ღამე (ეს როგორ შეიძლება: ელექტროს შუქი და ბნელი ღამე ერთად როგორ მოთავსდება?) კლდეებს თავს“ არ „მიახეთქებს“...

ჩვენ აღვნიშნეთ უმთავრესად უარყოფითი მომენტები. რასაკვირველია, ბევრი კარგი ადგილია „კომუნა საქართველო“-ში. არის მეტად [illegible] და გაბედული სტრიქონები. სანიმუშოთ:

შრომაში ტანჯვა ამოვსწურეთ, ბრძოლაში
—დარდი,
ისე ვმღეროდით ჩვენ ქარბუქში, ვით მზიან
დარში.

მოხდენილად და კარგადაა ეს ნათქვამი. ასეთი გამოთქმები იშვიათი როდია ს. ეულის პოეზიაში.

მ. ა.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 9 აპრილი

დღეს რადიო-გადამცემი სექტორი თბილისის 4 კილოუატიანი რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ რადიო-პროგრამას.

საღამოს 5 საათიდან—პიონერისა და მოსწავლის საათი, ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; საღ. 6 საათს და 15 წუთიდან დაიწყება სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობის სხდომის ტრანსლიაცია, შემდეგ გადაცემული იქნება ქუთაის-ბათომის სახელმწიფო დრამის წარმოდგენა—„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“.

დასასრულ, უკანასკნელი ამბები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 22

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

28 მარტი, 1929 წ.

კეროსინზე ფასებისა და საზღვრითი ზედნართის დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს 2 თებერვლის დადგენილებისა, ამიერ-კავკასიის შინაურ საჭიროებისათვის ნავთსადენიდან კეროსინის გამოშვების შეწყვეტისა და ასეთის რკინის გზის ცისტერნებით გადმოზიდვის შესახებ, ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში ადგენს:

§ 1.

კეროსინის რკინის გზის ცისტერნებით გადმოზიდვით გამოწვეული ფრახტის გაძვირების გამო, დაწესებულ იქნეს კეროსინზე შემდეგი საბითუმო ფასები შემოზიდულ ორგანიზაციების—ცეკავშირის და სამთო ტრესტის მიერ ბითუმათ გაცემის დროს კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებზე:

1 ტონა:

ა) ქალ. თბილისისათვის.
ფრანკო-გამყიდველის საწყობი სადგურ თბილისში და ნავთლუღში . . . . 74 მან.
ბ) საქართველოს დანარჩენ ადგილ.
აფხაზეთის სსრ. აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის ჩათვლით—ფრანკო ცისტერნა, რკინის გზის ყოველ სადგურზე . . . . 87 მან.

§ 2.

დაწესებულ იქნას კეროსინზე შემდეგი საზღვრითი ზედნართი, მისი ცალობით გაყიდვის დროს სახელმწ. და კოოპერატიულ ორგანიზაციების საწყობებიდან:

ა) იმ ადგილებისათვის, რომელნიც დაშორებული არიან კეროსინის საწყობიდან ან საბითუმო საგასაცემო ადგილებიდან არა უმეტეს 25 კილომეტრის მანძილზე—11.5 პროც.

ბ) იმ ადგილებისათვის, რომელნიც დაშორებული არიან საბითუმო-საგასაცემო ადგილებიდან ან საბაზისო საწყობიდან 25 კილომეტრის მეტით, მაგრამ არა უმეტეს 50 კილომეტრისა;—12 პროც.

გ) იმ ადგილებისათვის, რომელნიც, დაშორებული არიან საბაზისო საწყობიდან ან საბითუმო-საგასაცემო ადგილებიდან 50 კილომეტრის მეტით . . . . 13 პროც.

შენიშვნა; 1. აღნიშნული საზღვრითი ზედნართი იანგარიშება 1-ლ მუხლში აღნიშნულ საბითუმო-საგასაცემო ფასებიდან.

2. მე-2 მუხლში აღნიშნული საზღვრითი ზედნართები შესდგება შემდეგი ელემენტებისაგან:

	25 კილ.	50 კილ. მდე.	50 კილ. ზევით.
ზედნართები ხარჯ. (ხელფასი ბინის ქირა, გადასახადი, გამოსაღები და სხვა).	7,75%	8%	8,5%
დანაქცევი გადაზიდვის დროს	0,75%	1%	1,5%
დანაქცევი გადმოსხმის დროს	0, 5%	0,5%	0,5%
ტარის ამორტიზაცია და შეკეთება	1, 5%	1,5%	1,5%
მოგება	1%	1%	1%

§ 3.

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების საწყობებიდან კეროსინის ცალობით გაყიდვის დროს 1 და 2 მუხლებში აღნიშნული საბითუმო ფასს და საზღვრითი ზედნართს უნდა დაემატოს საბითუმო-საგასაცემო ადგილებიდან ცალობით გაყიდვის—ადგილამდე შარა-გზით გადაზიდვაზე გაწეული ხარჯები, მაგრამ არა უმეტეს იმ ნორმისა, რაც დაწესებული იქნება ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ადგილობრივი ორგანოების მიერ.

შენიშვნა: აფხაზეთის სსრ-ში შარა-გზით გადაზიდვის ხარჯს გარდა უნდა დაემატოს აგრეთვე კეროსინის ზღვის გადაზიდვის ფაქტიური ხარჯები.

§ 4.

ქალ. თბილისისათვის ერთი ტონა კეროსინის გადაზიდვის ფასი საბითუმო საგასაცემო ადგილებიდან ცალობით გაცემის ადგილამდე საშუალოთ დაწესდეს 5 მანეთი, ჭურჭლის (ტარის) უკან დაბრუნებით, წელიწადის დროთა განურჩევლად.

§ 5.

ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ა. ს. ს. რ.-ში, სამხრეთ-ოსეთის და სამაზრო სავაჭრო კომისიებს ევალებათ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ შარა-გზით ერთი ტონა კეროსინის გადასაზიდ ხარჯების საზღვრითი ნორმები, საბითუმო-საგასაცემო საწყობიდან ცალობით გაყიდვის ადგილამდე, ჭურჭლის უკან დაბრუნებით, წელიწადის დროთა განურჩევლად.

§ 6.

დაწესებულ იქნეს შემდეგი საცალო ფასები კეროსინზე კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ცალობით გაყიდვის დროს, ქალ. თბილისსა და რკინის გზის სადგურებზე:

ერთი ლიტრი.

ქალ. თბილისში.
ა) სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების საწყობებში . . . . . . 7 კაპ.
ბ) კასრებიდან, ქუჩებში და მოედნებზე ჩამოტარებით . . 7,5 კაპ.
გ) მუშკოოპის ნავთის დამტარებლებთან ბინაზე მიტანით . . 8 კაპ.
რკინის გზის სადგურებზე.
კოოპერ. და სახელმწ. ორგანიზაციების საწყობებში და საცალო სავაჭროებში . . . 8 კაპ.

§ 7

ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ასსრ-ში და სამაზრო სავაჭრო კომისიებს ევალებათ ამა დადგენილების 1, 2 და 3 მუხლების საფუძველზე შეიმუშაონ და, ადგილობრივ ალმასკომებთან შეთანხმებით, გამოაქვეყნონ კეროსინზე საცალო ფასები. ზომის ერთეულად უნდა აღებულ იქნას ლიტრი.

§ 8.

დაწესებულ იქნას, რომ „აზნევტორგი“-ს (ბაქო) საბითუმო საწყობებსა და საცალო საგასაცემო პუნქტებს შორის უნდა არსებობდეს არა უმეტეს ერთი საშუალო წერტილისა.

§ 9.

ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ასსრ-ში და სამაზრო სავაჭრო კომისიებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების გარდაუხვევლად გატარებას ცხოვრებაში.

§ 10.

ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიიცემიან პასუხისგებაში სსსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-111 მუხლის თანახმად.

§ 11

ამა დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან გაუქმებულ იქნან ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ ყველა დღემდე გამოცემული დადგენილებანი ამ საგანზე, სახელდობრ: 1) № 17/65—1926 წლ., 6 ოქტომბრიდან, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კეროსინის ფასებს, 2) 1926 წლ. 14 ოქტომბრის დადგენილება № 27/75— და 3) 1927 წლ. 8 სექტემბრის დადგენილება № 39/115.

§ 12.

დადგენილება ესე ძალაში შედის აფხაზეთის სსრ-ში და აჭარისტანის ასსრ-ში დღიდან კეროსინის რკინის გზით გადმოზიდვაზე ფაქტიურად გადასვლისა, ხოლო ს. ს. რ. რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში ა.-წ. 1 აპრილიდან.

ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებული საქ—ში **საააკიანი.**
სამრ. საგან. სექციის გამგე **თიკანაძე.**

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს წიგნაკი № 97717

კითხვა

თბილისში გვაქვს ექვს ოთახიანი [illegible] სახლი, რომელიც [illegible] ჩემი მშობლების ერთად ცხოვრების დროს და ირიცხება მათ სახელზე. [illegible] უთანხმოების [illegible] დით და გავცალკევდით იმავე სახლში, ცალკე ოთახებში. ამის გამო მე მოვითხოვე მშობლებისაგან, ჩემი ოჯახის წილი ქონება (ჩემი ოჯახი შესდგება 5 სულისაგან), მაგრამ კატეგორიულ უარს მეუბნებიან და მემუქრებიან ჩემ მიერ დაკავებულ ოთახიდან გასახლებას. გთხოვთ განმიმარტოთ: კანონიერია თუ არა მათი მოქმედება?

პასუხი

თბილისში კომლი არ შეიძლება არსებობდეს და არც შეიძლება შეეფარდოს თბილისში მდებარე ქონებას კომლის ქონებისათვის კანონით გათვალისწინებული წესები. თუ სახლი თქვენი მშობლების სახელზე ითვლება, სახლი მათ საკუთრებას შეადგენს, და თქვენ არავითარი უფლებას არ განიჭებთ ის გარემოება, რომ სახლი იმ დროს არის შეძენილი, როცა თქვენ მშობლებთან ერთად ცხოვრობდით. ამის გამო მშობლების მუქარა საფუძვლიანია და თქვენ არ გაქვთ არავითარი უფლება მოითხოვოთ სახლიდან რაიმე ნაწილი.

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში, დღეს, 9 აპრილს, დილის 11 საათზე შესდგება კომისიის სხდომა რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სვანიძე, ან ალიაშვილი, (ცეკა), ჯაფარიძე (ცეკას ქალთა განყოფილება), ჟორულაშვილი (უ. ს. საბჭო), მიქაძე (პროფსაბჭო), ბედია (თბ. კომიტეტი), ბუჯიაშვილი (კომკავშირის ცეკა), ჩანკვეტაძე (პოლიტეხნ. ინსტიტუტი), ცხაკაია (პროფგანათლების მთავარი სამმართველო).

—:—

თბ. სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლლექტივი აცხადებს პედ. ფაკულტეტის მე-4 უჯრედის წევრ და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 9 აპრილს, 2 საათზე აღნიშნული უჯრედის წევრები და კანდიდატები უნდა გამოცხადდენ ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივში.

—:—

დღეს, 12 საათზე, მოწვეულია სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებული უჯრედთა ბიურო-კოლექტივის სხდომა. აქტივთან ერთად.

საქ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ოთხშაბათს, 10 აპრილს, დღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე რაიკომის საკონფლიქტო კომისიის მდივანთან: ამხ. ვასილ ივანესძე გორგაძე, ანდრო დავიდოვი, ვასილ ანდრონიძე ბეხრაძე, თედორე მაისურაძე, ალექსანდრე ბოლოტინოვი, შალვა ალიაშვილი, ზაქრო ივანესძე ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე პლატონისძე ქუთათელაძე; ყველა დასახელებული ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა.

—:—

დღეს, დილის 10 საათზე კომკავშირის ამ. კომიტეტის შენობაში (რუსთაველის გამზირი № 20). შესდგება კომკავშირის კოოპერატიულ მაღაზიების გამომძიებლის კომისიის სხდომა. ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: მიქელოვი, ხარსია, კერესელიძე ვიქტორ, ჟუჟუნავა, ზარათაშვილი, (ზაკტპო). კიკვაძე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე ლევანის ასული გაბელაშვილისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 8 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა დაუვიწყარი

მათე დიმიტრის ძე გაბელაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, რევოლიუციის ქ. № 15. დაკრძალვა ხუთშაბათს, 11 აპრილს, საღამოს 5 საათზე აფიჩხის სასაფლაოზე. ტელ.

რუსთაველის თეატრი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ოპერეტისა და ქ. დრამის მსახიობ

დათა მგალობლიშვილის (დავიდოვის)

უდროოდ გარდაცვალებას. სამ. პანაშვიდი სამშაბათს ქალ. მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. მიხეილის) საღ. 7 საათ. გამოსვენება ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათ. იქიდანვე.
6 2508

შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, შაქრო ბერიშვილი, დუდე ძნელაძე, გოგი ფრონისპირელი და სოსო ჟივიძე დიდის მწუხარებით და გულისტკივილით აცხადებენ რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი ამხანაგი

დათა მგალობლიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. მიხეილის). ცხედრის გამოსვენება ოთხშაბათს 10 აპრილს 3 საათზე. (ე)

თავზარდაცემულნი და ელენე, მამიდა ანა, მამიდაშვილი გიორგი ლაზარეიშვილი მეუღლით ანათი და შვილებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მე-2 კურსის სტუდენტი

თამარ კოჭლაშვილი

გამოსვენება—10 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე, პავლოვის ქ. № 4. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე. (ე)

სახ. აკ. ოპერის თეატრი

ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
გასტროლები თბილისში

სამშაბათს 9 აპრილს	პროფკავშირების წარმოდგენა ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ
ოთხშაბათს 10 აპრილს	მე-3 აბონემ. 1-ლი წარმოდგენა ლიანდაგი გუგუნებს

დაიწყო ბილეთების გაყიდვა პიესაზე „კაკალ გულში“ 12 და 14 აპრილს (აბონემენტის გარეშე)
დასაწყისი საღ. სრულ 8 ნახ. საათზე მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ
ბილეთები აღებული 11 აპრილისათვის—გამოდგება 12 აპრილს 6. 2502

საქართვ. სახ. კინომრეწველობის სურათი 1928—29 წ. სეზონი
რეჟისორმა მიხ. გელოვანმა დაასრულა დადგმა სურათის
ახალგაზრდობა
იმარჯვებს
ჩქარა საუკეთესო კინოებში

საქართვ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება თბილისის გაზეთების რედაქციებთან ერთად ოთხშაბათს, აპრილის 10, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის (რუსთ. გამზ. № 17) დიდ დარბაზში იწვევს კულტთათბირს

თათბირი დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. კლუბებისა და წითელი კუთხეების მასიური მაშაობის დათვალიერება.
2. მიმდინარე საკითხები.

კავშირების ც. გ. კულტგანყოფილებათა გამგეების, მუშათა კლუბების გამგეობათა თავმჯდომარეების, კულტკომისიათა თავმჯდომარეების და თბილისის გაზეთების მუშკორთა დასწრება სავალდებულოა.

2—1 6. 2506 საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილება

სახ. მეურნეობის მუშაკთა კლუბი
(რუსთაველის თეატრი, შესავალი ეზოდან)
ოთხშაბათს, 10 აპრილს შესდგება
ექ. სკოროდუმოვის მოხსენება
მეექვსე კატეგორიის ზეინკალის მომზადება ოთხ თვეში შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდებით
შესვლა თავისუფალია. დასაწყისი საღ. 7 საათზე 6. 2504

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

სახელმწიფო კინოთეატრები

განთიადი	მხატვრული სურათი სიგნალი ზღვიდან
სოლეი	ორი ობოლი რეჟ. გრიფიტის დადგმა
მინიონი	მენავე უნებურად მონტი ბენკსის მონაწ.
პალასი	მხიარული კომ. პოლიციელები პატ და პატაშონის მონაწ.
არფასტო	ოსსი ოსვალდის მონაწილეობ. ნინიშ
აპოლო	მეორე კვირა ჩანგ ამერიკული ნაწარმოები
დარბაზი	კაცი რესტორანიდან
პროლეტარი	ტამილა ფ. დიუშენის რომანით

0—8

ხუთშაბათიდან 11 აპრილიდან
კინო თეატრებში
სოლეი-მინიონი
მსოფლიო ფილმი
ახალი ბაბილონი
რეჟ. გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერგი
ოპერატორი ა. მოსკვინი
მთავარ როლებში:
ე. კუზმინა, ს. მამოხილი, დ. გუტმანი, პ. სოკოლოვსკი, ა. კოსტრიჩკინი, ს. გერასიმოვი.
2507

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს ჩაი“
აცხადებს საჯარო ვაჭრობას
შემდეგი შენობების აგებაზე:

1) 2 საცხოვრებელი ხის ერთსართულიანი სახლი ჩაქვში
2) 2 საცხოვრებელი ხის ორსართულიანი სახლი ჩაქვში და სალიბაურში.
3) ერთსართულიანი ბრიკეტებიდან აგებული შენობა სკოლისათვის ჩაქვში.

ნაგებობათა საერთო ღირებულება—დაახლოვებით 165.000 მან.

ვაჭრობა მოხდება თანახმად იმ წესებისა, რომლებიც დართული აქვს სახელმწიფო სანარდო სამუშაოთა და მიწოდებათა შესახებ 1927 წლის 11 მაისს გამოცემულ დებულებას (საბჭოთა კავშირის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 7 ივნისი 1927 წ. № 28), პარასკევს, 20 აპრილს, დღის 12 საათზე, გამგეობის შენობაში, რუსთველის პროსპექტი, № 25.

წინადადებები შემოტანილ უნდა იქნას დახურულ კონვერტებში საჯარო ვაჭრობის დღის დილის 10 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების გაცემა გამგეობაში ყოველდღე 10 საათიდან 2 საათამდე. ტელ. № 10—46.

იმ დაწესებულებებმა და პირებმა, რომელნიც განთავისუფლებულნი არ არიან საწინდრის შეტანისაგან, საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობის სალაროში უნდა შეიტანონ საწინდარი სამუშაოთა ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით და ქვითარი დაურთონ განცხადებას.

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ იტოვებს უფლებას გასცეს სანარდო სამუშაო არა აუცილებლად ვაჭრობის იმ მონაწილეზე, რომელიც ყველაზე დაბალ ფასში დასთანხმდება სამუშაოს შესრულებას, არამედ იხელმძღვანელოს ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღების კრედიტუნარიანობითა და გამოცდილებითაც.

საზ-გა „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ლოგოპედი
ა. ა. პაიჭაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

14 აპრილს, დღის 12 საათზე
მუშკოოპის შენობაში (ეორესის ქ. № 7)
შესდგება
დახურული
საჯარო ვაჭრობა
ყინულის მიტანაზე
მუშკოოპის მაღაზიებში
ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ამხ. ხვედელიძესთან დილის 10 საათიდან 11-დე ყოველდღე.
მუშკოოპის გამგეობა.

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. № 25—73 25—1 1240

ექიმი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ა·1

ექიმი
ა დ პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. 6. 20 25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდე
მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14
25—3 806

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

დაჰკარგე: „ზაკტპო“-ს საწევრო წიგნაკი ივანე ბალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1287

დაჰკარგე: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ვლადიმერ ერმალოზის ძე ნიკოლაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1286

დაჰკარგე: სამხედრო წიგნაკი № 2 მიხეილ შამუელის ძე პაპისიმედოვის სახელზე, ჩ. გ. 1285

დაჰკარგე: უვადო პასპორტი № 3101 ალექსანდრე როსტომის ძე გვათუას სახელზე, ჩ. გ. 1290

დაჰკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი და უმუშევრობის წიგნაკი № 1529 სპირიდონ ხუბუტიას სახელზე, ჩ. გ. 1292

დაჰკარგე: საპენსიო წიგნაკი, პირადობის მოწმობა და კავშირის წიგნაკი გაბო კავთიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1291

დაჰკარგე: პირადობის მოწმობა № 3581 და კლუბის წიგნაკი და რკინის გზის სამგზ. ბილეთი („პროვიზიონკა“) იასე ფარსადანის ძე მერაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1293

დაჰკარგე: პურის წიგნაკი № 238 კონსტანტინე ჩარგეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1294

დაჰკარგე: მუშკოოპის წიგნაკი სოფიო დავითის ასული დემურიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1294

ტირაჟი—39.352
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.